ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსენალი

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 3 ლარი



ახალაია-მერაბიშვილის დაპირისპირებას შეწირული სპეცრაზმელები

1425
2013

20 წელი სოხუმის დაცემიდან...

რატომ გვიხმობენ NATO-ს რეაგირების ძალებში?

ვინ დაბომბა ბათუმი...

N15 (188) ოქტომბერი, 2013

# სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა














**4 კალეიდოსკოპი**
სამხედრო სიახლეები

**8 ტკივილი**
20 წლის წინ...

**9 პერსპექტივა**
რატომ გვიხმობენ NATO-ს
რეაგირების ძალებში?

**10 სკანდალი**
შვეულმფრენები პოლიტიკური
თამაშებისთვის

**14 ბრალდება**
ახალაია-მერაბიშვილის დაპირისპირებას
შეწირული სპეცრაზმელები

**18 მსოფლიო დანაშაული**
სირიაში „ზარინი"
საბჭოთა რაკეტებმა გააფრქვიეს

**20 სანაპირო დაცვა**
NATO-ს მცურავი
ხომალდების ვიზიტი ბათუმში

**22 ექსპოზიცია**
პირველი ქართული ავიაშოუ

**26 პოლიტიკა**
გასავლელი გზა NATO-ს
ღია კარამდე

**28 რეგიონი**
ფაქტები, მოვლენები, შემთხვევები...

**32 საიდუმლო ფრონტი**
ბიოლოგიური იარაღი:
XXI საუკუნის მთავარი საფრთხე

**36 სპეცსამსახურების არქივებიდან**
ბიოლოგიური იარაღი კა-გე-ბეს
საიდუმლო დოკუმენტებში

**38 ინოვაციური ტექნოლოგიები**
ხაფანგები და ცრუ სამიზნეები

## საბრძოლო მანქანები 44
ბორბლებიანი
ბელგიური ჯავშანტექნიკა

## სპეცოპერაციები 48
პაპანაქების საუფლო

## ავიაცია 52
თვითმფრინავები
თვითმფრინავების გადასატანად

## ფლოტის ისტორია 55
ვინ და რატომ
დაბომბა ბათუმი...

## ჯარისკაცის ბედი 59
2004 წლის აგვისტო —
შეტაკებები ცხინვალთან

## საიდუმლო ფრონტი 62
ბიოლოგიური იარაღი:
XXI საუკუნის მთავარი საფრთხე

## კროსვორდი 65
არსენალვორდი

## 100 დიდი მხედართმთავარი 66
კოჩისი

## ჩვენი ისტორია 68
გიორგი სააკაძის თოფი

## მეომრები 72
500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან

## ცხელი წერტილები 76
კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა

## ვინ გვებრძოდა 78
მონღოლი მეომრები

## იარაღის გალერეა 81
ჩეხური ავტომატი
ასპარეზზე გამოდის


# რედაქციისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჭრილი და დალუპული სამხედროების სახელით სპეკულაცია არც ერთი ქვეყნის პოლიტიკოსებს არ შერგებიათ. ომებს სწორედ პოლიტიკოსები იწყებენ, ომებში კი პოლიტიკოსების ნაცვლად სწორედ ჯარისკაცები იღუპებიან და სახიჩრდებიან სხვისი მცდარი პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამო, რაც ზოგჯერ შენიღბულია სამშობლოს ინტერესების დაცვის აუცილებლობით, და ზარალებული სამხედროების კვლავ პოლიტიკური მიზნებით გამოყენება ამორალურია. იმედია, თავდაცვის სამინისტროს დღევანდელი ხელმძღვანელობა ბოლოს და ბოლოს, თავს მოაბამს დაჭრილი სამხედროებისთვის ბინების მშენებლობის დასრულებას და ახალი პროვოკაციული გამოხდომების საბაბს აღარ დაუტოვებს ოპოზიციურ ძალად მონათლულ იმ „ნაციონალებს“, რომელთაც ჯერ თავიანთი დანაშაულისთვის არ უგიათ პასუხი.


მთავარი რედაქტორი
**ირაკლი ალადაშვილი**

პასუხისმგებელი რედაქტორი
**თემურ ჩაჩანიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა
**დათო მოსიაშვილი**

ყურადღება!
გამოიწერეთ "არსენალი" და
მიიღეთ შინ, თვეში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73



რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია



გადაცემულია დასაბეჭდად
23.09.2013

გაზეთ „კვირის პალიტრის“
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (221)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70

Email: arsenali@palitra.ge

# რაკეტმზიდი ტრაქტორები?!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალბათ, შეამჩნევდით, რომ „არსენალი“ ამ რუბრიკაში საკმაოდ ხშირად უთმობს ადგილს ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებულ სამხედრო თემატიკის სიახლეებს... ნამდვილად არ გვსურს, თავი მოგაბეზროთ კიმ ჩენ ინის რეჟიმზე საუბრით, მაგრამ როგორ გინდა ამისთანა სურათს გვერდი აუარო?!

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა 65 წლის წინ შეიქმნა და ამ ღირსშესანიშნავ თარიღს საზეიმო ღონისძიებები მიეძღვნა. 9 სექტემბერს ფხენიანის მთავარ ქუჩაზე სამხედრო აღლუმიც გაიმართა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, აღლუმზე ჩრდილოეთ კორეის არმიამ თავის ლიდერსა და ხალხს თვალნათლივ უჩვენა, თუ რაოდენ ძლიერია ქვეყნის შეიარაღებული ძალები და რაოდენ მაღალი ტექნოლოგიური მიღწევებით იწონებს ის თავს, რისი მსგავსიც მსოფლიოს სხვა, „საბრალო“ არმიებს არც კი დაესიზმრებათ.

# „დამნაშავე“ დამსვენებლები



ასეთი რამ, ალბათ, მხოლოდ რუსეთში შეიძლება მოხდეს — ცოტა ხნის წინ, კალინინგრადის ოლქში, მეჩნიკოვოს დასახლებაში, ბალტიის ზღვის პლაჟს, რომელიც დამსვენებლებით იყო სავსე, საჰაერობალიშიანი სადესანტო ხომალდი „ზუბრი“ მიადგა და ბუქი დააყენა, გარუჯვა და გაგრილება ვილას ახსოვდა, გაოგნებული მოქალაქეები იმას ფიქრობდნენ, თავისთვის როგორ ეშველათ.

ამ ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა ინტერნეტშიც გავრცელდა და საკმაოდ პოპულარულიც გახდა. შესაბამისად, ამბავი უყურადღებოდ ვერ დატოვა რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ. სამხედროების განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, დამნაშავე დამსვენებლები ყოფილან — პლაჟი თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნის, „ზუბრი“ კი ტაქტიკურ ამოცანას ასრულებდა და წესით, იმ მომენტში დამსვენებლები იქ არ უნდა ყოფილიყვნენო.

# ბომბი შხამ-ფეკალიებით უფრო საშიშია!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფილიპინელმა აჯანყებულმა მაოისტებმა არმიის პატრულის წინააღმდეგ ბომბი გამოიყენეს, რომელიც ადამიანის ფეკალიებითა და გველის შხამით იყო „გაჟღენთილი“.

აფეთქების შედეგად, სულ ცოტა, შვიდი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა. ექიმები კი ამბობენ, რომ მათი მკურნალობა ერთიორად რთული იქნება, რადგან ჭრილობებში პოტენციურად სასიკვდილო ინფექცია აქვთ მოხვედრილი.

პატრულზე თავდასხმა ფილიპინების რადიკალური მემარცხენე ორგანიზაცია „ახალი სახალხო არმიის“ მებრძოლების მოწყობილია, რომელიც ხელისუფლებას 1969 წლიდან ებრძვის.

# აირწინაღი ოთხფეხა მეგობრისთვის

მას შემდეგ, რაც სირიაზე დასავლეთისგან შესაძლო იერიშის მიტანაზე ხმა დაირხა, ისრაელში ერთიორად გაიზარდა აირწინაღების მოთხოვნა... ოღონდ ცხოველებისთვის განკუთვნილზე.

კაცმა რომ თქვას, მეგობრობამ ჭირი და ლხინი არ უნდა იცოდეს და თუ ომიანობის დროს ადამიანები ვზრუნავთ თავის დაცვაზე, განსაცდელში არც ჩვენი ოთხფეხა მეგობრები უნდა დავტოვოთ. იმავეს ფიქრობდა ისრაელის ათასობით მოქალაქეც, თუმცა მათდა სამწუხაროდ, სპეციალიზებულ მაღაზიებში კატებისა თუ ძაღლებისთვის განკუთვნილი საკმარისი აირწინაღები არ აღმოჩნდა და ატყდა ერთი ამბავი...

საბოლოოდ, რიგითი ებრაელები იძულებულნი არიან, ცხოველებისთვის განკუთვნილი დაცვის საშუალებები პირდაპირ მწარმოებელ კომპანიებს შეუკვეთონ და გრძელ რიგში თავიანთ ჯერს დაელოდონ.



# „მაგარი ბიჭების“ სპორტი




ახლახან კალიფორნიაში საინტერესო შეჯიბრება, სახელწოდებით Best in the West 2013 Invitational S.W.A.T. Competition გაიმართა, რომელშიც აშშ-ის სპეცრაზმი მონაწილეობდა.

წინასწარ დათქმულ დროსა და ადგილზე თავი სხვადასხვა ქალაქისა და შტატის პოლიციის განსაკუთრებული დანიშნულების რაზმის წარმომადგენლებმა მოიყარეს, რათა გაერკვიათ, მათ შორის ვინ უფრო მაგარია.

ღონისძიება ორი დღე მიმდინარეობდა და ის შვიდი დისციპლინისგან შედგებოდა. ასპარეზობა მიზანში სროლით დაიწყო და რთული წინაღობის გადალახვაში შეჯიბრებით დასრულდა.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლაზერული რევოლუცია მოდის!

ეროვნული ბიბლიოთეკა



კომპანია „ბოინგმა“ კომპაქტური და მძლავრი ლაზერული გამოსხივების წყარო შექმნა, რომელიც ექსპერტთა თქმით, შესაძლოა სამხედრო საქმეში „ლაზერული რევოლუციის“ წინა პირობა გახდეს.

ლაზერის ამ ახალმა ტიპმა, რომელსაც საფუძვლად ტექნოლოგია TDL (Thin Disk Laser) უდევს, 30 კვტ სიმძლავრის სხივი გამოიმუშავა, რაც 30 პროცენტით აღემატება სამხედროთა მიერ მოთხოვნილ მახასიათებელს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ უპილოტო საფრენი აპარატის, ჭურვებისა თუ ცოცხალი ძალის გასანადგურებლად სასურველი შედეგი ამჟამინდელ 10 კვტ სიმძლავრის ლაზერსაც მოაქვს, მაშინ აშკარაა, რომ საქმე სამხედრო სფეროში დიდ მიღწევასთან გვაქვს და TDL-ს პერსპექტიული კონცეფცია კომპაქტური, მაღალენერგეტიკული საბრძოლო ლაზერული იარაღის შექმნის საშუალებას იძლევა.

# ცეცხლის ხაზთან მფრინავი სატვირთო



კონცერნი Lockheed Martin-ი საევაკუაციო და სატრანსპორტო მფრინავი ხომალდის შექმნას ესწრაფვის, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მთლიანად ავტონომიურ რეჟიმში იფრენს. შეიძლება ითქვას, რომ პროექტი Transformer TX მფრინავი ავტომობილის შექმნის მორიგი მცდელობაა.



საერთოდ, შვეულმფრენებს ბრძოლის ველზე უკვე მრავალი წელია იყენებენ, თუმცა რჩეული მფრინავებისთვისაც კი იოლი არაა ცეცხლის ხაზზე ტვირთის მიწოდება ან ცოცხალი ძალის გადასხმა. ასეთ დროს მოწინააღმდეგის ცეცხლისგან ჩამოგდების რისკი ძალზე მაღალია.

სწორედ ამ ფუნქციების უკეთ შესრულებისთვის მიმდინარეობს Transformer TX-ზე მუშაობა.

ახალი აპარატის პირველი გამოცდა 2015 წლისთვის იგეგმება. პროექტის თანახმად, ის 370 კმ/სთ სიჩქარით უნდა გადაადგილდებოდეს და 400 კმ-ს დაფარავს. მის ბლოკში შემავალი სატვირთო კონტეინერი ხელით დაიტვირთება, თუმცა საბრძოლო მოქმედებების ზონაში უკვე ავტომატურად დაიცლება. უკანა გზაზე აპარატით ცოცხალი ძალის (დაჭრილების) ტრანსპორტირების შესაძლებლობაც განიხილება.

# ბრძოლაში საჭირო სიჩქარე — 100 გბ წამში!




თავდაცვის სფეროში კვლევების სააგენტო DARPA-მ მძლავრი უკაბელო კავშირის შესაქმნელად კომპანია Applied Communication Sciences-თან 4,.3 მლნ-იანი კონტრაქტი გააფორმა. პირობის თანახმად, კავშირის ახალმა სისტემამ წამში 100 გიგაბაიტის მოცულობის მონაცემების გადაგზავნა უნდა უზრუნველყოს.

გეგმის თანახმად, უკაბელო კავშირის ახალი ტიპის გამოყენების ფუფუნება მხოლოდ სამხედროებს ექნებათ, რომლებიც დიდი მოცულობის მონაცემებს უშუალოდ ბრძოლის ველიდან თანამედროვე სენსორებით გადასცემენ.

სპეციალისტთა თქმით, მხოლოდ ასეთი შესაძლებლობის ქსელური ტექნოლოგიით შეიძლება მთელი შეიარაღებული ძალების ერთ საინფორმაციო სივრცეში გაერთიანება – დაწყებული რიგითი მებრძოლით, დამთავრებული სტრატეგიული ბომბდამშენით. სააგენტო ამ პროექტისთვის კიდევ მრავალი მილიონის გამოყოფას აპირებს და ეს წყალში გადაყრილი თანხა ნამდვილად არ იქნება, რადგან სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების ერთიან ჯგუფში მოქცევა, სადაც ინფორმაციის გაცვლა მყისიერად მოხდება, მნიშვნელოვნად აამაღლებს თითოეული შენაერთის ბრძოლისუნარიანობას.

# უპილოტო შვეულმფრენს ჩინეთიც ქმნის

როგორც სხვა, ისე სამხედრო სფეროში, ჩინეთი ცდილობს, არ ჩამორჩეს მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს. მართალია, მათი ნახელავი, უმეტეს შემთხვევაში, ვერ შეედრება ამერიკულ, ბრიტანულ და გერმანულ ანალოგებს, მაგრამ ეს სულაც არ აიძულებს ჯიუტ აზიელებს, განზრახვაზე ხელი აიღონ.

ახლახან ქალაქ ტიანცზინში გამართულ გამოფენაზე ჩინელმა სპეციალისტებმა უპილოტო შვეულმფრენ JY-8-ის მოდელი პირველად წარმოადგინეს. როგორც ამბობენ, ამ აპარატის გამოცდა 2015 წლიდან დაიწყება და ის 400 კმ/სთ-ში სიჩქარით ფრენას შეძლებს.

ჩინელები ირწმუნებიან, რომ მათ აპარატში ისეთივე უახლეს ტექნოლოგიებს გამოიყენებენ, რომელთა რეალიზებაც კომპანია Sikorsky Aircraft-მა ექსპერიმენტულ შვეულმფრენ X2-ში უკვე გამოიყენა. სამი წლის წინ ამ კომპანიის შექმნილმა აპარატმა, შვეულმფრენთათვის სარეკორდო სისწრაფე – 463 კმ/სთ-ში განავითარა. ეს რეკორდი კი წელს უკვე კომპანია Eurocopter-ის ჰიბრიდულმა აპარატმა მოხსნა, რომლის სიჩქარის ნიშნულმა 472 კმ/სთ-ს მიაღწია.



# Apple iPad-ის სირიული რეკლამა



სირიელი ამბოხებულების ფანტაზია რომ უსაზღვროა, ამაში ადრეც არაერთხელ დავრწმუნდით. ამჯერად მსოფლიოს ყურადღება ვინმე ანსარ დიმაჩის ბრიგადის მებრძოლებმა მიიპყრეს, რომლებიც სახელისუფლებო ჯარების პოზიციებისკენ ნაღმსატყორცნის სროლისას პლანშეტ Apple iPad-ს იყენებენ.

პლანშეტის პროგრამის მეშვეობით მებრძოლები დახრის კუთხეს ადგენენ.

ამ ფოტოსურათმა, რომელიც სააგენტო Reuters-ის ჟურნალისტმა გადაიღო, ინტერნეტსივრცე უმალ დაიპყრო და კორპორაცია Apple-ის მისამართით არაერთი „ბოროტი ხუმრობის“ საფუძველი გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 20 წლის წინ...



საქართველოსთვის დაღუპულ მებრძოლთა მემორიალთან.

## 27 სექტემბერი — სოხუმის დაცემიდან ორ ათეულ წლისთავზე საქართველოს მომავალი უფრო გაურკვეველია

„არსენალის“ ამ ნომრის გამოსვლა 27 სექტემბერს დაემთხვა, დღეს, როდესაც 20 წლის წინ სოხუმი დაეცა.

ამ ჟურნალის მთავარი რედაქტორი იმ მძიმე დღეების თვითმხილველი და მონაწილეა, თავადაც გამოიარა დაცემული სოხუმიდან კოდორზე, ულელტეხილზე მძიმე გზა, მძიმე იმიტომ, რომ თავად ძალადაკარგულს სხვების დახმარების თავი აღარ ჰქონდა.

კოდორისკენ ფეხით მიმავალმა, გენწვიშთან უკან მივიხედე და სოხუმის თავზე, ცაში, წრედ შეკრული თეთრი ხაზი დავინახე, ეტყობა, რუსმა პილოტმა თავისი Су-27-ით გამარჯვების წრე დაარტყა დაპყრობილი ქართული ქალაქის თავზე.

ეს იყო დამარცხების, რომლის დაჯერება ჯერ კიდევ არ გვინდოდა, რეალურად შეგრძნების ზენიტი. გულში ჩავითქვით, რომ შეძლებისდაგვარად მალე უკან დავბრუნდებოდით, გამარჯვებისთვის. თუმცა, მას შემდეგ წლები გავიდა, უკან ღირსეულად დაბრუნების იმედი ხან იმატებდა, ხანაც მცირდებოდა, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომმა იმედს თითქოს წერტილი დაუსვა.

რა მივიღეთ აფხაზეთის ომიდან მეოცე წლისთავზე? დიდი გაურკვევლობა, თითქოს ორი ათეული წელი სადღაც უკვალოდ გაქრა, თუმცა, რატომ უკვალოდ, საქართველოს ორი ძირძველი ნაწილი აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, ხომ თითქმის შეუღწევადია ქართველისთვის.

რუსი მესაზღვრეები უტიფრად აგრძელებენ მავთულხლართების გაბმას და საქართველო-რუსეთის საზღვარი ენგურთან და თითქმის გორთან ჩამოგვიჩოჩეს.

იცით, გული რაზე გვტკივა? იმაზე, რომ თავზემოთ ძალა არ არის და ასე აშკარა ოკუპაციის დაკანონებას ვერაფრით ვეწინააღმდეგებით, ვერც სიტყვით და მით უმეტეს, ვერც ძალით.

2008 წლის აგვისტოს ომმა და მისმა მძიმე შედეგმა მთლიანად საქართველოს არა მარტო ტერიტორიული პრობლემები გაუჩინა, არამედ ფსიქოლოგიური და მორალური დარტყმაც მიაყენა. რა უნდა ვქნათ? ღამე დავესხათ თავს დიცსა და დვანთან რუსი მესაზღვრეების გაბმულ მავთულხლართებს და მოვანგრიოთ, თუ სამოქალაქო პროტესტის ნიშნად ასიათასობით კაცი დავსხდეთ იქ, სადაც ჯერ არ გაუბიათ საქართველოს გამყოფი მავთულხლართები?

არადა, რუსეთი ახალს არაფერს აკეთებს, იგი გეგმაზომიერად აგრძელებს სასაზღვრო-საკონტროლო ზოლის გავლებას მის მიერვე აღიარებული სეპარატისტებისთვის ტერიტორიის მოსანიშნად.

გამოსავალი კი თითქოს არ ჩანს. ვერც იარაღს გამოიყენებ, რადგან მოსკოვი მხოლოდ საბაბს ელოდება სამხედრო აგრესიის გასაგრძელებლად; ვერც სტრატეგიულ პარტნიორებად მიჩნეული აშშ-ისა თუ ევროპის იმედად იქნებით, რადგან მათი „აღშფოთება-შეშფოთება“ კრემლის კაბინეტებში სასაცილოდაც არ ჰყოფნით; ვერც (და არც) ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დაგვეხმარება, სადაც ჩვენი გაწევრების დიდი იმედი მოსახლეობის ნაწილში უკვე ქრება, ან მთლიანად გამქრალია.

რა გამოდის? 20 წლის უმძიმესი წლების გავლის შემდეგ კიდევ არ ვიცით, საქართველომ საით, როგორ და რატომ მივდივართ?

მომავლის იმედის ჩაქრობა, ალბათ, ბოლო წერტილი იქნებოდა, მაგრამ უიმედობა კიდევ უფრო საშინელებაა, ამიტომაც იმედი იმისა, რომ სოხუმისა და ცხინვალის თავზე გამარჯვების თეთრ რკალს ჩვენც შევკრავთ და იქ ქართველი ლტოლვილები მაინც დაბრუნდებიან, არასოდეს მოკვდება!




# რატომ გვიხმობენ NATO-ს რეაგირების ძალებში?

## რა შეუძლია NRF-ს და რა მოხდებოდა, აგვისტოს ომში რომ დაგვხმარებოდა

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ თითქმის სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა, როდესაც განაცხადა, რომ 2015 წლიდან ქართული არმიის დანაყოფებს NATO-ს სწრაფი რეაგირების ძალების შემადგენლობაში მიიღებენ.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ღია კარის წლობით შემყურე საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ეს მართლაც დიდი იმედისმომცემია, თუმცა ის მაინც ვერ შეცვლის საქართველოს სრულუფლებიან ნევრობას NATO-ში, თუმცა გარკვეულწილად უნდა დააჩქაროს ეს პროცესი.

რას წარმოადგენს NATO-ს სწრაფი რეაგირების ძალები და რამდენად შეუძლია დადებითი ძვრები მოახდინოს საქართველოს რთულ დღევანდელ და ხვალინდელ ცხოვრებაში.

ალიანსის სწრაფი რეაგირების ძალები უფრო ზუსტად იშიფრება როგორც NATO-ს რეაგირების ძალები (NATO Response Force), იგი ალიანსის შემადგენლობაში შედარებით ახალი სტრუქტურაა, თუმცა მისი წინამორბედი — NATO-ს მობილური ძალების სარდლობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს შეიქმნა. ამის მიზეზი შეიძლება ისიც გახდა, რომ იმ პერიოდში სწრაფად ძლიერდებოდნენ საბჭოთა არმიის საჰაერო-სადესანტო ჯარები, რომელიც კრემლის ძირითადად სწრაფი რეაგირების საშუალებას წარმოადგენდა.

60-იან წლებში NATO-ს ხელმძღვანელობა უფრთხოდა, რომ ალიანსის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფლანგებზე არასაკმარისი ძალა ჰყავდა საბჭოთა სატანკო არმადების შესაძლო შეტევის მოსაგერიებლად და ამიტომაც მობილური ძალების სარდლობას ოპერატიულად უნდა გადაესროლა დამატებითი საბრძოლო დანაყოფები ჩრდილოეთით — ნორვეგიაში თუ სამხრეთით — თურქეთში.

(გაგრძელება მე-12 გვ.)




# შვეულმფრენები პოლიტიკური თამაშებისთვის



პრეზიდენტი სააკაშვილი არ აღიარებს, რომ ქართული სამხედრო შვეულმფრენების საფრენოსნო რესურსი მისი და მისი მთავრობის ხშირმა დაუსაბუთებელმა ფრენებმა შეიწირა

შვეულმფრენების სკანდალი პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის არ ცხრება. თუკი პრეზიდენტი სააკაშვილი ახალ მთავრობას საფრანგეთში შესყიდული შვეულმფრენების გაყიდვის განზრახვაში სდებს ბრალს, თავის მხრივ, პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი პრეზიდენტს ფრანგულ „სუპერპუმებში“ დაახლოებით 55 მლნ ევროს არასწორად გახარჯვას აბრალებს.

ისე, ორივეს ერთი რამ აერთიანებდა: ორივე ცდილობდა, ესწავლა შვეულმფრენების მართვა, თუმცა დიდი მიღწევები არც ერთს არ ჰქონია.

პრეზიდენტი სააკაშვილი იმით ამართლებს საფრანგეთში ორი ახალი „სუპერპუმისა“ და ერთი AS-350 ტიპის შვეულმფრენის ყიდვას, რომ რუსეთი აღარ გვაწვდიდა ქართული არმიის შეიარაღებაში არსებული Ми-8 ტიპის სხვადასხვა მოდიფიკაციის შვეულმფრენებისთვის სათადარიგო ნაწილებს.

ერთი მხრივ, პრეზიდენტი სააკაშვილი სიმართლეს ამბობს, თუმცა რატომღაც დუმს იმ გარემოებაზე, თუ რატომ გაიხარჯა ქართული სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენების საფრენოსნო რესურსი, რატომ გამოიყენებოდა საარმიო შვეულმფრენები მსახიობები-



*ასე გამოიყურება VIP-სალონი „სუპერპუმაში“*



*„სუპერპუმაში“ ასეთი მარტივი სკამების დამონტაჟების შემთხვევაში იგი სადესანტო ოპერაციებისთვის გამოსადეგი გახდებოდა*

სა თუ მომღერლების სასეირნოდ, მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმების გადასაღებად, მაღალჩინოსნების არასამსახურებრივი მიზნით გადასაყვანად და ა.შ.

ასევე არაფერს ამბობს პრეზიდენტი სააკაშვილი იმ სკანდალურ თემაზეც, თუ რატომ არ დაფრინავენ სამიოდე წლის ნაყიდი ორძრავიანი „იროკეზები“, რატომ იყიდეს ისინი ესპანეთში მაშინ, როდესაც მათი საფრენოსნო რესურსი მხოლოდ 50 სთ-ს თუ შეადგენდა? დაისაჯა ამისთვის ვინმე?

ორი წლის წინ მალაიზიაში ნაყიდი ფრანგული შვეულმფრენი „სუპერპუმა“ ალექსეევკის ბაზაში თითქმის უქმად დგას. პრეზიდენტი სააკაშვილი კი აცხადებს, რომ ძველი შვეულმფრენის ყიდვა არ იყო სწორი გადაწყვეტილება, მაგრამ რატომღაც არც ამის გამო კიცხავს ვინმე, არადა, ამ შვეულმფრენს ჰაერში ათასობით საათი აქვს გატარებული და ყიდვისას უკვე ტექნიკურადაც და მორალურადაც მოძველებული გახლდათ.

რაც შეეხება ორი ახალი „სუპერპუმის“ შეძენას. ისინი AS332 ტიპისაა და მათგან ერთს VIP-სალონი აქვს. ეს გამორიცხავს ამ შვეულმფრენის სამხედრო-სადესანტო მიზნით გამოყენებას ამ ძვირად ღირებული სალონის დემონტაჟის გარეშე.

„სუპერპუმების“ ბოლო მოდიფიკაციებს აქვს მართვისა და ნავიგაციის თანამედროვე რადიოელექტრონული აპარატურა, თუმცა მათი ექსპლუატაცია ძვირი ჯდება, უპირველესად ძვირად ღირებული ზეთების გამო.

უპრიანი იქნებოდა, თუკი ქართული სამხედრო ავიაცია დაკომპლექტ ებული იქნებოდა, ძირითადად, ერთი ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენებით, რაც გააადვილებდა საფრენოსნო და ტექნიკური პერსონალის მომზადებას, ასევე უნიფიცირებული სათადარიგო ნაწილების გამოყენებას.

ამ მხრივ საქართველოს მაღალმთიანი რელიეფის გათვალისწინებით ბევრად უპრიანი იქნებოდა ქართული სამხედრო ავიაციის პარკის შევსება Ми-8 ტიპის შვეულმფრენების თანამედროვე მოდიფიკაციებით (მაგალითად, Ми-8МТВ-5, Ми-171 და ა.შ.), თუმცა მოსკოვი არც ყაზანის და არც ულან-უდეს საავიაციო ქარხნებიდან ასეთ ახალ შვეულმფრენებს არ მოგვყიდის. არადა, პენტაგონს შეუძლია უპრობლემოდ იყიდოს, შემდეგ კი ამერიკელები მათ ავღანეთის ხელისუფლებას აძლევენ.

ქართული სამხედრო საშვეულმფრენო პარკის განახლების და შევსების კიდევ ერთი და მეტ-ნაკლებად რეალური გზა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, აშშ-ის დახმარების გაგრძელება იქნებოდა. 2012 წლის იანვარში ვაშინგტონში აშშ-ისა და საქართველოს პრეზიდენტები თითქოს შეთანხმდნენ კიდეც ორ ქვეყანას შორის სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობასა და ჩვენთვის სატრანსპორტო შვეულმფრენების პარკის განახლებაზე, თუმცა დღემდე საქმე არ დაძრულა. არ გაგვიკვირდება, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ამაშიც პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს დასდოს ბრალი.

**ირაკლი ალადაშვილი**



*55 მლნ ევრო სააკაშვილის მთავრობამ ამ ორ „სუპერპუმაში“ გადაიხადა, რომელთაგან მარცხენაში VIP-სალონია დამონტაჟებული*



*მალაიზიაში ნაყიდ „სუპერპუმას“ 27 ათასი საათი აქვს ნაფრენი და დღეს ტექნიკურად გაუმართავია*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ გვიხმობენ NATO-ს რეაგირების ძალებში?

(დასაწყისი მე-9 გვ.)

თუმცა 1962 წლის ბერლინის კრიზისის შემდეგ, ალიანსის ხელმძღვანელობამ აქცენტი მაინც NATO-ს ცენტრალური რაიონის თავდაცვაზე გააკეთა, რისთვისაც აშშ-მა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილში წინასწარ დააგროვა ორი მექანიზებული დივიზიისთვის საკმარისი შეიარაღების, აღჭურვილობისა და ტყვია-წამლის მარაგი, რათა კრიზისის დროს ჩრდილო ამერიკიდან ევროპაში მათ სწრაფ გადმოსროლაზე თავი არ ეტეხა.

„ცივი ომის" „გალხობის" შემთხვევაში აშშ-ს ნაკისრი ჰქონდა საიდუმლო ვალდებულება, რომ NATO-ს შემადგენლობაში შუა ევროპაში ათ დღეში 10 დივიზია გაემზადებინა საბრძოლველად.

> მოსკოვს NATO-ს რეაგირების ძალებში საქართველოს გაწევრების შესაძლებლობაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, მწვავე რეაქცია ჰქონდა.

„ცივი ომის" დამთავრების შემდეგ NATO-ს მობილური ძალების სარდლობას ორჯერ მოუხდა მოქმედება — 1995 წელს ბოსნია-ჰერცეგოვინაში IFOR-ის და 1999 წელს კოსოვოში KFOR-ის მისიების შექმნისას, როდესაც ალიანსის სწრაფი რეაგირების კორპუსმა პირველი ეშელონის ძალების ფუნქცია შეასრულა.

NATO-ს მობილური ძალების სარდლობა 2002 წელს გაუქმდა და 2003 წელს ბრიუსელში ალიანსის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა თათბირზე შეიქმნა NATO-ს რეაგირების ძალები — NRF.

2004 წელს NRF-ის რიცხოვნობა 17 ათას კაცს შეადგენდა, ორი წლის შემდეგ კი 25 ათასამდე გაიზარდა. NRF შედგება სამი ორგანიზაციული ერთეულისგან: მმართველობა, დაუყოვნებელი მოქმედების ძალები 13 ათასი კაცის შემადგენლობით და რეაგირების ძალების რეზერვი, რომელმაც საჭიროების შემთხვევაში დახმარება უნდა გაუწიოს კონფლიქტის ზონაში გადასროლილ დაუყოვნებელი მოქმედების ძალებს.

NRF-ის დაკომპლექტება როტაციის პრინციპით ხდება. ალიანსის წევრი ქვეყნები ყოველ ექვს თვეში გამოყოფენ დანაყოფებს თავიანთი სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალებიდან NRF-ის რიგების შესავსებად. დაუყოვნებელი მოქმედების ძალებში შედის სახმელეთო კომპონენტი ერთი ბრიგადის შემადგენლობით (თავად ბრიგადა შედგება სამი ტაქტიკური ჯგუფისგან და ლოგისტიკის დანაყოფისგან); საზღვაო კომპონენტი, რომელშიც გაერთიანებულია ალიანსის სამხედრო-საზღვაო ჯგუფები ატლანტის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვაში, ასევე მუდმივმოქმედი ნაღმსაწინააღმდეგო ჯგუფები; საბრძოლო ავიაციისა და მისი უზრუნველყოფის კომპონენტი; სპეციალური დანიშნულების ჯარები და მასობრივი განადგურების იარაღისგან თავდაცვის ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფი.

NATO-ს რეაგირების ძალების ამოცანაა წევრი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, ძალის დემონსტრირება, მშვიდობის უზრუნველყოფა



*NRF-ის შემადგენლობაში ქვეყნები თავიანთ სამხედროებს გამოყოფენ*

ეროვნული ბიბლიოთეკა




NRF-ი სწრაფი რეაგირებისთვის საბრძოლო ავიაციას იყენებს

რეგიონში, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების დაცვა, სტიქიური უბედურების დროს დახმარების აღმოჩენა.

შექმნიდან დღემდე NRF-მ შემდეგი ოპერაციები ჩაატარა: 2004 წელს ათენში ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებას იცავდა; 2004 წელს ავღანეთში საპრეზიდენტო არჩევნებზე სიმშვიდეს უზრუნველყოფდა; 2005 წელს აშშ-ში ქარიშხალ „კატრინას" დროს ევროპიდან დახმარება, ხოლო 2005-06 წწ-ში პაკისტანში ძლიერი მიწისძვრის შემდეგ 3500 ტონა საჭირო ტვირთი ოპერატიულად ჩაიტანა.

NATO-ს რეაგირების ძალებს შეიძლება თავისი მოქმედების სია ღირსეულად გაეგრძელებინათ, 2008 წლის აგვისტოში რუსული სამხედრო აგრესიის საპირისპიროდ საქართველოში ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ბრძანება რომ მიეღოთ, თუმცა ასე არ მოხდა...

NRF-ს შემადგენლობაში ალიანსის წევრი ქვეყნების გარდა მონაწილეობა NATO-ს პარტნიორ ქვეყნებს შეუძლიათ. მაგალითად, NRF-ის რიგებში უკრაინა ჯერ კიდევ სამი წლის წინ მიიწვიეს, ამიტომაც განსაკუთრებული იმაში, რომ მალე ალიანსის რეაგირების ძალებში ქართველი სამხედროებიც შეიძლება ვიხილოთ, არაფერია.

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ ქართველ საზოგადოებაში გაჩნდა შიში, რომ ქართველ სამხედროებს NATO-ს რეაგირების ძალები სხვადასხვა კონფლიქტურ ზონაში გამოიყენებს.

NRF-ის კონცეფცია თავად მონაწილე ქვეყანას აძლევს არჩევანს, თუ რამდენ სამხედროს და რა დროით დაუთმობს NATO-ს.

ასე რომ, ზეწოლა არ იქნება, თუმცა არც შარშან აძალებდა ვინმე სააკაშვილის მთავრობას ავღანეთში ქართული კონტინგენტის 1600 კაცამდე გაზრდას და არც ახალ მთავრობას ოპოზიციონერი პრეზიდენტის მაინცდამაინც ამ ახირების ასრულებას.

**ირაკლი ალადაშვილი**



კონფლიქტის ზონაში მისაღწევად უსწრაფეს გზას პარაშუტისტების გადასხმა წარმოადგენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალაია-მერაბიშვილის დაპირისპირებას შეწირული სპეცრაზმელები



## „გაუპატიურების იმიტაციას ქმნიდნენ... ყველაფრის მოყოლა არ შემიძლია“

მთელი საქართველო (და არა მარტო) ადევნებს თვალყურს თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესს. რამდენიმე საქმეზე ის მართლმსაჯულებამ უდანაშაულოდ ცნო, რის შემდეგაც უმცირესობის წევრებმა ახალაიას სახელთან დაკავშირებულ ძალადობის ფაქტებზე ქილიკიც კი დაიწყეს...

თუმცა არის ფაქტები, რომლის შესახებაც საზოგადოებამ ცოტა რამ თუ იცის, მაგალითად, ე. წ. შვიდკაცას ეპიზოდი, სადაც ახალაიას იალლუჯის ბაზაში ჯარისკაცების წამებაში ადანაშაულებენ, ამ საქმის განხილვა აგვისტოში დასრულდა, თუმცა მოსამართლეს გადაწყვეტილება არ გაუსაჯაროებია (23 სექტემბრის მდგომარეობით).

იალლუჯის ბაზაში არაადამიანურად ნაწამები პირები განაჩენს ელიან. ყველაფერი ასე დაიწყო: ახალ მინისტრ ბაჩო ახალაიას, თანამშრომლების აზრი აინტერესებდა და მაქსიმალური ინფორმაციის მიღებას ცდილობდა. ერთ-ერთ ლხინზე მისმა „კადრმა“ სიტყვა ჩამოაგდო ახალ მინისტრზე, თანამეინახეებს აზრი ჰკითხა. მათაც დაუფარავად უთხრეს, ვანო მერაბიშვილს ძალიან დიდ პატივს ვცემთ, ეს ვინ მოგვიყვანესო, წამოსცდენია ერთ-ერთს. მათ საუბარს მობილურით იწერდა შეკითხვის ავტორი და შემდეგ „მასალა“, სადაც ჯერ არს, გადასცა. საქმე ის არის, იმ შვიდი სამხედროდან ლხინს მხოლოდ ორი მათგანი ესწრებოდა და დანარჩენების აზრით, მათი დასჯა უბრალოდ „პრევენციული ზომა“ იყო.

— 2012 წლის 18 აგვისტოს, როგორც შს სამინისტროს ერთ-ერთი განყოფილების თანამშრომელი შიდა ქართლში, კონფლიქტის ზონაში მიმავლინეს. ერთ დღეს პოლიციის პიკაპით რამდენიმე პოლიციელი მოვიდა, მინისტრს თქვენთან გასაუბრება სურსო და ოთხი კაცი წამოგვიყვანეს, ოღონდ ცალ-ცალკე.

**— არ იკითხეთ, მინისტრი რა საკითხზე გიბარებდათ?**

— რა თქმა უნდა, მიპასუხეს, არ ვიცი, რაც დაგვავალეს, იმას ვასრულებთ, ბრძანება გვაქვს და ჩვენგან არაფერი გეწყინოსო... მინისტრი კარგ საქმეზე რომ არ დაგვიბარებდა, ძნელი მისახვედრი არ იყო. ბაზაში მისვლის შემდეგ, კიდევ სამი შემოგვემატა. ჩვენს მისვლამდე იქ ბაჩო ახალაია ყოფილა და ორი ბიჭისთვის სასტიკი შეურაცხყოფა მიუყენებია. შემდეგ ყველანი კლუბში (სამმართველოს საატო დარბაზში) შეგვიყვანეს და პინგვინები და მოლალატეები გვიწოდეს, ფულს იღებთო, ვისგან არ დაუკონკრეტებიათ, მაგრამ ისედაც გასაგებია, ვისზეც გვეუბნებოდნენ. მთელი ოფიცერთა შემად-

გენლობის წინაშე გვლანძლავდნენ. მინისტრს ხომ ვერ შევეპასუხებოდით, რატომ ვართ მოღალატეები, ყველას იმის იმედი გვქონდა, რომ მალე ყველაფერი გაირკვეოდა, გამოძიება ჩატარდებოდა. შემდეგ ვილაც სამოქალაქო პირი მოვიდა. როგორც მოგვიანებით გავიგე, ნიკა ძიმცეიშვილი ყოფილა, ბაჩო ახალაიას ერთ-ერთი მოადგილე. ჩემი გვარი იკითხა, რომელიაო. მე გახლავართ-მეთქი. თვალებში ბრაზი ჩაუდგა, შენ გაჩუქეს, ბიჭო, ბინაო?.. არავის არაფერი უჩუქებია და იპოთეკით მომცეს, რომლის თანხასაც დღემდე ვიხდი, გნებავთ, ქვითრებს წარმოგიდგენთ-მეთქი. დაჯექი მანდო, მითხრა... უშვერად გვლანძლავდა, თავი არავინ წამოსწიოთ, თორემ ოჯახებს აგიწიოკებთო. ეს სიტყვა ჯადოსავით ქრიდა ჩვენზე, რადგან ვიცოდით, ყველაფერზე წამსვლელი იყვნენ.

**რამდენჯერმე ცოცხლად დამარხვის იმიტაციაც გააკეთეს. უნიტაზს თავზე გვადგამდნენ, ამის ღირსი ხართო... ცოცხალ-მკვდრები ვეყარეთ...**

— **რომელ ბაზაში იყავით?**

— ვერ დავაკონკრეტებ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ თბილისში, დისლოკაციის ადგილზე ვიყავით. ცოტა ხნის შემდეგ ბაჩო ახალაიაც მოვიდა და სამმართველოს შტაბში ავიდა. ნახევარსაათიანი თათბირის შემდეგ გამოვიდნენ. ბაჩომ პირდაპირ განაცხადა, როგორც მოვილაპარაკეთ, ისე გავაკეთოთ, მე ამათთვის არ მცალიაო და წავიდა. მათ შორის იყო მინისტრის მოადგილე შალვა ჯანაშვილი, რომელიც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სასამართლო პროცესზე მოწმედ გამოვიდა. იმ თათბირს ესწრებოდა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, შტაბის უფროსი პოლკოვნიკი სვიმონ ქარჩაიძეც... იყვნენ ისეთი პირებიც, ვინც ვერ ვიცანი. შტაბში შევედით თუ არა, შესასვლელთან, სამმართველოს უფროსი დავით ვეკუა გამოგვივარდა. ის მაშინ ახალი დანიშნული იყო... ძველი სამმართველოს უფროსი შევიბულებაში იყო, ისე დანიშნეს ახალი. ვეკუა [illegible] მეცა და ჩამოგლეჯა დამიწყო. რას აკეთებ[illegible] მაიორო, ამას როგორ კადრულობთ-მეთქი... გადი, ბიჭო, „ნუ მეკაჩავები“, გრცხვენოდეს მაინც, შენ და შენი მეგობრები მოღალატეები ხართო. კამუფლაჟზე დამაგრებული სამკერდე ნიშნები ჩამომგლიჯა, ძირს დაყარა და ფეხებით შესდგა, ამის ტარების ღირსი არა ხართ, თქვე გარეწრებოო... სიმწრისგან ცრემლები მომადგა, ვინ მელაპარაკება პატრიოტობაზე, 18 წელია ფორმა მაცვია-მეთქი... სხვები გაშტერებული იდგნენ და გვიყურებდნენ. უკვე ყველანი ვხვდებოდით, რომ გაგვწირავდნენ.

— **რას ნიშნავს „გაგვწირავდნენ?“**

— ეს ისეთი სისტემაა, თუ ერთხელ შემოგიტრიალდა, მის წინააღმდეგ ვერ წახვალ. ერთადერთი გამოსავალი სამსახურისთვის თავის დანებებაა, მაგრამ არც ამის საშუალება მოგვცეს, ჩვენს მაგალითზე სხვების დაშინება უნდოდათ. აქედან ან პირდაპირ ციხეში წახვალთ, ან ჩვენ რასაც გეტყვით, იმას გააკეთებთო, გვითხრეს. როდესაც უწყებებს შორის დაპირისპირებაა, ეს ყველაფერზე უარესია. აშკარა იყო, ჩვენი სამმართველოსთვის ავტორიტეტის შელახვა უნდოდათ. ეს შემდეგ გამოიკვეთა...

გამოგვიცხადეს, რომ იალღუჯის ბაზაში წაგვიყვანდნენ და „მოგვხედავდნენ“. ჩაგვიყვანეს კიდეც, ღამის ორი საათიდან დილის ათის ნახევრამდე გვავარჯიშეს. მხოლოდ წყლის დალევის უფლება გვქონდა.

თავდაცვიდან ჰყავდათ ოცეული გადმოყვანილი, ვი-




*კლანური დაპირისპირების გამო მოხდა ყველაფერი, ჩვენი სამმართველოს ოფიცერთა შემადგენლობის დაკნინება უნდოდათ*



**შს მინისტრად დანიშნულმა ბაჩო ახალაიამ ვერ აიტანა, რომ პოლიციელების დიდი ნაწილი ვანო მერაბიშვილს მისტიროდა და ჩვენი დასჯა დაიწყო...**

თომ სადაზვერვო ოცეული იყო და მათ ჩაგვაბარეს. ჩვენზე უთხრეს, წოდებაყრილი არიან და აბა, თქვენ იცით, ჩვენ რომ ვიცით, ისეთი ფიზმომზადება ჩაუტარეთო... დილას დავით ვეკუამ, მთელი სამმართველო მოაწყო. დამლაგებლებიც და მზარეულებიც კი მწყობრში იდგნენ. მათ წინაშე შვიდი კაცი დაგვაყენეს და ბოდიშს ვუხდი მკითხველს, მაგრამ სულ „ნ...რი ძაღლები" გვიძახეს. სხვებსაც მიმართეს, ვიცით, რომ თქვენ შორისაც არიან ასეთები და უკანასკნელ გაფრთხილებას გაძლევთ, არ დაგინდობთო. ესენი მოღალატეები, გარეწრები არიანო. ეს ჩვენმა სპეცსამსახურებმა დაადგინეს, ამიტომაც სამსახურიდან გავყარეთო. მერე ჩვენ მოგვიბრუნდა, პატაკები ხომ დაწერეთო?.. გამიკვირდა, თუ მაგდებენ, პატაკი რად უნდათ-მეთქი. შემდეგ ვიღაცამ დარეკა, ყველანი შტაბში აიყვანეთო. მოკლედ, ისევ უკან შეგვყარეს. კადრების ინსპექტორს უთხრეს, ამათი გათავისუფლების ბრძანების ელექტრონული ვერსია დაწერე და კადრების სამმართველოში გაგზავნეო. მან უარი თქვა, ასე არ ხდებაო. მაშინ ისე დაწერე, რომ ნებით მიდიანო... შემდეგ ისევ დარეკა ვიღაცამ და გვითხრეს, გადაწყდა, კურსებზე მიდიხართო. სხვა ოფიცრებსაც ამზადებდნენ კურსზე გასაგზავნად და ჩვენც მათ მიგვამატეს. სანამ წამოვიდოდით, შტაბში ვეკუამ შეგვიყვანა, მუჭი ხელისგულზე დაირტყა, ხომ იცით, იქ რაზეც მიდიხართ, დარეკილი გვაქვს და გელოდებიან! თქვე მოღალატეებო, რომელი იყო, გენერალთან რომ მიჩიოდითო... ნამდვილად არ ვიცი, რომელ გენერალსა და რა ჩივილზე ლაპარაკობდა. მოკლედ, ორ სატვირთო მანქანაში ჩაგვსხეს და იალლუჯის ბაზაში მიგვიყვანეს. მაშინ სამმართველოს სერჟანტი გოგიტიძე იყო, ახლა ლონდონში იმალება. ასეთი შტატი ადრე არ არსებობდა, მაგრამ მინისტრის ბრძანება იყო, ვისაც სად უნდოდათ, იქ ნიშნავდნენ, თან სიტყვიერად. მოწყობაზე თანამშრომლებს ეუბნებოდა, ახლა მე ვარ თქვენი საქართველო და რაც მინდა, იმას გაგაკეთებინებთო. მაჰმადიანი იყო და ხატები ყველგან ჩამოახსნევინა. არადა, სამსახურებრივი მოვალეობისა თუ სხვა დროს დაღუპული ბიჭების კუთხე გვქონდა მოწყობილი და სანთლებს ვანთებდით. გოგიტიძეს უთქვამს, წადით და სახლებში ან ეკლესიაში ილოცეთო...

— **ამას პროტესტი არ მოჰყოლია?**

— ვინ გაბედავდა, ეგრევე ჩახოცავდნენ. სანამ ჩვენ იქ ვიყავით, ერთი თვე და სამი დღე მთელი ნაწილი ყაზარმულ რეჟიმზე იყო. იქ, სადაც პირველად მიგვიყვანეს, თბილისის ერთ-ერთ ბაზაში, დისლოკაციის ადგილას, რომელიც შუაგულ თბილისში იყო, ქვიშის ტომრებით თავდაცვა იყო გაკეთებული. ვინმე რომ გადმოსულიყო ან გაქცევა ეცადა, იქვე ესროდნენ. ნამდვილად ვიცი, უკან არ დაიხევდნენ...

იალლუჯის ბაზაში ჩვენ გარდა 38 კაცი იყო, მაგრამ ჩვენ 7 ცალკე გადაგვიყვანეს. საკუჭნაოში ჩაგვკეტეს და ოფიცრის ქამრებით გვცემეს. მთელ სხეულზე ზოლები გვეტყობოდა. ცემას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ ისეთ შეურაცხყოფას გვაყენებდნენ, სიკვდილს ვნატრობდით. გვცემდნენ, რბილი ნათქვამია, წიხლებით შეგვდგნენ და მოგვატრიალეს და... არ ვიცი, ყველაფერი როგორ ვთქვა... გაუპატიურების იმიტაციას ქმნიდნენ. მიწაზე დაგვყარეს და ჯარისკაცთა ოცეულს უბრძანეს, გადაუარეთ, მოღალატეები არიანო!.. იმათაც გადაგვიარეს, მერე ბოდიშს გვიხდიდნენ...

— **რა შემთხვევაში ასრულებენ ასეთ ბრძანებას?**



**ამერიკელებთან მართლაც ძალიან რთული წვრთნა გავიარე, მაგრამ როდესაც კაცს დღეში სამჯერ სცემ და ის ხელს არ გიბრუნებს, ეს წვრთნა არ არის...**

— ისინი წვევამდელები იყვნენ, შეეშინდათ... ასეთ დავალებას იმ შემთხვევაში ასრულებენ, როდესაც ჯარის სათავეში ბაჩო ახალაიასნაირი კაცი დგას. იმ 38 კაციდან რამდენიმემ ფეხი ილრძო, ერთს ინფარქტი დაემართა და კინაღამ მოკვდა... ბაზის ხელმძღვანელობა დამუნჯებული უყურებდა ჩვენს წამებას. გვემუქრებოდნენ, თქვენი ბედი, ბაჩოს რომ არ სცალია, თორემ ვილაცაზე აუცილებლად წასცდებოდა ხელიო. ამას თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები გვეუბნებოდნენ. მათ შორის ჩუბინიძე (ის პოლკოვნიკად გაგვეცნო, არადა, სერჟანტის წოდება აქვს), რომელიც ბაქო-ჯეიჰანის მილების დაცვაზე მუშაობდა. მან კინოთეატრ „რუსთაველში" ერთი ახალგაზრდა საკონტროლო გასროლით მოკლა და 16 წელი ჰქონდა მისჯილი, თუმცა, 10 წლის მოხდის შემდეგ, პრეზიდენტის შეწყალებით გამოვიდა. ასევე, სასტიკად აგრესიული იყო სამოქალაქო პირი დავით ალექსაშვილი.

რამდენჯერმე ცოცხლად დამარხვის იმიტაციაც გააკეთეს. უნიტაზს თავზე გვადგამდნენ, ამის ღირსი ხართო... ცოცხალ-მკვდრები ვეყარეთ.

მხოლოდ ოთხი კაცი გვექცეოდა ადამიანურად. ღამით მალულად სიგარეტს გვაძლევდნენ. რამდენჯერმე აბანოში შეგვაპარეს. არაფერი გაგვაჩნდა. საცემრად რომ გავყავდით, ის ოთხი არ გვირტყამდა, რის გამოც ეჩხუბნენ, თქვენ რა, დედა ტერეზები ხართ, რატომ არ ურტყამთო? მერე სასამართლო პროცესზე ოთხივემ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენება მისცა. მესმის მათი...

— **მსგავს ფაქტებს, წამებას ვგულისხმობ, ძალოვანების ერთი ნაწილი „ფსიქოლოგიურ წვრთნას" უწოდებს...**



— ამერიკელებთან მართლაც ძალიან რთული წვრთნა გავიარე, მაგრამ როდესაც კაცს დღეში სამჯერ სცემ და ის ხელს არ გიბრუნებს, ეს წვრთნა არ არის... [illegible] ჩამარტყეს და თავი გამიტეხეს. ახლაც მეტყობა იმის. სახეში იმდენჯერ დამარტყეს, ტუჩი მქონდა გახეთქილი და კბილი მიჩანდა. არ ვიცი, რა დამარტყეს, ეტყობა, ნერვზე მომხვდა და ის ადგილი ახლაც ჩალურჯებული მაქვს... წარამარა გვახსენებდნენ, თქვენს ოჯახებზე ყველაფერი ვიცით და აგიწიოკებთო. დავით ვეკუა გამუდმებით გვიმეორებდა, ბრძანებას გავცემ, საბავშვო ბაღებში, სკოლებსა და ნებისმიერ დაწესებულებაში, სადაც კი თქვენი ოჯახის წევრები დადიან, წერილებს დავაგზავნინებ, რომ სამშობლოს მოღალატეები ხართო. ვიხვეწებოდით, გაგვასამართლეთ-მეთქი, მაგრამ არავინ გვისმენდა... ერთხელ გოგიტიძე და ვეკუა საუბრობდნენ, ამათ შამათავა უნდათ, იმან იცის საქმის კეთებაო...

ერთი თვისა და სამი დღის შემდეგ, გვითხრეს, კი ვიცით, რისი ღირსი ხართ, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, მინისტრი მოწყალეა და გამოსწორების ერთ შანსს მოგცემთო. მერე გავიგეთ, ორხევის ბატალიონიდან სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ბიჭები უნდა მოეყვანათ და ჩვენი სამმართველოს ორი ოცეულის შემადგენლობა უნდა ვეცემეთ. იალლუჯიდან დაბრუნების შემდეგ, ყველანი სამმართველოს ტერიტორიაზე არსებულ სააქტო დარბაზში შეგვიყვანეს. შალვა ჯანაშვილმა სამმართველოს, პრემიერ-მინისტრისა და მთლიანად, სახელმწიფოს სახელით, ბოდიში მოგვიხადა; ისე „კომპაქტურად" აკეთებდნენ ამ ყველაფერს, რომ ვერაფერი შევძელით. თურმე ვანო მერაბიშვილს ძლივს დაუკავშირდნენ და ჩვენი ამბავი გააგებინეს. შტაბის უფროსი სოსო ქარჩაიძეც კი მოსულა ერთხელ ჩვენს წამოსაყვანად, მაგრამ ბაზის ტერიტორიაზე არ შემოუშვიათ და ის ღამე ჭიშკართან გაუთევია. მამუკა აბაშიძეს, რომელიც ანტიტერორისტული ცენტრის უფროსი იყო (ახლა ამ საქმეზე მსჯავრდადებულია) უთქვამს, სანამ პირადად ბაჩო არ მიბრძანებს, ვერც ერთს ვერ გაგატანთო.

იმ ადგილიდან, სადაც გვაწამებდნენ, დაახლოებით ას მეტრში, ჩვენი სპეცრაზმი ტაქტიკაში ვარჯიშობდა. ის ბიჭები ყოველ მესამე დღეს იცვლებოდნენ. რამდენიმე ვიცანი, მაგრამ ვანიშნე, ახლოს არ მოსულიყვნენ, შემეშინდა, შარში არ გაეხვიონ-მეთქი. ერთმა დაიძახა, რას აკეთებთ, ხალხო, ეს წვრთნა არ არისო...

— **რა მიზანი ჰქონდა თქვენს დაკავებას და შემდეგ წამებას?**

— კლანური დაპირისპირების გამო მოხდა ყველაფერი, ჩვენი სამმართველოს ოფიცერთა შემადგენლობის დაკნინება უნდოდათ. დანარჩენს, ალბათ, გამოძიება იტყვის... სასამართლოზე ყველამ ყველაფერი გადათქვა, სუსტები იყვნენ და რეინჯერის სპეციალური კურსი ჩავუტარეთო, არადა, არც ტესტირება ჩაუტარებიათ და არც ფიზმომზადება... ვეკუა ერთი კვირის დანიშნული იყო მაშინ. ველოდებით საბოლოო განაჩენს და შემდეგ გადავწყვეტ, კერძო სარჩელი შევიტანო თუ არა...

— **ყველანი დაუბრუნდით სამსახურს?**

— დიახ, შვიდივე. იმ ჯოჯოხეთიდან 21 სექტემბერს გამოვედით და იმ დღეს ჩვენი გადარჩენის დღეს ვუწოდებთ.

**ლალი პაპასკირი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სირიაში „ზარინი“ საბჭოთა რაკეტებმა გააფრქვიეს



## გაეროს ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სირიის მოქალაქეები ნახევარსაუკუნოვანი საბჭოთა წარმოების რაკეტებმა მოწამლა



РПУ-14-დან „ზარინის“ შემცველი რაკეტების გასროლაც შეიძლება

21 აგვისტოს სირიის დედაქალაქ დამასკოს გარეუბან გუტში მომხდარი თავდასხმის, რომელსაც დაახლოებით 1500 კაცი შეეწირა, დეტალები გაეროს სპეციალურმა კომისიამ დაადგინა.

გაეროს ექსპერტებმა დაადგინეს, რომ თავდასხმისას ნამდვილად გამოიყენეს მომწამვლელი გაზი „ზარინი“, ხოლო მისი გადატანა საბჭოთა წარმოების რაკეტებით მოხდა.



გაეროს ექსპერტებმა ამ ფრაგმენტში საბჭოთადროინდელი რაკეტა M-14 ამოიცნეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქიმიური შეტევის მსხვერპლნი

ტრაგედიის ადგილზე აღმოჩენილ ერთ-ერთი რაკეტის ნამსხვრევზე ექსპერტებმა ამოიკითხეს კირილიცით შესრულებული წარწერა Г ИШ 4 25-6 7-179K, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ „ზარინი“ ჩატუმბული იყო М-14 ტიპის საბჭოთა წარმოების უმართავ რაკეტებში.

140 მმ კალიბრის М-14 ტიპის ტურბორეაქტიული ჭურვის გაშვება შეუძლია როგორც БМ-14 ტიპის ზალპური ცეცხლის მობილურ რეაქტიულ სისტემას, ისე РПУ-14 ტიპის ბუქსირებად დანადგარს.

ასეთი ზალპური ცეცხლის ეს სისტემები საბჭოთა კავშირში გასული საუკუნის 50-იან წლებში შეიქმნა და 1967-69 წწ-ებში სირიამ 200-მდე ასეთი დანადგარი შეიძინა.

სავარაუდოდ, 21 აგვისტოს უფრო კომპაქტურ РПУ-14-დან ისროდნენ, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ „ზარინიანი“ რაკეტები სათითაოდ დაშლილი ლულებითაც გაესროლათ, რომელთა დამალვა უფრო ადვილია.

ეს ტექნიკური შესაძლებლობა აძლიერებს ვერსიას, რომ რაკეტების გაშვება სირიის სამთავრობო ჯარების გარდა, ოპოზიციასაც შეეძლო.

М-14 ტიპის ტურბორეაქტიულ ჭურვს სამ მოდიფიკაციად აწარმოებენ: М-14-ОФ მსხვრევად-ფუგასურია, М-14Д-ს კვამლის ფარდის შესაქმნელად იყენებდნენ, ხოლო ქიმიურ М-14-ში (რომლის სიგრძე 1,05 მ-ს, ხოლო მასა კი 39,6 კგ-ს შეადგენდა) Р-35 ტიპის ქიმიური ქობინი — „ზარინი“ იყო განთავსებული.

21 აგვისტოს სირიაში სწორედ ასეთი, „ზარინის“ შემცველი М-14 ტიპის ტურბორეაქტიული ჭურვები გამოიყენეს.

გაეროს ექსპერტებს არ ევალებოდათ ზუსტად განესაზღვრათ, თუ რომელმა მხარემ გამოიყენა ქიმიური იარაღი. თუმცა დიდი ეჭვი მაინც ბაშარ ასადის მომხრეებზე არსებობდა.




წითლად მონიშნულია დამასკოს ის გარეუბნები, სადაც „ზარინი“ გაიფრქვა

რუსეთის პოლიტიკური ზეწოლის შედეგად აშშ-მა ველარ გაბედა საჰაერო იერიშის დაწყება. თავის მხრივ, სირია სასწრაფოდ შეუერთდა ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციას, რითაც კიდევ ერთი საბაბი გაუქარწყლა თეთრ სახლს.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ და რუსეთი შეთანხმდნენ საერთო ძალით გაანადგურონ სირიის ქიმიური იარაღი, არ არის გამორიცხული, უახლოეს მომავალში ქიმიური იარაღი კვლავ გამოიყენონ სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვეულ ამ უძველეს ქვეყანაში.

ირაკლი ალადაშვილი



# NATO-ს მთრალავი ხომალდების ვიზიტი ბათუმში

საქართველოს პორტებში ბათუმსა და ფოთში სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო ხომალდების მეგობრული, საქმიანი თუ სხვა სახის ვიზიტები უცხო არ არის.

განვლილ წლებში ჩვენს პორტებს რამდენიმე ქვეყნის დაახლოებით ხუთ ათეულამდე სამხედრო ხომალდი სტუმრობდა და მათ შორის იყო სარაკეტო კრეისერები, საესკადრო ნალმოსნები, ფრეგატები, კორვეტები, აგრეთვე საშტაბო, ნალმგადამლობი და სადესანტო ხომალდები. ერთხელ ფოთში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალების სასწავლო იალქნიანი ხომალდი Gorch Fock-იც იმყოფებოდა.

სასწავლო Gorch Fock-ის გარდა, ზემოთ დასახელებული კლასების ყველა ხომალდი საბრძოლოა და მთავარი დანიშნულება მოწინააღმდეგის წყალზედა, წყალქვეშა თუ საჰაერო სამიზნეებთან ბრძოლა და საზღვაო-სადესანტო ოპერაციების უზრუნველყოფაა.

5 სექტემბერს ბათუმში უკრაინული სევასტოპოლიდან გამოსული NATO-ს მე-2 მუდმივი ნალმსაწინააღმდეგო ჯგუფის (Standing NATO Mine Counterme-



გერმანელი მეზღვაურებისა და აჭარის სამაშველო სამსახურების ერთობლივი სწავლების ეპიზოდები

asure Group SNMCMG2) მტრალავი ხომალდების შემოსვლამ ვიზიტიორი ხომალდების დამკვიდრებული ტრადიცია დაარღვია.

საბრძოლო ხომალდებისგან განსხვავებით მტრალავებს „ზღვის მხვნელებს“ ეძახიან, რადგან ამ კლასის ხომალდების ამოცანა ნაღმებთან ბრძოლა, სამხედრო ხომალდებისა და სამოქალაქო გემებისთვის უსაფრთხო ცურვის უზრუნველყოფაა.

მტრალავი ხომალდების ოფიციალური ვიზიტი საქართველოს პორტებში არასდროს შემდგარა, გარდა ერთი შემთხვევისა — 2001 წლის 11-23 ივნისს ფოთის მახლობლად NATO-ს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამით დიდი სამხედრო-საზღვაო სწავლება Cooperative Partner 2001 ჩატარდა, რომელშიც NATO-ს წევრი და არაწევრი ქვეყნების რამდენიმე ათეული საბრძოლო ხომალდი და დამხმარე გემი მონაწილეობდა.

სწავლებიდან თავისუფალ ერთ-ერთ დღეს ფოთში მტრალავი ხომალდების მთელი ფლოტილია ჩამოდგა: იტალიური M5554 Gaeta, ჰოლანდიური M853 Haarlem-ი, ესპანური M32 Sella, ბერძნული M213 Cleo, აგრეთვე, თურქული და უკრაინული მტრალავები.

სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადრე მტრალავი ხომალდების კორპუსი ხის მასალისგან იგებოდა, რათა მაგნიტურ ნაღმებზე რეაგირება არ მოეხდინა. თანამედროვე გემთმშენებლობის მიღწევათა საფუძველზე კი ახლა მტრალავი ხომალდების კორპუსები პლასტიკური მასალებისგან მზადდება, რომლებსაც ზღვის წყლის მიმართ მეტი მედეგობა ახასიათებს და არც კოროზია ემუქრება.

ნაღმებთან საბრძოლველად კი ტრადიციული ტრალების ადგილი უეკიპაჟო ავტონომიურმა წყალქვეშა აპარატებმა დაიკავა, რომლითაც ნაღმების ძებნა-განადგურება 400 მ სიღრმეზეა შესაძლებელი.

ბათუმში ვიზიტად მყოფი NATO-ს მტრალავი ხომალდების ჯგუფის შემადგენლობაში შედის გერმანული საშტაბო ხომალდი A512 Mosel-ი და მტრალავები: გერმანული M1061 Rottwel-ი და თურქული M264 Erdemli. მიზეზთა გამო ჯგუფს ბრიტანული მტრალავი ხომალდი M30 Ledbury აკლდა.

NATO-ს ხომალდებთან ერთად ერთობლივი სწავლებები ჩატარდა. 7 სექტემბერს Mosel-ზე ხანძრის სიმულაცია მოეწყო და მის ლიკვიდაციაში მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტი, ბათუმის პორტის ადმინისტრაცია, პორტის უსაფრთხოების სამსახური და ბათუმის მუნიციპალური სამაშველო სამსახური.

სწავლებაში ასევე ჩართული იყო შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ 112-ის, საპატრულო პოლიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების ბათუმის სამმართველოს თანამშრომლები.

სწავლების დროს საშტაბო Mosel-იდან სხვადასხვა საშუალებით „დაშავებულ“ მეზღვაურთა ევაკუაცია განხორციელდა. „დაშავებულთა“ დასახმარებლად გამოძახებულმა ქალაქის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ მეზღვაურებს პირველადი დახმარება აღმოუჩინა, ხოლო სახანძრო მანქანები „ხანძრის კერის“ ლიკვიდაციაში მონაწილეობდნენ. ასეთი სახის სწავლება ძალიან სასარგებლოა, მაგრამ მტრალავ ხომალდებთან ერთობლივი სწავლება ნაღმების გაუვნებლებაში, ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა.

პირველ და მეორე მსოფლიო ომებში საქართველოს ტერიტორიულ წყლებში რუსეთის, გერმანიისა და თურქეთის ხომალდებმა უამრავი ნაღმი დააყენეს. გარდა ამისა, 1992 წელს რუსებმა ფოთიდან სამი ვაგონი საარტილერიო ჭურვი და 300-მდე საზღვაო ნაღმი გაიტანეს. არსებობს ვერსია, რომ ყველაფერი ეს რუსებმა ზღვაში ფოთის მახლობლად ჩაყარეს.

ზღვაში ნაღმებთან ბრძოლა სამხედრო-საზღვაო ძალების მოვალეობაა და საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებმა არსებობა ისე დაასრულეს, რომ ასეთი კლასის ხომალდი არ ეღირსათ.

ერთი ყოფილი მტრალავი ხომალდი M1085 Miden-ი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ 1998 წლის ოქტომბერში საქართველოს სანაპირო დაცვას საჩუქრად გადმოსცა. „აიეტი“ კარგა ხანს კეთილსინდისიერად ასრულებდა საპატრულო ხომალდის დანიშნულებას, მაგრამ ხანდაზმულობის გამო 2008 წლის აგვისტოს საბრძოლო ამოცანებს ველარ ასრულებდა. მიუხედავად ამისა, რუსული აგრესიის დროს რუსმა დივერსანტებმა ფოთში ააფეთქეს და ჩაძირეს.

**თემურ ჩაჩანიძე**





ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი ქართული ავიაშოუ





სასწავლო ამოცანების გარდა, მსუბუქ L-39-ს საჰაერო იერიშების განხორციელებაც შეუძლია

მიმდინარე წლის 9 სექტემბერს საქართველოს სამხედრო ავიაციის ისტორიაში პირველი ავიაშოუ გაიმართა. შთამბეჭდავ საავიაციო წარმოდგენას თბილისის საავიაციო ქარხნის აეროდრომი (საფრენ-საგამოცდო ბაზა) მასპინძლობდა. ავიაშოუს ჩატარების თარილი შემთხვევით არ შეირჩა. ამ დღეს 117 წლის წინ ამერიკული ავიამშენებლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ავიაკონსტრუქტორი ალექსანდრე ქართველიშვილი (ქართველი) დაიბადა. მის პატივსაცემად გამართულ ავიაშოუსთან ერთად, იმ დღესვე თბილისის საავიაციო ქარხანას „ალექსანდრე ქართველიშვილის“ სახელი მიენიჭა.

პირველი ქართული ავიაშოუ დღის 4 საათზე დაიწყო. მანამდე აეროდრომზე მოსულ ოფიციალურ სტუმრებს, თავდაცვის მინისტრსა და მინისტრთა კაბინეტის წევრებს სამხედრო-სამეცნიერო ცენტრ „დელტას“ ხელმძღვანელობამ საფრენი აპარატები წარუდგინა.

ავიაშოუ 1500 მ სიმაღლიდან Ан-2-ის ტიპის თვითმფრინავიდან გადმომხტარმა ორმა პარაშუტისტმა გახსნა. გუმბათების გახსნის შემდეგ პარა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

შუტისტები შეერთდნენ და საქართველოსა და აშშ-ის სახელმწიფო დროშები გაშალეს.

მათ შემდეგ აეროდრომის თავზე თვითმფრინავები გამოჩნდნენ. ოთხმა მსუბუქმა L-39C Albatros-ის ტიპის თვითმფრინავმა საბრძოლო მწყობრ „რომბით" მაყურებლების თვალწინ დაბალ სიმაღლეზე გადაიფრინა. საწვრთნელ-სასწავლო თვითმფრინავების ჯგუფს ვიცე-პოლკოვნიკი ვლადიმერ ავლოხაშვილი მეთაურობდა.

მათ შემდეგ საფრენ ზონაში თბილისის საავიაციო ქარხანაში აწყობილი Су-25-ის ტიპის მოიერიშეების ორი ჯგუფი გამოჩნდა. პირველი ჯგუფის ოთხმა თვითმფრინავმა მარნეულის საავიაციო ბრიგადის მეთაურის, პოლკოვნიკ დავით აბრამიშვილის ხელმძღვანელობით — მარჯვენა პელენგით, მეორე სამთვითმფრინავიანი ჯგუფი კი ესკადრილიის მეთაურმა მაიორმა დოლიძემ „სოლით" ჩამოატარა. მარჯვენა ვირაჟის შესრულების შემდეგ მაიორ დოლიძის ჯგუფმა აეროდრომს მჭიდრო მწყობრში დაბალ სიმაღლეზე კიდევ ერთხელ გადაუფრინა.



საჰაერო წარმოდგენასთან ერთად, ავიაშოუზე მყოფ სტუმრებს მიწაზე გამოფენილი საფრენი აპარატების დათვალიერებაც შეეძლოთ. მათ შორის იყო: დამრტყმელი Ми-24П და სატრანსპორტო Ми-8Т-ს ტიპის შვეულმფრენები, ბიპლანი Ан-2, რომელსაც 65-წლიანი ხანდაზმულობის მიუხედავად, მსოფლიოში კვლავაც იყენებენ, ორადგილიანი საბრძოლო-სასწავლო Су-25УБ და L-39C.

მიწაზე წარმოდგენილ საფრენ აპარატებს შორის ერთი საკმაოდ საინტერესო თვითმფრინავიც იყო: ზებგერითი საბრძოლო-სასწავლო გამანადგურებელი МиГ-21УМ.

ორადგილიან МиГ-21-ებს თბილისის საავიაციო ქარხანაში 1962-დან 70-იან წლებამდე აწყობდნენ. სულ ასეთი 1660 თვითმფრინავი დამზადდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა




1978 წლიდან თბილისის საავიაციო ქარხანაში 6 მოდიფიკაციის Су-25 ტიპის 850-მდე მოიერიშე აიწყო. მაღალმა საბრძოლო პოტენციალმა და სიცოცხლისუნარიანობამ ამ თვითმფრინავს „მფრინავი ტანკის" სახელი მოუტანა. საბრძოლო კარიერის მანძილზე დაჯავშნული კაბინის მქონე მოიერიშე მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში 15 სამხედრო კონფლიქტში მონაწილეობდა.

დღეს მსოფლიოში მხოლოდ ორი მოიერიშე თვითმფრინავი არსებობს — Су-25 და ამერიკული A-10 Thunderbolt, რომლის შექმნაში წვლილი ალექსანდე ქართველიშვილმაც შეიტანა. ამერიკელები მის გამოყენებას 2025 წლამდე აპირებენ. Су-25 კი დღესაც 20-მდე სახელმწიფოს შეიარაღებაშია.

აეროდრომის თავზე მოიერიშეები L-39-ებმა ჩაანაცვლეს. ოთხეულმა დაბალ სიმაღლეზე გავლის შემდეგ ლამაზი ფიგურა „ტიტა" შეასრულა. ოთხივე თვითმფრინავმა მწყობრი გაშალა და ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით გაფრინდა. მანევრის შემდეგ საპილოტაჟო ფიგურების შესასრულებლად მხოლოდ ერთი „ალბატროსი" დარჩა. მფრინავ-ინსტრუქტორმა ზურაბ ბუკიამ მარტივი და რთული პილოტაჟის ფიგურები შეასრულა. მათ შორის იყო ამავალი და დაღმავალი კასრები, მკვეთრი ვირაჟები, საბრძოლო მოტრიალება, იმელმანი და მკვდარი მარყუჟი, რომელიც მფრინავმა ნესტეროვმა პირველად 1913 წელს აჩვენა. საპილოტაჟო პროგრამის შესრულებისას ზურაბ ბუკიამ ამოტრიალებულ მდგომარეობაშიც იფრინა.






L-39-ის სოლო პილოტაჟის შემდეგ, Су-25-ების ოთხეულმა მაყურებლებს ტაქტიკური მანევრი „გვირილა“ წარუდგინა, სადაც თვითმფრინავებს წრიულ ტრაექტორიაზე მკვეთრი ვირაჟებით მოწინააღმდეგე მუდმივი ცეცხლის ქვეშ ჰყავს მოქცეული. პირველი თვითმფრინავის პიკირებიდან გამოსვლისთანავე, მის უკან მომავალი შეტევაზე გადადის და ცეცხლს ხსნის. შემდგომ ანალოგიურ მანევრს მესამე და მეოთხე მოიერიშეები ასრულებენ. „გვირილას“ უპირატესობა ცეცხლის ერთ წერტილში კონცენტრირებაა.

„გვირილას“ შემდეგ აეროდრომის თავზე დარჩენილმა ერთმა Су-25-მა სოლო პროგრამა შეასრულა. რთული პილოტაჟის ფიგურებთან (კასრები, მკვეთრი ვირაჟები და პიკირება, შეტევაზე გადასვლის იმიტაცია, მკვდარი მარყუჟები) ერთად დაჯავშნულკაბინიანი მოიერიშე გამაყრუებელი გუგუნით მიწიდან 25-35 მ სიმაღლეზე დაფრინავდა.

ავიაშოუს საფრენოსნო პროგრამა მწყობრით „სოლი“ სამმა მოიერიშემ დაასრულა. გახსნილი სამუხრუჭე ფარებითა და ანთებული მაშუქებით აეროდრომის თავზე გადაფრენილმა თვითმფრინავებმა საქართველოს სახელმწიფო დროშის ფერების კვამლი გაუშვეს.

საჰაერო წარმოდგენა ნახევარ საათს გაგრძელდა და ამ დროში მინიმუმ ერთი თვითმფრინავი ყოველთვის აეროდრომის თავზე იმყოფებოდა. ავიაშოუს საფრენოსნო პროგრამაში მონაწილეობა 2 ტიპის 11-მა საფრენმა აპარატმა მიიღო.

**სამოქალაქო ავიაციის სახით ორი რეაქტიული თვითმფრინავი — 3 მგზავრზე გათვლილი TAM Jet-ი და 6-8 მგზავრზე გათვლილი Elite Jet-ი იყო წარმოდგენილი. ორივე მათგანი მთლიანად კომპოზიციური მასალებისგანაა დამზადებული.**

**ალექსანდრე აფაქიძე**



*L-39-ების ოთხეული ვიცე-პოლკოვნიკ ვლადიმერ ავლოხაშვილის მეთაურობით*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გასავლელი გზა NATO-ს ღია კარამდე



NATO-ში გაწევრება დიდი ხანია გახდა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი. ეს საკითხი აქტუალური თემაა ქართველი საზოგადოებისთვის 1999 წლიდან, როდესაც საქართველო NATO-ს სპეციალურ სამხედრო პროგრამა NATO-ს ანალიზისა და პარტნიორობის პროცესს (PARP) შეუერთდა და NATO-ს „პარტნიორობა მშვიდობისთვის" პროგრამის (PfP) აქტიური მონაწილე წევრი-ქვეყანა გახდა.

ეს იყო NATO-ს ინტეგრაციის პირველი საფეხური. ამას თან დაერთო NATO-ს 2002 წლის პრაღის სამიტზე მაშინდელი საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის განცხადება „NATO-ს კარზე დაკაკუნების შესახებ" და საგარეო პოლიტიკურ კონცეფციასა თუ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში ევროატლანტიკურ სტრუქტურებში უცილობელი ინტეგრაციის თაობაზე.

ქართველი საზოგადოება მზად აღმოჩნდა მიეღო NATO-სთან ინტეგრაციის კურსი და უკვე 2004 წელს საქართველო NATO-სთან ინტეგრაციის მეორე ეტაპზე გადავიდა, რაც ჩვენი ქვეყნის მიერთებას „ინდივიდუალური პარტნიორობის საქმიანობის პროგრამას" (IPAP) ითვალისწინებდა.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო 2006 წლის სექტემბერში NATO-სთან ინტეგრაციის მესამე დონეზე გადასვლაც, რაც მანამდე დადასტურდა NATO-ს საპარლამენტო ასამბლეის პარიზის პლენარულ სესიაზე საქართველოსთვის ე. წ. „ინტენსიური დიალოგის" (Intensified Dialogue) სტატუსის მინიჭების ცერემონიით.

რეალურად ჩვენ დღეს ვართ NATO-ს ინტეგრაციის მესამე დონეზე, ანუ უფრო სწორად, „მესამე პლუს" დონეზე (თუ მხედველობაში არ მივიღებთ საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს შემდეგ NATO-ს განსაკუთრებულ ნაბიჯს, რომელიც საქართველოსთ-

ვის წლიური ეროვნული პროგრამის დანესებაში გამოიხატა).

კიდევ გასავლელია ორი ეტაპი და ჩვენ ვიქნებით NATO-ს სრულუფლებიანი წევრები. თუმცაღა ამისთვის ყველაზე პრობლემატურია უკვე ყბადაღებული ე. წ. განევრების სამოქმედო გეგმასთან (MAP) მიერთების პროცესი, რომელსაც უკვე შვიდი წელია ველოდებით.

ფაქტობრივად, NATO-ს ხელმძღვანელობამ და NATO-ს წევრი-ქვეყნების ოფიციალურმა პირებმა უკვე ამ პერიოდისთვის შეიმუშავეს ალიანსში განევრებისთვის აუცილებელი მექანიზმები, რომლებიც პირობითად შეიძლება ხუთ ეტაპად დაიყოს. ამიტომაც NATO-ში განევრების მსურველ თითოეულ ქვეყანას მოუწევს ამ წინამოსამზადებელი, ანუ წინასაკვალიფიკაციო ხუთი ეტაპის გავლა. განევრებისთვის აუცილებელი მოსამზადებელი ეტაპები მოიცავს:

➢ პირველი ეტაპი: NATO-ში განევრების საწყის პროცესს წარმოადგენს ორ სპეციალურ პროგრამაში — „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ და „ნატოს ანალიზისა და პარტნიორობის პროგრამა“ მონაწილეობა. ეს უკანასკნელი წმინდა სახის სამხედრო-ტექნიკური ტიპის პროექტს მოიცავს. ამ შემთხვევაში ქვეყანას ენიჭება „პარტნიორი-ქვეყნის სტატუსი“;

➢ მეორე ეტაპი: მას NATO-ში ე. წ. მინიმალურ დონეზე განევრების პროცესი შეიძლება ვუწოდოთ და მოიცავს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმასთან“ მიერთებას. ამ შემთხვევაში გამოკვეთილია პირველადი კრიტერიუმები — ძირითადად, პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური ხასიათის პირობების შესრულება, რომლებსაც აქვთ მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი და არ არის სავალდებულო შესასრულებლად ალიანსში განევრებისთვის;

➢ მესამე ეტაპი: NATO-ში განევრების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა ხდება სპეციალური სტატუსის „ინტენსიური დიალოგის“ მინიჭების გზით, რომელიც უკვე პოლიტიკურად სერიოზული განაცხადია კანდიდატი წევრი-ქვეყნისა, რომ ის განუხრელად გააგრძელებს სვლას ალიანსში განევრებისკენ. პროცედურა ხორციელდება სამი მექანიზმის გამოყენებით: მაღალ ოფიციალურ პირთა ხშირი ურთიერთობა და მაღალი დონის ვიზიტების მოწყობა (მაგალითად, საქართველოში NATO-ს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტი ან NATO-ს გენერალური მდივნისა); საშუალო ბიუროკრატიულ დონეზე უფრო მეტად ინტენსიური ურთიერთობა (სამსახური-დეპარტამენტების დონე) და დამოუკიდებელ და პროფესიულ ექსპერტთა აქტიური მონაწილეობა ინტეგრაციის პროცესში ორივე მხრიდან;

➢ მეოთხე ეტაპი: ინტეგრაციის მოსამზადებელი პროცედურა კანდიდატი ქვეყნის მიერთება ე. წ. „განევრების სამოქმედო გეგმასთან“ (MAP). ამ გეგმაში განსაზღვრულია ის კონკრეტული მექანიზმები, რომელთა მიხედვითაც დაადგენენ კანდიდატი ქვეყნის ალიანსში განევრებისთვის მზადყოფნას (NATO-ს ტერმინოლოგიით „ასპირანტი“ ქვეყანა). დოკუმენტში გამოყოფილია ხუთი ასეთი სფერო:

1. პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები (მათ შორის საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი საშუალებების მეშვეობით მოგვარება და სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებისკენ განუხრელი სწრაფვა);




*NATO-ს კარი საქართველოსთვის ღია, მაგრამ მის ზღურბლზე გადაბიჯების თარიღი კვლავ უცნობია...*

2. თავდაცვის და სამხედრო საკითხები;
3. რესურსების მართვის საკითხები;
4. საინფორმაციო უსაფრთხოების საკითხები;
5. სამართლებრივი საკითხები;

მათი განუხრელი შესრულება სავალდებულოა უკვე „ასპირანტი“ ქვეყნისთვის. ამიტომაც არის, რომ საქართველო ჯერჯერობით არ აღმოჩნდა მზად ამ სფეროებში ვალდებულებათა შესრულებისთვის, რაშიც წინა ნაციონალურ-ავტორიტარული რეჟიმის მმართველობას ლომის წილი უძევს. ეს პასაჟი გარკვეულწილად დაფიქსირებული იყო NATO-ს მაღალი დონის სამიტებზე, განსაკუთრებით კი ბუქარესტის სამიტზე. NATO-ს ასეთივე „დიპლომატიური სიგნალები“ არაერთხელ ფიქსირდებოდა შემდგომ პერიოდებშიც. ამიტომაც საქართველოს 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მიეცა უნიკალური შანსი, გამოასწოროს ის შეცდომები, რომლებიც ქვეყანას მანამდე ჰქონდა დაშვებული;

➢ მეხუთე ეტაპი: NATO-ში უშუალოდ განევრების პროცესია, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს მაქსიმუმ ორ წელიწადს და მოიცავს უფრო მეტად განევრების სამართლებრივ და ტექნიკურ მხარეებს;

აი, სწორედ ასეთი სქემით ხორციელდება NATO-ში განევრების პროცედურა და როგორც ზემომოყვანილი სქემიდან ნათლად ჩანს, ჯერ კიდევ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი.

ახალმა ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ დასახულ მიზანს — NATO-ში განევრებას მიაღწიოს.

**ვახტანგ მაისაია**

# ფაქტები, მოვლენები, შემთხვევები...



122 მმ-იანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა T-122 Sakarya

## აზერბაიჯანი

● 28 აგვისტოს სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის კადრების სამმართველოს უფროსს, პოლკოვნიკ ელჩინ ზაურ-ოღლი იბრაჰიმოვს გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა.

● მიმდინარე წლის დასაწყისიდან აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების დანაკარგმა 69 გარდაცვლილი და 74 დაჭრილი შეადგინა. გარდაცვლილებიდან 9 სომხებთან ბრძოლებში, 9 — უბედურ შემთხვევებში, 12 — ავტოსაგზაო შემთხვევებში, 3 — საავიაციო კატასტროფაში, 3 — გაურკვეველ ვითარებაში, 2 — გაუფრთხილებლობის შედეგად, 1 — სამოქალაქო პირმა მოკლა, 9 — არასანესდებო ურთიერთობათა გამო, 9 — ავადმყოფობის მიზეზით და 15 — სუიციდის გამო გარდაიცვალა.

● აზერბაიჯანმა ბოლო ათ წელიწადში უკრაინაში იყიდა 150 ჯავშანტრანსპორტიორი БТР-70 და 3-БТР-3У, 17 უნივერსალური გამწე БТС-55, მაგრამ БТР-3-სა და БТР-4-ის ტიპის ჯავშანტრანსპორტიორებზე უარი თქვა.

● 5 სექტემბერს ნახჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის ერთ-ერთი ქვედანაყოფის ავტომობილში 25 წლის მკვდარი ჯარისკაცი იპოვეს.

● მიმდინარე წლის ბოლომდე თურქული კომპანია ROKETSAN-ი დაასრულებს აზერბაიჯანისათვის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა T-122 Sakarya-ს და რაკეტების გადაცემას. აზერბაიჯანის მიერ შეკვეთილი 300 მმ-იანი სისტემა T-300 Kasırga-ს [illegible] და კი გრძელდება. თურქულ [illegible] აზერბაიჯანულის მახასიათებლები გაუმჯობესებულია.

● 13 სექტემბერს თავუზის რაიონის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში ჯარისკაცი ტაბელური იარაღის გასროლით დაიღუპა.

● 17 სექტემბერს აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსის, პოლკოვნიკ ელდარ საბირო-ღლუს თქმით, ფრონტის ხაზზე სროლის შედეგად სომხეთის არმიამ აზერბაიჯანელებთან შედარებით ორჯერ მეტი დანაკარგი განიცადა. მანვე ასევე განაცხადა, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფო ომის დასრულებამდე ფრონტის ხაზიდან სნაიპერთა გაყვანაზე უარს ამბობს.

● საპატრულო მანქანა Gurza-ს საფუძველზე აზერბაიჯანელმა სპეციალისტებმა ტანკსაწინააღმდეგო მანქანა Eqreb-ი შექმნეს. ის ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსებით Skif-ით ან Spike-თ და გვერდებზე დაყენებული 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევებით არის აღჭურვილი. Gurza-ს კიდევ ერთი მოდიფიკაცია საბრძოლო მანქანა Bebir-ი ავტომატური ყუმბარსატყორცნ АГС-17-ით არის შეიარაღებული. ორივე შემთხვევაში აზერბაიჯანელებმა ბაზად ავტომობილი Toyota Hillux 12 გამოიყენეს.

● ქვეყნის თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროს ერთ-ერთ საწარმოში საბრძოლო-სადაზვერვო მანქანა БРДМ-2-ის დიზაინსა და შეიარაღებას საფუძვლიანი მოდერნიზაცია ჩაუტარეს, რის შედეგადაც მისი დაცვა გაუმჯობესდა შეიარაღება კი გაძლიერდა. მოდერნიზებული БРДМ-2 აღჭურვილია 23 მმ-იანი ქვემეხით, შეწყვილებული 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევებით, ყუმბარსატყორცნი АГС-17-ით, მსხვილკალიბრიანი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევით, ღამის ხედვის ხელსაწყოებით და სხვ.

● აზერბაიჯანელთა ტყვეობაში მყოფმა სომეხ-



მალე სომეხი ჯარისკაცები სამსახურის ადგილს კენჭისყრით აირჩევენ


თურქეთში მდებარე დიდი არარატის მთა, რომელზეც აფხაზეთში მცხოვრები არტურ ჩოლოკიანი ავიდა

მა ჯარისკაცმა აკოფ ინჯიგულიანმა აზერბაიჯანის მთავრობას თხოვნით მიმართა, რომ ის მესამე ქვეყანას გადასცენ. 7-8 აგვისტოს ღამით ინჯიგულიანმა ფრონტის ხაზის ალდამის მონაკვეთი გადაკვეთა და აზერბაიჯანელებს ტყვედ ჩაბარდა.

● 23-27 სექტემბერს ბაქოში ჩატარდა აზერბაიჯანის, თურქეთისა და საქართველოს სამხედრო მოსამსახურეთა სამეთაურო-საშტაბო კომპიუტერული სწავლება Eternity 2013, რომელიც ნავთობგაზსადენების დაცვას დაეთმო. სწავლებაში მონაწილეობდნენ შეიარაღებული ძალების, აგრეთვე, მილსადენების დაცვასთან დაკავშირებული და მასზე პასუხისმგებელი სტრუქტურების წარმომადგენლები.

## სომხეთი

● ნახჭევანის საზღვრის მახლობლად დისლოცირებულმა სომხეთის არმიის ქვედანაყოფებმა ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსის, გენერალ-პოლკოვნიკ იური ხაჩატუროვის სარდლობით მსხვილმასშტაბიანი სწავლება ჩაატარეს.

● სომხეთი ოქტომბერში სტრატეგიული სამეთაურო-საშტაბო სწავლება „რეაგირება 2013"-ის ჩატარებას გეგმავს.

● 10 სექტემბერს ქრთამის აღებისთვის დააკავეს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი დავით დავთიანი.

● 7-11 ოქტომბერს სომხეთი მონაწილეობას მიიღებს ჩელიაბინსკის ოლქის ერთ-ერთ სამხედრო პოლიგონზე კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაციის სამშვიდობო ძალების სწავლებაში.

● თურქოლოგ არტაკ შაქარიანის აზრით, ყარაბაღში ომის განახლების შემთხვევაში აზერბაიჯანმა შეიძლება სირიელი დაქირავებულები გამოიყენოს.

● 18 სექტემბერს თავდაცვის მინისტრმა სეირან ოგანიანმა განაცხადა, რომ სომხეთის არმიაში საშემოდგომო გაწვევა დეკემბრის ბოლოდან თებერვლის ჩათვლით ჩატარდება, ხოლო ჯარისკაცების სამხედრო ნაწილებში განაწილება კენჭისყრით მოხდება.

● 20-25 სექტემბერს სომხეთმა მონაწილეობა მიიღო ბელორუსიაში ოპერატიული რეაგირების კოლექტიური ძალების სწავლება „ურთიერთქმედება-2013"-ში. სწავლებაში კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი 6 ქვეყნის: სომხეთის, ბელორუსიის, რუსეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და ყაზახეთის 600 სამხედრო, 60 საბრძოლო ტექნიკის ერთეული და 15 საფრენი აპარატი მონაწილეობდა.

## კონფლიქტის რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● 3 სექტემბერს საოკუპაციო ჯარების გუდაუთის მე-7 სამხედრო ბაზის ქვედანაყოფებმა ერთდროულად დაიწყეს ნაგვილოუსა და ნებელდის სასწავლო-საწვრთნელ კომპლექსებში სწავლება საბრძოლო სროლებით. სწავლებებში 400 სამხედრო და ტექნიკის 50 ერთეული მონაწილეობდა. მათ შორის იყო ტანკები — Т-90, ჯავშანტრანსპორტიორები — БТР-80, 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნები — 2С12 Сани, ცეცხლსატყორცნები РПО-А Шмель და სხვ.

● 12 სექტემბერს აფხაზეთში მცხოვრები არტურ ჩოლოკიანი არარატის მთაზე ავიდა და იქ სეპარატისტული აფხაზეთისა და აფხაზ ვეტერანთა ორგანიზაცია „არუაას" დროშები აღმართა.

● რუსეთის საოკუპაციო არმიის გუდაუთის მე-7 სამხედრო ბაზაში წლის ბოლომდე კონტრაქტით მომსახურეთა რაოდენობა 2-ჯერ გაიზრდება და პირადი შემადგენლობის ერთ მესამედს მიაღწევს. ამჟამად ბაზაში 4 ათასზე მეტი კაცი მსახურობს.

### თვითალიარებული ყარაბაღი

● 14-15 სექტემბრის ღამეს ფრონტის ხაზზე სროლების დროს თვითალიარებული ყარაბაღის არმიის ჯარისკაცი დაიღუპა.


ყარაბაღის კონფლიქტის მსხვერპლთა რიცხვი ორივე მხრიდან განუწყვეტლივ მატულობს

# ფაქტები, მოვლენები, შემთხვევები...



მძიმე ცეცხლსატყორცნი სისტემა ТОС-1А Солнцепёк-ი

## რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქი

● 2014 წლის ბოლომდე შავი ზღვის ფლოტი მოძველებული თვითმფრინავების შესაცვლელად 12 ახალ მრავალფუნქციურ Су-30СМ-ს მიიღებს.

● ქალაქ ეისკში (კრასნოდარის მხარე) დასრულდა მფრინავთა მომზადების კომპლექსი Нитка-ს მშენებლობა. მისი ფუნქციონირება 2013 წლის ბოლოდან დაიწყება. ამის გამო რუსეთმა უკრაინას ოფიციალურად უარი განუცხადა ყირიმში მსგავსი კომპლექსის გამოყენებაზე. „ნიტკა“ საგემბანო მფრინავების მოსამზადებელი სახმელეთო საგამოცდო-საწვრთნელი კომპლექსია და მას ავიამზიდის გემბანიდან აფრენა-დაშვების ტექნიკის დასამუშავებლად იყენებენ.

● სამხრეთის სამხედრო ოლქის ცეცხლმტყორცნთა ქვედანაყოფმა ვოლგოგრადის ოლქში პრუდბოის პოლიგონზე მძიმე ცეცხლსატყორცნი სისტემა ТОС-1А Солнцепёк-ი გამოსცადა. წინა ვერსიასთან შედარებით ახალ სისტემაში რაკეტების სროლის სიშორე 2-ჯერ არის გაზრდილი და 6 კმ-ს შეადგენს, ხოლო მომატებული საბრძოლო ნაწილი კომპლექსის სიმძლავრეს 15-20%-ით ზრდის.

● 18 სექტემბერს კრასნოდარის მხარეში დაიწყო და რამდენიმე დღე გაგრძელდა 49-ე არმიის სამეთაურო საშტაბო სწავლება 1500 სამხედრო მოსამსახურისა და 300 ერთეული საბრძოლო ტექნიკის მონაწილეობით.

## თურქეთი

● 29 აგვისტოს პირველმა თურქულმა სასწავლო-საწვრთნელმა თვითმფრინავმა Hurkus-მა [illegible] ტესტური შემოწმება გაიარა. თვითმფრინავი თურქეთის აეროკოსმოსური ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევით ცენტრში (TUSAS) ააწყვეს.

● „თურქეთს განზრახული აქვს სამამულო სამგზავრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის შექმნა“, — განაცხადა მინისტრმა ბინალი იილდირიმმა. თვითმფრინავი 60-120 მგზავრზე იქნება გათვლილი და მისი სერიული წარმოება 2023 წლისთვის იგეგმება.

● 3 სექტემბერს თურქეთის პორტ სინოპში დასრულდა შავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის BLACKSEAFOR-ის მორიგი აქტივაცია და ბულგარეთის, თურქეთის, რუმინეთის, რუსეთისა და უკრაინის ხომალდები ბაზირების ადგილებს დაუბრუნდნენ.

● 6 სექტემბერს თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის გამოქვეყნებული მონაცემებით ირკვევა, რომ ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში 347 გენერალი, 40 ათასი ოფიცერი, 97 ათას 100 სერჟანტი და 395 ათასს 500 რიგითი მსახურობს. გენერლებიდან 314 ცენტრალურ აპარატში, 32 ჟანდარმერიასა და 1 სანაპირო დაცვის შემადგენლობაში ირიცხება. სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალებში, აგრეთვე ჟანდარმერიაში, 33500 ოფიცერი და 72900 სერჟანტია. 5800 ოფიცერსა და 22800 სერჟანტს ჟანდარმერია, ხოლო 601 ოფიცერსა და 405 სერჟანტს სანაპირო დაცვა ითვლის. თადარიგის ოფიცრებიდან 4200 — ცენტრალურ აპარატში, 475 — ჟანდარმერიაში და 16 — სანაპირო დაცვაში მსახურობს.

● „ღია ცის“ საერთაშორისო შეთანხმების შესაბამისად, 9-13 სექტემბერს თურქულმა თვითმფრინავმა CN-235-მა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის თავზე იფრინა.



პორტ სინოპში დასრულდა შავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის BLACKSEA-FOR-ის მორიგი აქტივაცია



თურქული სასწავლო-საწვრთნელი თვითმფრინავი Hurkus-ი

● 10 სექტემბერს თურქეთის უშიშროების სამსახურმა ჰაკარის პროვინციაში ფეთქებადი მასალის დიდი პარტია ამოიღო. პოლიციამ შეაჩერა სატვირთო ავტომობილი და შემოწმებისას ძარაში 300 კგ ტროტილის ექვივალენტი ფეთქებადი მასალა აღმოჩნდა.

● 14 სექტემბერს NATO-ს მე-2 ნაღმსაწინააღმდეგო მუდმივმა ჯგუფმა (Group SNMCMG2) პორტი ტრაპიზონი დატოვა და ხმელთაშუა ზღვაში გავიდა.

● 16 სექტემბერს თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა სირიის სამხედრო შვეულმფრენი Ми-17 სადაზვერვო ფრენის დროს თურქეთის ტერიტორიაზე ჩამოაგდეს.

● 19-21 სექტემბერს თურქეთის სამხედრო-საზღვაო ბაზა ერეგლის მახლობლად ჩატარდა თურქეთის სამხედრო-საზღვაო სწავლება „შავი ზღვის ნდობა", სადაც რუსეთის შავი ზღვის, ბულგარეთის, რუმინეთისა და უკრაინის ფლოტები დამკვირვებლებით იყვნენ წარმოდგენილები.

## ირანი

● 2 სექტემბერს ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის, კონტრადმირალ ხაბიბულა საიარის თქმით, მალე ქვეყნის სამხედრო ფლოტს უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით აგებული საესკადრო ნაღმოსანი Iavan-ი შეემატება.

● ირანმა დაიწყო საკუთარი კონსტრუქციის პერსპექტიული საზღვაო რადარის გამოცდა, რომელმაც „სტელსის" ტექნოლოგიით დამზადებული საფრენი აპარატებისა და ფრთოსანი რაკეტები უნდა აღმოაჩინოს.

● 5 სექტემბერს ირანის სპეცქვედანაყოფის მეთაურმა, ბრიგადის გენერალმა კოდს ყასემ სოლეიმანმა განაცხადა, რომ ირანი სირიას დაეხმარება, ხოლო ქვეყნის თავდაცვის მინისტრი გენერალ-მაიორი აჰმად ვაჰიდი ოფიციალური დამასკოსთვის იარაღის მიწოდებასაც არ გამორიცხავს.

● ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოადგილის, გენერალ-მაიორ მოჰამად ბაგერის განცხადებით, ახლო მომავალში ჩატარდება არმიისა და ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის ერთობლივი სწავლება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საჰაერო თავდაცვის ძალები და სახმელეთო ჯარები. სწავლების დროს გამოყენებული იქნება ახალი იარაღი და სამხედრო ტექნიკის ახალი ნიმუშები, რომლებიც ადრე გამოცდილი არ ყოფილა.

● 16 სექტემბერს ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის მეთაურთა ყოველწლიურ შეხვედრაზე კორპუსის მეთაურმა, გენერალმა მოჰამად ალი ჯაფარმა განაცხადა, რომ სირიაზე თავდასხმაზე უარის თქმა მოწინააღმდეგის უკანასკნელი მარცხია რევოლუციის წინ. თუმცა გენერალს არ დაუზუსტებია, თუ რომელ რევოლუციას გულისხმობდა.

● 17 სექტემბერს ირანის სასაზღვრო პოლიციის სარდალი, გენერალი ჰუსეინ ზიულფუგარი აზერბაიჯანში ვიზიტით იმყოფებოდა და თავის კოლეგასთან მოლაპარაკებები გამართა.

● 19 სექტემბერს ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის მოადგილემ, ვიცე-ადმირალმა გულამ-რეზა ბეიგამმა განაცხადა, რომ წყალქვეშა ნავებთან საბრძოლველად ირანის საზღვაო შვეულმფრენები უახლესი მოწყობილობებით არიან აღჭურვილი. ადმირალის თქმით, შვეულმფრენებს სხვადასხვა სახის საბრძოლო და სადაზვერვო ამოცანის შესრულებაც შეუძლიათ, რისთვისაც მათ აღჭურვილობაში მრავალფეროვანი თანამედროვე აპარატურა შედის.

**თემურ ჩაჩანიძე**



ირანი დიდი სამხედრო სწავლებებისთვის ემზადება

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბიოლოგიური იარაღი: XXI საუკუნის მთავარი საფრთხე

### ნაწილი პირველი



ამერიკელები თბილისთან ახლოს, ალექსეევკის დასახლებაში ერთ-ერთი ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე საიდუმლო ვირუსოლოგიურ ლაბორატორიას რამდენიმე წელი აშენებდნენ. შეთანხმება უმაღლეს სახელისუფლებო დონეზე იქნა მიღწეული. ინფორმაცია ამის შესახებ რამდენიმე წელია ქართულ პრესაში მუსირებდა. ათასგვარმა ვერსიამაც არ დააყოვნა – ზოგი ფიქრობს, რომ აქ ამერიკელები ბაქტერიოლოგიური იარაღის წარმოებას აპირებენ; ზოგს მიაჩნია, რომ ჩვენთან ყველა უცნობ ბაქტერიასა და ვირუსს შემოიტანენ და აქ მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო ჩატარდება; ზოგიერთი კი ამტკიცებს, რომ ამერიკელებმა „კეთილშობილური“ მისია იკისრეს და ჩვენთან ბაქტერიოლოგიური იარალისგან თავდაცვის საშუალებებს დაამზადებენ. ლაბორატორიის მშენებლობა დამთავრდა, თუმცა საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური განცხადებით მას ჯერ საქმიანობა არ დაუწყია.

ამ ლაბორატორიას 2012 წლის 20 სექტემბრამდე „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია“ ეწოდებოდა, ხოლო შემდეგ სახელი შეეცვალა და „რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევის ცენტრად“ გარდაიქმნა.

2013 წლის გაზაფხულზე საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილის ყოფილმა მრჩეველმა ჯეფრი სილვერმანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუში განაცხადა: „ლაპარაკია 150-მილიონიან პროგრამაზე, რომლის ფარგლებშიც საქართველოში ბიოლოგიური იარაღის კომპონენტების კვლევა მიმდინარეობს და შესაბამისი ლაბორატორიაც არსებობს, რომელსაც პენტაგონი კურირებს. ლაბორატორია თბილისის აეროპორტის გვერდითაა. იქ მიმდინარეობს ბიოლოგიური იარაღის კომპონენტების კვლევა, რაც ამერიკის ტერიტორიაზე აკრძალულია. რაიმე გაუთვალისწინებელი თუ მოხდა, საქართველო ნაილეკება".






რიჩარდ ლუგარის სახელობის ლაბორატორია რუსეთის გალიზიანების კიდევ ერთი მიზეზია

## ბიოლოგიური ტერორიზმი თუ ჩვეულებრივი სიხარბე?

რამდენიმე წლის წინ, ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, კახელი გლეხების მოსავალი ლამაზად შეფუთულმა, მაგრამ უხარისხო შხამქიმიკატებმა გაანადგურა. ვინც ვენახი ამ ნივთიერებით შეწამლა, ყველას გაუფუჭდა, ხოლო ვინც მამაპაპური წესით, გოგირდ-შაბით შეწამლა, გადაურჩა. საკითხავია, ეს შემთხვევითი იყო თუ წინასწარგანზრახული? ვინმე ხარბმა ბიზნესმენმა მოითბო ხელი გლეხების უბედურებაზე და უხარისხო შხამ-ქიმიკატები შემოიტანა თუ ზოგიერთი „მეგობარი" ქვეყნის ხელისუფლებამ იზრუნა ქართული ღვინის უხარისხობასა და მძიმე ლითონების შემცველობის გაზრდაზე? დაზღვეული ვართ, რომ იგივე არ განმეორდება? სამწუხაროდ, ეს კითხვები მაშინ უპასუხოდ დარჩა და ასეა ახლაც.

გავიდა ორი-სამი წელი და ქათმის გრიპმა გააჩანაგა ქართველი გლეხის საქათმეცა და ბარაქაც. ხელისუფლების არგუმენტები, ეს მსოფლიო პრობლემაა და



ბიოლოგიური იარაღის შედეგებთან ბრძოლა რთული და სახიფათოა

ჩვენ რა ვქნათო, საქართველოს მოსახლეობამ ჩვეული მორჩილებით მიიღო.

შემდეგ კი „აფრიკული ჭირი" დაეტაკა მაინცდამაინც საქართველოს ღორებს. ესეც შემთხვევითია? ესეც ლოტოტრონი ხომ არაა, მაინცდამაინც საქართველოს რომ შეხვდეს ყველა უბედურება?

ქართველი გლეხი რომ არ შიმშილობს, ეს მხოლოდ მათივე შრომისმოყვარეობის შედეგი და დამსახურებაა. ვის აძლევდა ხელს მოსახლეობის მეურნეობების განადგურება? რამდენიმე ათასი ღორის მოულოდნელი დახოცვა განა საგანგაშო არ უნდა ყოფილიყო სააკაშვილის ხელისუფლებისთვის?

ბევრმა პოლიტიკოსმა და ხელისუფალმა „შეთქმულებების თეორიისა" არ მჯერაო (ანუ ამას წინასწარგანზრახვით ვინ ჩაიდენდა, როგორ იკადრებდაო) და ღორების მასობრივად დახოცვა შემთხვევითობას მიაწერა. არავის შეუსწავლია დაავადების შემოტანის ადგილი და გავრცელების კერები. ქვეყანაში სახელმწიფო სტრუქტურა არ არსებობს, რომ ბიოლოგიური დივერსიები აღკვეთოს. ეს კი იმის გარანტიაა, რომ ხვალ უარესი შეიძლება მოხდეს. ეს შესავალი იმიტომ დაგვჭირდა, რომ ყველამ გაიგოს — ბიოლოგიური ომი და დივერსიები სახუმარო საქმე ნამდვილად არაა, მით უფრო, როცა ამდენი „კეთილისმოსურნე" გვყავს.

ივნისში კი რუსეთის „როსპოტრებნადზორის" ხელმძღვანელმა გენადი ონიშჩენკომ აქეთ დაგვდო ბრალი და განაცხადა, რომ „აფრიკული ღორის ჭირი" რუსეთში საქართველოდან შევიდა და ეს დაგეგმილი ეკონომიკური დივერსიის შედეგად მოხდა.

„ეჭვიც არ არის, რომ ეს ასე იყო. ეს ყველაფერი საქართველოს ტერიტორიიდან განხორციელდა და არ იყო შემთხვევითი. ეს იყო დაგეგმილი აქცია, რომლის მიზანი იყო, ძირი გამოეთხარა რუსეთის ეკონომიკისთვის",

ეროვნული ბიბლიოთეკა



სასიკვდილო ბაქტერიებისა და ვირუსების გავრცელების ერთ-ერთი მეთოდი — დაავადებული მღრღნელების გავრცელებაა



მღრღნელებს კი შხამქიმიკატებით ებრძვიან, რომელიც ასევე გარემოზე მოქმედებს

— აღნიშნა ონიშჩენკომ. მისივე თქმით, რუსეთის ტერიტორიაზე სახიფათო ვირუსი 2007 წელს დაინფიცირებულმა გარეულმა ღორებმა საქართველოდან შეიტანეს.

## ბიოლოგიური იარაღი: გუშინ, დღეს, ხვალ

ბიოლოგიური, იგივე ბაქტერიოლოგიური იარაღი არის სპეციალურად „გაწვრთნილი" ბაქტერიების, ვირუსების, სოკოების და მათი გავრცელების ტექნოლოგიების ერთობლიობა. ის გაცილებით საშიშია, ვიდრე დღემდე არსებული სხვა მასობრივი განადგურების საშუალება — ბირთვული და ქიმიური იარაღი. ის შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერი გზით: სასუნთქი ორგანოებიდან, კანიდან, მწერებისა და მღრღნელების ნაკბენით და ა.შ. ამ უხილავ, უსუნო და ყოველმხრივ ფარულ იარაღს შეუძლია ეპიდემიის გამოწვევა და მილიონობით ადამიანის დაავადება.

სასიკვდილო ბაქტერიებისა და ვირუსების ფარულად გავრცელებისთვის სხვადასხვა მეთოდს იყენებენ: თვითმფრინავებიდან გადმოასხურებენ ან კონტეინერს, სადაც ვირუსებით დაავადებული მღრღნელებია, აგდებენ. კონტეინერი იმსხვრევა, თაგვები და ვირთხები გარბიან და სასიკვდილო ვირუსებს ავრცელებენ. ამავე დროს არსებობს ბიოიარაღის გავრცელების უფრო თანამედროვე საბრძოლო ტექნოლოგიებიც. კერძოდ, რაკეტები, საავიაციო და საარტილერიო ჭურვები და სხვ.

სპეცსამსახურებისა და ტერორისტების საყვარელი ადგილი ხალხმრავალი ადგილებია (მეტრო, ბაზარი და ა.შ.), სადაც იოლია სასიკვდილო ვირუსის ფარულად გავრცელება.

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1971 წელს მიიღო ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის განადგურებისა და წარმოების აკრძალვის კონვენცია, ბევრი ქვეყანა დღესაც აგრძელებს სამეცნიერო კვლევებს, საიმედოდ ინახავს ძველს და ფარულად ქმნის ახალ ბიოიარაღს. მათი მიზანია მოწინააღმდეგის არა მარტო ცოცხალი ძალის მწყობრიდან გამოყვანა, არამედ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, პირუტყვისა და ნათესების განადგურებაც.

## ბიოლოგიური დივერსიების მოკლე ისტორია

ბიოლოგიურ იარაღს ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში იყენებდნენ. მაშინდელი მეთოდები დროის შესაფერისი იყო. ალყაშემორტყმულ ციხე-ქალაქებში ტიფით ან ციმბირის წყლულით გარდაცვლილი ადამიანის, ან ცხოველის გვამის გადაისროდნენ. ამგვარი ბიოლოგიური შეტევა ციხის დამცველებს შორის პანიკასთან ერთად სასიკვდილო ვირუსის გავრცელებასაც იწვევდა.

მომდევნო საუკუნეებში ბაქტერიების და ვირუსების გავრცელების მეთოდები და ტექნოლოგია უფრო დაიხვეწა. ცნობილია ბიოლოგიური იარაღის გამოყენების რამდენიმე შემთხვევა, რომლებიც ქრონოლოგიურად ასე ლაგდება.

1916 წელს, როცა პირველმა მსოფლიო ომმა პიკს მიაღწია, კაიზერის გერმანიის სპეცსამსახურებმა გადაწყვიტეს ბიოლოგიური იარაღი გამოეყენებინათ. ამ ოპერაციაში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებიც მონაწილეობდნენ.

ერთ დღეს ესპანეთში გერმანიის ელჩმა მაქსიმილიან ფონ რატიბორმა ბერლინიდან საინტერესო ამანათი მიიღო. ეს იყო ლამაზად შეფუთული საპონი. მხოლოდ ელჩმა და რამდენიმე პირმა იცოდა, რომ ამ საპნების შიგნით მინიატიურულ მინის სინჯარებში გერმანიის სამხედრო-ვეტერინარულ აკადემიაში გამოყვანილი ციმბირული წყლულის ბაქტერიები იყო.

გეგმის თანახმად, არგენტინასა და აშშ-ში მოქმედ გერმანიის აგენტებს ამ სასიკვდილო ბაქტერიებით უნდა დაეავადებინათ ის ცხენები და მსხვილფეხა რქო-

სანი პირუტყვი, რომელიც ინგლისსა და საფრანგეთში უნდა გაეგზავნათ.

დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის პოლიციის ყურადღების წყალობით ეს ოპერაცია ჩაიშალა. თუმცა გერმანიის სპეცსამსახურები მაინც არ ისვენებდნენ.

ერთი წლის შემდეგ, 1917 წლის იანვარში, ფინეთისა და შვედეთის საზღვართან დააკავეს „ტურისტების“ ჯგუფი, რომელსაც გერმანელი ბარონი ოტო კარლ ფონ როზენი ხელმძღვანელობდა. მალევე გაირკვა, რომ მათ ციმბირული წყლულის ვირუსის გავრცელება სურდათ... ირმებში. „ბიოლოგ“ დივერსანტებს თან აღმოაჩნდათ ამ სასიკვდილო ვირუსით მოწამლული შაქრის ნატეხები, რომლებიც ხორცის კონსერვის ქილებში იყო მოთავსებული. გეგმის მიხედვით, შაქრის ნატეხები იმ შინაური ირმებისთვის უნდა დაეყარათ, რომლებსაც რუსეთში მარხილებით ინგლისური იარაღი გადაჰქონდათ. ზამთრის პერიოდში ეს იყო ერთადერთი მარშრუტი, რომლითაც დიდი ბრიტანეთი რუსეთს საბრძოლო მასალებს და იარაღს აწვდიდა. 30-იანი წლების დასაწყისში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებით თავი იაპონიამ „გამოიჩინა“. ამ ქვეყნის ავიაციამ ჩინეთის ქალაქებსა და სოფლებში რამდენჯერმე ჩამოყარა შავი ჭირის მატარებელი რწყილებით დაავადებული ხორბალი და ბრინჯი.

### 731-ე რაზმის საიდუმლო

მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონია ბიოლოგიური იარაღის უფრო მასშტაბურ გამოყენებას შეუდგა. კვანტუნის არმიამ ოკუპირებულ მანჯურიაში ადამიანებზე ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩატარებისთვის სუპერსაიდუმლო დანაყოფი – 731-ე რაზმი შექმნა. ოფიციალურად ეს რაზმი ჩინეთის მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფის კეთილშობილურ მისიას ასრულებდა, სინამდვილეში კი ეს დანაყოფი, რომლის შემადგენლობაში 1945 წელს ორი ათას კაცზე მეტი იყო, აწარმოებდა ფართომასშტაბიან ბაქტერიოლოგიურ ომს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. ამ მიზნით იაპონელები იყენებდნენ სხვადასხვა მეთოდს – თვითმფრინავებიდან ყრიდნენ ბაქტერიებით „დატენილ“ ჭურვებს, ნათესებსა და საძოვრებს ბაქტერიაშემცველ სითხეს ასხურებდნენ, საარტილერიო დანადგარებიდან ვირუსებითა და ბაქტერიებით სავსე ჭურვებს და ა.შ. ისროდნენ. მანჯურიის ტერიტორიაზე მოქმედებდა აგრეთვე ორი საიდუმლო ლაბორატორია, სადაც ცდებს ადამიანებზე, კერძოდ, ჩინელ ტყვეებზე ატარებდნენ.



ოკუპირებულ მანჯურიაში ბიოლოგიური ექსპერიმენტებისთვის იაპონელებმა სუპერსაიდუმლო დანაყოფი — 731-ე რაზმი ჩამოაყალიბეს

(გაგრძელება იხ. 62-ე გვ.)



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბიოლოგიური იარაღი კა-გე-ბეს საიდუმლო დოკუმენტებში

ჩვენს ხელთაა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სრულიად საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც 1985 წლის 22 იანვრით თარიღდება.

ირკვევა, რომ სუკ-ის ხელმძღვანელობამ დირექტიული წერილი დაუგზავნა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უშიშროების კომიტეტების ხელმძღვანელებს, სადაც ჩამოთვლილია ის ძირითადი საკითხები, რომლებიც საბჭოთა კავშირის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს აინტერესებდა. ამ ჩამონათვალში ყურადღებას იქცევს ის საკითხები, რომლებიც ბიოლოგიური იარაღის დამუშავებას ეხება.

„არსენალის“ მკითხველისთვის უფრო გასაგები რომ იყოს, დავაზუსტებთ, რომ საბჭოთა კავშირში არსებული პრაქტიკის თანახმად საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში შემავალი სამინისტროები და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები ადგენდნენ ე. წ. „კითხვარს“, ანუ იმ საკითხების ჩამონათვალს, რომელიც მათთვის პრიორიტეტული იყო და ღია წყაროებით ამ ინფორმაციის (ან ტექნოლოგიების) მოპოვება შეუძლებელი გახლდათ.

„კითხვარი“ ჯერ სუკ-ში იგზავნებოდა შემდეგ პირველ მთავარ სამმართველოში (საგარეო დაზვერვა). ძირითადად ამგვარად ფორმირდებოდა საბჭოთა საგარეო დაზვერვის საქმიანობის საიდუმლო გეგმა.

## საბჭოთა სამეცნიერო-ტექნიკური შპიონაჟი

1921 წლის აპრილში ვე-ჩე-კას სტრუქტურაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დანაყოფს „კომერციულ-სამრეწველო“ დაზვერვის სამმართველო წარმოადგენდა.

სტალინის პირადი მითითებით 1930-იანი წლების დასაწყისიდან დიდი ყურადღება ექცეოდა სამეცნიერო-ტექ-

*სტალინის მითითებით 1930-იანი წლების დასაწყისიდან დიდი ყურადღება დაეთმო სამეცნიერო-ტექნიკურ დაზვერვას*



ნიკურ დაზვერვას, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ საბჭოთა დაზვერვის მცდელობა სხვადასხვა ქვეყნიდან სამეცნიერო-ტექნიკურ სიახლეთა (უპირველესად სამხედრო ტექნოლოგიებისა და საცდელი ნიმუშების) „მოპოვების“, რაც ფაქტობრივად, მოპარვის განსაკუთრებით გაძლიერებას ნიშნავდა.

ამ მიზნით 1943 წელს სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატში შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის განყოფილება, რომელიც პირველი მთავარი სამმართველოს (საგარეო დაზვერვა) მე-10 განყოფილების სახელით იყო შენიღბული. ეს განყოფილება შვიდი ძირითდი მიმართულებით მუშაობდა: ატომური, ავიაკოსმოსური, ელექტრონული, სამედიცინო, ქიმიური, ფართო დანიშნულების ტექნიკის და საინფორმაციო-ანალიტიკური.



სუკ-ის მიერ დაგზავნილი საიდუმლო წერილი, რომელიც ბიოლოგიურ იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა

სუკ-ის შეფის, იური ანდროპოვის, გადაწყვეტილებით 1974 წელს ამ განყოფილების სტატუსი მნიშვნელოვნად გაიზარდა, შეეცვალა დასახელებაც და T-სამმართველო ეწოდა.

სამმართველო კოორდინირებას უწევდა საბჭოთა სპეცსამსახურებს სამეცნიერო-ტექნიკურ დაზვერვაში. მისი მთავარი შემკვეთი და მომხმარებელი საბჭოთა კავშირის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი იყო.

1972-77 წლებში ამ სამმართველოს მიერ „მოპოვებული“ იყო 120 ათასი სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტი, 20 ათასი ნახაზი-სქემა, ხოლო 1980 წელს შეკვეთები 3617 კონკრეტულ სამეცნიერო-ტექნიკურ საკითხს მოიცავდა, საიდანაც საბჭოთა სპეცსამსახურებმა 1085-ის „მოპოვება“ შეძლეს და რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი დაზოგეს.

30-იანი წლებიდან საბჭოეთ[illegible] თითქმის არ შექმნილა სამ[illegible]დობიანი დანიშნულების რაიმე მნიშვნელოვანი პროდუქცია (ატომური იარაღით დაწყებული და საკერავი მანქანებით დამთავრებული), რომლის წარმოებისათვის აუცილებელი ტექნოლოგიები, საპროექტო დოკუმენტაცია, ნედლეული, მზა ნაკეთობა და ა.შ. სრულად ან მნიშვნელოვანწილად სხვა ქვეყნებიდან არალეგალურად „მოპოვებული“, ანუ მოპარული, რომ არ ყოფილიყო.

დავუბრუნდეთ 1985 წლის საიდუმლო დოკუმენტს, რომელშიც უნდა ვაღიაროთ, რომ ღრმა პროფესიონალურ დონეზეა ფორმირებული ბიოლოგიური იარაღის დამუშავების ყველა მიმართულება. ამ დოკუმენტის შესწავლის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ საბჭოთა დაზვერვა ცდილობდა, ხელში ჩაეგდო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (უპირველესად კი NATO-ს წევრ ქვეყნებში) მიმდინარე, როგორც ბიოლოგიური იარაღის დამუშავების, ასევე გენეტიკის, გენური ინჟინერიისა და მიკრობიოლოგიის სფეროებში სამეცნიერო კვლევების ამსახველი საიდუმლო დოკუმენტაცია და თანამედროვე ტექნოლოგიები. ეს ყველაფერი კი საბჭოთა ბიოლოგიური იარაღის შესაქმნელად და დასახვეწად გამოიყენებოდა, რის შესახებაც სხვა სტატიაში გვექნება საუბარი.

**ბესიკ ალადაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხაფანგები და ცრუ სამიზნეები

სამხედრო ტექნიკის განვითარებას და ახალი იარაღის გამოგონებას უარყოფითი მხარეც აქვს. ადრე თუ გვიან, დანერგილი სიახლე მოწინააღმდეგის განკარგულებაშიც აღმოჩნდება და მისგან თავდაცვის მეთოდების შემუშავება იქნება საჭირო.

მეორე მსოფლიო ომის დროს ბევრი ახალი იარაღი შეიქმნა. ერთ-ერთი ჯერ სახმელეთო, შემდგომში კი საზღვაო რადიოლოკაციური სადგური იყო, რომელთა ფართო გამოყენება მეორე მსოფლიო ომის წლებში დაიწყო. მათი მეშვეობით არა მხოლოდ მოწინააღმდეგის საჰაერო შენაერთების დროული აღმოჩენა, არამედ საკუთარი სამხედრო ავიაციის მართვა და შეტევისას ეფექტური კოორდინაცია შეიძლებოდა.

ტალღებისა და რადიოლოკატორების გამოყენებით პირველი ექსპერიმენტები გერმანელმა ფიზიკოსმა ჰენრიხ ჰერცმა 1887 წელს ჩაატარა. შემდგომ ამ მიმართულებით რუსი, ბრიტანელი და ამერიკელი ფიზიკოსებიც მუშაობდნენ.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ ბრიტანეთისა და გერმანიის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვაში რადიოლოკაციურ სადგურებს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. თუმცა იყო ერთი ნიუანსიც. საკუთარი ავიაციის შეტევისას მოწინააღმდეგის რადარები თვითმფრინავებს სამიზნესთან მიახლოებამდე აფიქსირებდნენ. მათ მოსატყუებლად სპეციალური საშუალებების შექმნა იყო საჭირო. პირველები ამ სფეროში ბრიტანელები იყვნენ.

1942 წლის დასაწყისში ბრიტანული კავშირის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომელმა ჯოან კენერმა ხელმძღვანელობას გერმანული რადარების „დასაბნევად“ სპეციალური ხაფანგების — დიპოლური ამრეკლების გამოყენება შესთავაზა. კენერის აზრით, თვითმფრინავებიდან დიდი რაოდენობით გადმოყრილი ალუმინის ფოლგის ზოლები რადარებს მუშაობაში ხელს შეუშლიდა.

ამისთვის დიპოლების სიგრძე მომუშავე რადარის ტალღის სიგრძის ნახევარი უნდა ყოფილიყო. გერმანული ლოკატორების შემთხვევაში 27X2 სმ-ის ფოლგის ნაჭრები შეირჩა. გამოგონებას ბრიტანელებმა Widow-ი შეარქვეს.

ამერიკული და ბრიტანული (ეს უკანასკნელნი გერმანიას ღამღამობით ბომბავდნენ) ბომბდამშენებისგან თავდაცვისთვის გერმანელებმა ე.წ. „კამჰუბერის ხაზი“ შექმნეს. შვეიცარიიდან ნორვეგიამდე გადაჭიმული თავდაცვის ზღუდე სათვალთვალო ზონების, საზენიტო ბატარეების, პროჟექტორებისა და ღამის გამანადგურებლების აეროდრომებისგან შედგებოდა. თეორიულად დიპოლურ ამრეკლებს საბომბდამშენო ავიაციის დანაკარგი უნდა შეემცირებინა, მაგრამ ბრიტანელები შიშობდნენ, რომ Widow-ს გამოყენებისთანავე გერმანელები მის ანალოგს შექმნიდნენ და ბრიტანეთის წინააღმდეგ გამოიყენებდნენ.

მოწინააღმდეგის რადარების „მოსატყუებლად“ გერმანელები საკუთარ დიპოლურ ამრეკლებზე — Duppel-ზე მუშაობდნენ, მაგრამ გამოყენებისგან თავს ბრიტანელების ანალოგიური მიზეზით იკავებდნენ.

**დიპოლური ამრეკლი ალუმინის ფოლგის ან ლითონით დაფარული ქაღალდის ვიწრო ზოლია. რადიოლოკაციური სიგნალის ეფექტური არეკლვისთვის დიპოლის სიგრძე რადარის გამოსხივებული ტალღის სიგრძის ნახევარი უნდა იყოს. თვითმფრინავიდან დიდი რაოდენობით გადმოყრილი მსუბუქი**



**დიპოლები ჰაერში დიდხანს ჩერდებიან და მოწინააღმდეგის რადარებისთვის პასიურ ხარვეზებს წარმოქმნიან.**

1944 წლის 24 ივლისის ღამეს ბრიტანულმა ავიაციამ ჰამბურგზე მასშტაბური იერიში მიიტანა. დაბომბვაში 791 თვითმფრინავი მონაწილეობდა. „კამჰუბერის ხაზთან“ მიახლოებისას ბომბდამშენების ნაწილმა დიპოლურამრეკლებიანი შეკვრები გადმოყარა. რამდენიმე წუთში ცაში აღმოჩენილმა თითქმის 92 მილიონმა ხაფანგმა გერმანული თავდაცვითი ზოლის პარალიზება მოახდინა. რადარების ეკრანებზე გაჩენილ ასეულობით წერტილს შორის დიპოლებისა და ბომბდამშენების ერთმანეთისგან გარჩევა შეუძლებელი იყო. ბრიტანულმა ნოუ ჰაუმ გაამართლა. 791 ბომბდამშენიდან დანაკარგმა მხოლოდ 12 ერთეული შეადგინა. აქედან 9 ღამის გამანადგურებლებმა ჩამოაგდეს და 3 საზენიტო არტილერიამ, რომელმაც 50 ათას ჭურვამდე დახარჯა.

ჰამბურგზე ბრიტანელთა შეტევა 2 აგვისტომდე გაგრძელდა. 4 საჰაერო რეიდის შემდეგ, რომელთა დროსაც 50 ათასამდე კაცი დაიღუპა, დიპოლებისგან თავის დასაცავად გერმანელებმა ახალი ტიპის რადარებზე დაიწყეს მუშაობა.

ტექნიკის განვითარებასთან ერთად, მოწინააღმდეგის საფრენი აპარატების აღმოჩენა-განადგურებისთვის ლოკატორებისა და საზენიტო არტილერიასთან ერთად რაკეტების გამოყენებაც დაიწყეს. რადიოტალღების მეშვეობით მართული საზენიტო რაკეტებისგან დასასხლტომად დიპოლური ამრეკლები თავდაცვის ერთ-ერთ ვარიანტად განიხილებოდა. მაგრამ ინფრაწითელი დამიზნების რაკეტების წინააღმდეგ ალუმინის ფოლგის ზოლები უკვე უძლურნი იყვნენ. ეს სისტემა სპეციალისტებმა ახალი ტიპის საზენიტო იარაღში — გადასატან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებში გამოიყენეს.

ეფექტურობის წყალობით გადასატანმა საზენიტო კომპლექსებმა პოპულარობა განსაკუთრებით არაბეთ-ისრაელის ომების დროს მოიპოვეს. ისინი პირველად 1969 წელს არაბებმა გამოიყენეს და საბჭოური Стрела-2-ებით მხოლოდ ერთ დღეში ათი გასროლით ექვსი ებრაული თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

იმ პერიოდისთვის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები ახალი ხილი იყო და მათგან თავდაცვის საშუალება არ არსებობდა. ავღანეთის ომის საწყის



გამშვები საქემბანო დანადგარი ПК-2



ხაფანგების დამდგმელი რაკეტის სტარტი



*დღეს პრაქტიკულად ყველა ტიპის სამხედრო საფრენი აპარატი თავდაცვის მიზნით დიპოლური და სითბური ხაფანგების გამშვები მოწყობილობებითაა აღჭურვილი*

ეტაპზე საბჭოთა საფრენი აპარატების წინააღმდეგ მოჯაჰედები ამერიკული FIM-43 Redeye-ებს იყენებდნენ.

სითბური (ინფრაწითელი) დამიზნების რაკეტების გამოჩენისთანავე სპეციალისტებმა მათთან ბრძოლის საკმაოდ მარტივ და მეტ-ნაკლებად ეფექტურ საშუალებას — სითბურ ხაფანგებს მიაგნეს.

სპეციალურ კასეტებში ჩალაგებული ხაფანგები საფრენ აპარატზე მაგრდება და სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტის მოსაგერიებლად მფრინავი მათ გასროლას ერთეულად, ჯერით ან ზალპით ახდენს. კასეტიდან ამოვარდნის შემდეგ ხაფანგი ინტენსიურად ინვის და მაღალ ტემპერატურას გამოყოფს, რომელიც საფრენი აპარატის ძრავების ინფრაწითელი გამოსხივების სპექტრზე ძლიერია და რაკეტა რეალურ სამიზნეს კარგავს.

ავღანეთში საბჭოთა ავიაციასთან საბრძოლველად გადასატანი სარაკეტო კომპლექსების გამო სპეციალისტებმა სწორედ სითბურ ხაფანგებს მიმართეს. საბრძოლო თვითმფრინავებსა თუ შვეულმფრენებს დაუყენეს АСО-2В-ს ტიპის ბლოკები, რომლებიც ППИ-26-ის ტიპის 32-32 ხაფანგს იტევს.

თანდათან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები დაიხვეწა და სითბური ხაფანგებით ინფრაწითელი დამიზნების სისტემების მოტყუება გართულდა. მიუხედავად ამისა, დღეს პრაქტიკულად ყველა ტიპის სამხედრო საფრენი აპარატი თავდაცვის მიზნით დიპოლური და სითბური ხაფანგების გამშვები მოწყობილობებითაა აღჭურვილი.

ხაფანგებს სამხედრო ფლოტშიც იყენებენ. შეიარაღების განვითარებასთან ერთად, სამხედროების განკარგულებაში ახალი ტიპის იარაღი — ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები გამოჩნდა. შედარებით ნელი და მოუქნელი ხომალდისთვის მაღალი სიჩქარით (900-1000 კმ/სთ) მფრენი რაკეტისგან დასხლტომის შანსი პრაქტიკულად ნულს უტოლდებოდა. შესაბამისად, საჭირო იყო ეფექტური თავდაცვის საშუალებების შემუშავება და ამისთვის მეზღვაურებმა ავიაციას მიმართეს. ხომალდებზე დიპოლური ამრეკლების გამშვები მოწყობილობები დამონტაჟდა.

პირველ ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებში მხოლოდ რადიოლოკაციური დამიზნების სისტემა გამოიყენებოდა. შესაბამისად, დიპოლების მეშვეობით რაკეტის აცილება სავსებით რეალური იყო.

სსრკ-ში ერთდროულად რამდენიმე ასეთ კომპლექსზე დაიწყეს მუშაობა, რომლებიც ერთმანეთისგან გასატყორცნი ჭურვების კალიბრითა და რაოდენობით განსხვავდებოდა: 82 მმ-იანი 16 რეაქტიული ჭურვით იყო აღჭურვილი სისტემა КЛ-101, ხოლო 120 მმ-იანი 10 რეაქტიული ჭურვი სისტემა КК-10-ს ჰქონდა. ყველაზე ძლიერი კი 140 მმ-იანი კომპლექსი ПК-2 (КЛ-102) იყო. ის შეიარაღებაში 1969 წელს მიიღეს. მისი ტურელური ტიპის ორმიმმართველიანი გამშვები დანადგარი დამიზნების საშუალებას როგორც ვერტიკალურ, ასევე ჰორიზონტალურ სიბრტყეებში იძლევა.

სტარტის შემდეგ რეაქტიული ჭურვები წინასწარ მითითებულ დისტანციასა და სიმაღლეზე ფეთქდებიან. საბრძოლო კომპლექტში ორი ძირითადი: პასიური რადიოლოკაციური და სითბური ხარვეზების დამდგმელი ჭურვები შედის. შემდგომში დამიზნების ტელე და ლაზერული იარაღის გასანადგურებლად ახალი საბრძოლო მასალა შეიქმნა, რომლის აფეთქებაც აეროზოლის „ფარდას“ წარმოქმნის.

ПК-2-ის სწრაფსროლა წუთში 15 ზალპია. კომპლექსი ავტომატურად, გემბანის ქვეშ მდებარე მოწყობილობით იტენება. რაკეტის მოდიფიკაციის განურჩევლად, კომპლექსის მოქმედების სიშორე 6 ათასი მ, სიმაღლე კი ათასი მ-ია.

მსგავსი ტიპის თავდაცვითი საშუალებები დასავლურ ხომალდებზეც გამოიყენება. ბრიტანული ფირმა Vickers-ი Corvus-ის ტიპის სისტემას აწარმოებს. ის ორი რვაგამშვებიანი მოწყობილობისგან შედგება

და საფრთხის შემთხვევაში დიპოლების „ფარდას“ ხომალდიდან ათას მ-ში წარმოქმნის.

ამერიკული ფლოტი მცირეტონაჟიან ხომალდებზე Mark 36 RBOC-ის სისტემას იყენებს. გემბანზე ხისტად დამაგრებულ სისტემაში ორი 6-ლულიანი გამშვები მოწყობილობა, დიპოლური ამრეკლებითა (Mk214, Mk216) და სითბური ხაფანგებით (Mk245) „დატენილი“ ჭურვებია გამოყენებული.

დიპოლებით ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების მოგერიების თვალსაჩინო მაგალითი ფოლკლენდის კონფლიქტისას 1982 წლის 25 მაისს მომხდარი შემთხვევაა, როცა დაბალი სიმაღლიდან ორმა Super Etendard-მა ბრიტანულ ესკადრას 50 კმ-დან თითო ხომალდსაწინააღმდეგო „ეგზოსეტი“ ესროლა. ავიამზიდებიდან და ესკორტის ხომალდებიდან გაშვებულმა დიპოლებმა არგენტინულ რაკეტებს გეზი შეუცვალეს და „ეგზოსეტების“ მიზანში თავდაცვითი სისტემების გარეშე მყოფი „ატლანტიკ კონვეიორი“ აღმოჩნდა. გემს ორივე რაკეტა მოხვდა და ეკიპაჟის ძალისხმევის მიუხედავად — ჩაიძირა.

ცრუ სამიზნეებსა და ხაფანგებს წყალქვეშა ნავებიც იყენებენ. ჰიდროლოკატორებისა და აკუსტიკური სონარების განვითარებამ წყლის სიღრმეში მოცურავე წყალქვეშა ნავების აღმოჩენა გაამარტივა.

მეორე მსოფლიო ომში მოკავშირეების ხომალდებისა და ავიაციაში მზარდმა დანაკარგმა გერმანული წყალქვეშა ფლოტის სარდლობას თავდაცვის ახალი საშუალებების შექმნისკენ უბიძგა. მოწინააღმდეგე ჰიდროლოკატორების მოსატყუებლად გერმანელმა სპეციალისტებმა „ბოლდის“ ტიპის ცრუ სამიზნეები გამოიგონეს. მათი გაშვების შემდეგ, წყალში გაზის ბუშტუკებისგან წარმოქმნილი ღრუბელი წყალქვეშა ნავის ექოსიგნალის იმიტაციას ახდენდა.

საწყის ეტაპზე „ბოლდი“ შესანიშნავ ეფექტს იძლეოდა. მოკავშირეები ლოკატორების ეკრანებზე ერთის ნაცვლად ერთდროულად რამდენიმე გერმანულ წყალქვეშა ნავს ხედავდნენ, მაგრამ თანდათან ამერიკელებმა და ბრიტანელებმა ცრუ სამიზნეებისა და რეალური წყალქვეშა ნავების ერთმანეთისგან გარჩევა ისწავლეს.

კიდევ ერთი სატყუარა ბრიტანელებმა გერმანული აკუსტიკური ტორპედოების გასანადგურებლად შექმნეს. ახალი ტიპის ტორპედოები, რომლებიც ხმაურის




სისტემა Mark 36 RBOC, რომელსაც ამერიკული ფლოტი მცირეტონაჟიან ხომალდებზე იყენებს

წყაროზე რეაგირებდნენ, გერმანელებმა პირველად 1943 წელს გამოიყენეს. მათ „მოსატყუებლად“ მოწყობილობა „ფოქსერი“ დამზადდა. ის ხომალდის უკან გრძელ გვარლზე გამობმული ორი პარალელური მილისგან შედგებოდა. წყალში მოძრაობისას ერთმანეთს დაჯახებული მილები ფართო სპექტრის ინტენსიურ ხმაურს იწვევდნენ. ხმაურის ხელოვნური წყაროს სიმძლავრე ხომალდის ხრახნებისას აღემატებოდა და მოტყუებული ტორპედო „ფოქსერისკენ“ მიემართებოდა.

**ალექსანდრე აფაქიძე**



ტორპედოების მოსაგერიებლად ცრუსამიზნეებსა და ხაფანგებს წყალქვეშა ფლოტშიც იყენებენ


თბილისი
ავიაშოუ
2013


არსენალი



# ბორბლებიანი ბელგიური ჯავშანტექნიკა

ერთ დროს Minerva უმაღლესი კლასის პრესტიჟულ ავტომობილად ითვლებოდა

ავტომობილების დაჯავშნის იდეა ბელგიაში ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას გაჩნდა, მაგრამ მის პრაქტიკულ მნიშვნელობას ბელგიელი სამხედროები სხვებზე ადრე მიხვდნენ.

ბელგიის არმიის გენერალური შტაბის განსაკუთრებულ დავალებათა ოფიცერ მორლ ანკარს სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად უწევდა საკუთარი მსუბუქი ავტომობილით ნაწილებში ბრძანებების მიტანა და ინსპექტირება, სადაზვერვო დავალებათა შესრულება.

იმან თავისი Minerva 26CV-თი სიარული საშიში იყო და ახალგაზრდა ლეიტენანტს მაშინ ავტომობილის დაჯავშნის იდეა გაუჩნდა, სქემაც თავად მოიფიქრა და მეწარმეების დახმარებით მანქანის ძარა 4-6 მმ-იანი ფოლადის ფურცლებით შემოსა.

იმ წლებში Minerva უმაღლესი კლასის პრესტიჟულ ავტომობილად ითვლებოდა. სხვათა შორის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში თბილისის კომენდანტს ბელგიური მსუბუქი ავტომობილი „მინერვა" 11 ემსახურებოდა.

ანკარის დაჯავშნულ Minerva-ს კარები არ ჰქონდა და თავისი კორპუსში მძღოლი, მეთაური, მემსხვრე, მეტყვიამფრქვევე და თვითლებლობის შესაბამისად 1-2 სნაიპერიც თავსდებოდა, ხოლო შეიარაღებიდან 8 მმ-იანი Hotchkiss-ის ტყვიამფრქვევით იყო აღჭურვილი.

სამხედროებმა ლეიტენანტის ნამუშევარი მოიწონეს და კომპანია Minerva-ს ჯავშნიანავტომობილების პარტიის დამზადება შეუკვეთეს.

XIX საუკუნის ბოლოს ჰოლანდიელი სილვანი დე ჟონგის მიერ ქალაქ ანტვერპენის მახლობლად დაარსებული Minerva-ს ქარხანა პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში ბელგიის არმიისთვის ხისძარიან სანიტარულ და 3-ტონიან სატვირთო ავტომობილებს ამზადებდა.



პირველი სერიული ჯავშნიანავტომობილი Minerva: მასა — 4,5 ტ, ბენზინის ძრავა 40 ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 45 კმ/სთ-ში, ეკიპაჟი — 3-6 კაცი





ჯავშნიანავტომობილების წარმოება კომპანიისთვის დიდი დატვირთვა იყო და ეს საპასუხისმგებლო დავალება წარმატებით შესრულდა — დაჯავშნული „მინერვები" სერიულად დამზადებული, მრავალსერიიანი საბრძოლო მანქანების პირველ ნიმუშს წარმოადგენდა.

1914 წლის ოქტომბრამდე — ანტვერპენში გერმანელების შემოსვლამდე 25-30 ავტომობილის დაჯავშნა მოესწრო. მართალია, „მინერვა" სერიულ ჯავშნიანავტომობილად ითვლებოდა, მაგრამ დამზადების პროცესი პრიმიტიული დარჩა და მანქანებიც დაჯავშნით ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ.

„მინერვებით" 1-ლი ავტოჯავშნდივიზიონი ჩამოყალიბდა და არმიამ ახალ ტექნიკას მრავალმხრივი გამოყენება მოუძებნა — დაზვერვა, რეიდები გერმანელების ზურგსა და კომუნიკაციებზე, ჩასაფრებები მოულოდნელი დარტყმებით და ა.შ.

ჯავშნიანავტომობილების ეფექტურობას ბელგიის სწორი რელიეფი და კარგად განვითარებული საგზაო ქსელიც ხელს უწყობდა.

ნახატები, სადაც გამოსახული იყო ბელგიური მანქანების ბრძოლა გერმანელ კავალერისტებთან, პრესაში ხშირად იბეჭდებოდა და პროპაგანდისტული ომის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითად იქცა.

თუმცა „მინერვას" სრულყოფილ ჯავშნიანავტომობილად ალბათ მაინც ძნელი იყო, რადგან თავისი კორპუსში ტყვიამფრქვევი ღიად იდგა და დამცავი ფარიც ყველა მანქანას არ ჰქონდა.

ლეგენდის მიხედვით, ერთ-ერთი ჩასაფრების დროს ლეიტენანტი მორლ ანკარი და პრინცი ბოდუენი დაიღუპნენ, რის გამოც დაჯავშნულ მანქანებზე უარი ითქვა.

სინამდვილეში კი დასავლეთის ფრონტზე პოზიციური ომის ხასიათი მიიღო და ჯავშნიანავტომობილების გამოყენებისთვის ადგილი აღარ დარჩათ, ხოლო „ესკადრონ" დარჩენილი „მინერვების" დივიზიონი 1915 წლის





დაჯავშნული Mors-ი: მასა — 3,5 ტ, ეკიპაჟი — 3-4 კაცი, ბენზინის ძრავა 35-38 ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 40 კმ/სთ-ში

ბელგიის მეფე ალბერტმა რუსეთში იმპერატორ ნიკოლოზ II-ს გადაუგზავნა.

ბელგიიდან გერმანიის ჯარების გასვლის შემდეგ „მინერვამ" პროდუქტი განაახლა და მანქანის 1919 წლის მოდელს კორპუსის უკანა ნაწილში ჯიხური, ჯავშანსახურავი და ეკიპაჟის ჩასხდომა-გადმოსვლისთვის ორი გვერდითი კარი დაუმატა.

1928 წლის მოდელის „მინერვას" კი ახალი კორპუსი, სფერული ფორმის კოშკური და პროჟექტორი ჰქონდა, ხოლო ზოგიერთი მანქანის შეიარაღებაში ტყვიამფრქვევის ადგილი 37 მმ-იანმა ქვემეხმა დაიკავა.

ომის დასაწყისში მოთხოვნა დაჯავშნულ მანქანებზე იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ბელგიელებმა ფრანგული კომპანია Mors-ის ავტომობილებიც დაჯავშნეს. თუმცა დასავლეთის ფრონტზე მათი სამსახური ხანმოკლე გამოდგა და 1915 წლის დასაწყისში დასრულდა მას შემდეგ, რაც „მინერვებმა" მთლიანად შეცვალეს.

იმამდე ანტვერპენში კომპანია SAVA სპორტულ ავტომობილებს ამზადებდა, მაგრამ ომის საჭიროებამ სამხედრო სამსახურში სპორტული მანქანებიც ჩააყენა.

SAVA-ს საკმაოდ საიმედო სავალი ნაწილი ჰქონდა, რომლისთვისაც ორიგინალური დაჯავშნის სქემა მოიძებნა: ტყვიამფრქვევიანი ნახევარსფერული ფორმის კოშკურის ზურგი არ ჰქონდა და მასში მჯდომი ორი მეტყვიამფრქვევე უკანა მხრიდან დაუცველი იყო.

ჯავშნიანავტომობილებმა ბელგიის არმიას კიდევ ერთი სამსახური 1921-23 წლებში გაუწიეს, როცა გერმანიის რურის ოლქში საფრანგეთმა და ბელგიამ ჯარები შეიყვანეს.

ბელგიელთა განკარგულებაში დაჯავშნული „მინერვა" და AB-Laroe იყო. ეს უკანასკნელი იმპროვიზებული, საპოლიციო დანიშნულების უიარაღო ჯავშანტექნიკის ტიპიურ ნიმუშს წარმოადგენდა.

ორივე ჯავშნიანავტომობილი სამხედროებს დემონსტრანტებისა და დივერსანტების ადგილობრივ მოსახლეობასთან დაპირისპირებისას ძალიან გამოადგათ.

დიდი ხნის მანძილზე ბელგიაში დაჯავშნული საბრძოლო მანქანების წარმოება შეჩერებული იყო, თუმცა Minerva და იარაღის ცნობილი მწარმოებელი FN Herstal-ი არმიის სატვირთო ავტომობილებით, ნახევრად მუხლუხა გამწევებით თუ სხვადასხვა ტექნიკით მომარაგებას განაგრძობდა.



ორიგინალური კონსტრუქციის სამთვლიანი მანქანა Tricar 12T3

კომპანია FN Herstal-ი არმიისთვის მოტოციკლეტებს აწყობდა და 1939-40 წლებში მოტოციკლების ბაზაზე სამასზე მეტი ორიგინალური კონსტრუქციის სამთვლიანი მანქანა — Tricar-ი 12T3 გამოუშვა.

„ტრიკარს" სამხედროები ტვირთის ნაწილი პარტიების გადასაზიდად (ტვირთამწეობა 550-675 კგ) და მშვენივრად იყენებდნენ, ხოლო ტყვიამფრქვევით ან 20 მმ-იანი საზენიტო ქვემეხით აღჭურვილები კი საცეცხლე მხარდაჭერას უზრუნველყოფდნენ.

სამთვლი სამხედრო მანქანის გამოშვების საკითხი 1951 წელს დადგა, როცა არმიას ამერიკული მოძველებული „ჯიპების" შეცვლა დასჭირდა. ახალი 2500 ყველგანმავალის შესაძენ კონკურსში ერთმანეთს ამერიკული Willys-ი და ბრიტანული Land Rover-ი დაუპირისპირდნენ. გამარჯვება ინგლისელებს დარჩათ და კომპანია Minerva-მ Land Rover-ისგან მე-80 მოდელის ავტომობილის წარმოების ლიცენზია მიიღო.

ბრიტანულ მანქანის კონსტრუქციაში „მინერვას" სპეციალისტებმა ცვლილებები შეიტანეს: დაუყენეს ბელგიური ძრავა, საქე მარცხნივ გადაიტანეს, სათადარიგო ბორბალი კაპოტიდან კორპუსის უკანა კედელზე დაამაგრეს, ფრთებს მარტივი ფორმა მიეცა, შეიცვალა რადიატორის ბორბლები და სხვა ზოგიერთი გარეგნული დეტალი.

არმიამ „მინერვა-ლენდ როვერების" დაჯავშნული, სანიტარული და ავიასადესანტო ვერსიები მიიღო, ხოლო ავტომობილების რაღაც რაოდენობა უუკუცემო ქვემეხითა და მოძველებული საზენიტო ტყვიამფრქვევებით აღიჭურვა.

1954 წლიდან კომპანია „ლენდ როვერის" გაუმჯობესებული 86-ე მოდელის გამოშვებაზე გადავიდა და არმიას 1100 მანქანაც დაუმზადა.

1956 წელს „მინერვამ" მთლიანად ბელგიური ნაწილებითა და აგრეგატებით აწყობილი სამხედრო დანიშნულების ყველგანმავალ M-20-ის გამოშვებას შეუდგა, მაგრამ სამხედროებმა სამთვლი ავტომობილი დაიწუნეს და უშუალოდ „ლენდ როვერის" წარმოებული მანქანები ამჯობინეს.

კომპანია FN Herstal-ის ინჟინრებმა შეიმუშავეს 1957 წელს სრულიად ორიგინალური კონსტრუქციის 4-თვლიანი მინიტრანსპორტიორის AS24-ის პროექტი მოამზადა.

ავიასადესანტო ქვედანაყოფებისთვის შექმნილი სამბორბლიანი ურიკა (ЗКС) მზადყოფნის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა და პარაშუტით დაშვების შემდეგ მძღოლს საბრძოლო მდგომარეობაში 1 წთ-ში მოჰყავდა.

1961-66 წლებში არმია სამასი AS24-ით შეივსო, რომელსაც სამხედროები სატრანსპორტო, საშტაბო, სანიტარო და საბრძოლო დანიშნულებით იყენებდნენ.

FN Herstal-ის შესაძლებლობები ბორბლებიანი ჯავშანტექნიკის წარმოებაშიც მოსინჯეს და 1962 წელს თანდართვით კორპუსის გამოსაცდელად მოუმზადა ჯავშნიან ავტომობილ FN 4 RM/62F AB-ის პროტოტიპი დაუმზადა.











AS24: მასა — 224 კგ, სიჩქარე — 57 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 200 კმ, ტვირთამწეობა — 250 კგ

გამოცდასა და მანქანის სრულყოფას კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდა და 1971-72 წლებში არმიას 62 ჯავშანავტომობილი FN 4 RM/62F AB ორი სახის შეიარაღებით გადაეცა. ერთ მოდიფიკაციაში ის იყო 90 მმ-იანი ქვემეხი, ხოლო მეორეში კი — 7,62 მმ-იანი 1-2 ტყვიამფრქვევი და 60 მმ-იანი ნაღმსატყორცნი.

შემდეგ იყო ჯავშანტრანსპორტიორის ვერსიაც, მაგრამ მისთვის არმიაში ადგილი არ მოიძებნა და სერიულ წარმოებაზე უარი თქვა.

1975 წელს ბელგიის შეიარაღებულმა ძალებმა ახალ ჯავშანავტომობილზე კონკურსი გამოაცხადა და მასში მონაწილეობის სურვილი სხვადასხვა ქვეყნის მრავალმა კომპანიამ გამოთქვა. მათ შორის იყო ირლანდიური Timoney Technology და ნოემბერში ბელგიაში გამოსაცდელად საკუთარი კონსტრუქციის Timoney MkIII (4X4) გაგზავნა.

გამოცდის შედეგები ჯერ კიდევ ცნობილი არ იყო, როცა კომპანია Beherman-Demoen Engineering-მა ირლანდიელებთან ჯავშანავტომობილის ლიცენზიურ წარმოებაზე კონტრაქტი გააფორმა.

ერთობლივი ბელგიურ-ირლანდიური პროექტით სამხედროები კმაყოფილნი დარჩნენ და კონკურსში გამარჯვებაც მას მიაკუთვნეს.

მცირედენი კონსტრუქციული ცვლილებების შემდეგ (კორპუსის უკანა ნაწილის სახურავს მეორე დახრა მიეცა ტყვიამფრქვევისთვის სროლის კუთხის გასაუმჯობესებლად, ბორტებზე სამ-სამი კუშლის დასაცენებელი ვენტილატორები დაიდგა, სნორკელები ამბრაზურები მრგვალებმა შეცვალეს, აღჭურვილობას კონდიციონერი დაემატა და სხვ.) 1977-78 წლებში ბელგიის ტანდარმებმა 80 ჯავშანავტომობილი სამხედრო-საჰაერო ძალებმა კი 43 ჯავშანავტომობილი Timoney BDX მიიღეს.

Timoney BDX მზადდებოდა სამი სახით: თვითმავალი ნაღმსატყორცნი (აღჭურვილი იყო 81 მმ-იანი ნაღმსატყორცნით), ტანდარმერიისა (სახელდახელო დანით და კოშკურაში 7,62 მმ-იანი 1-2 ტყვიამფრქვევით) და სამხედრო-საჰაერო ძალების (ღია ტურელზე დაყენებული 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი GPMG) ჯავშანტრანსპორტიორი.

მოძველებული ჯავშანავტომობილი FN 4 RM/62F AB: მასა — 8,8 ტ, ეკიპაჟი — 3 კაცი, კარბიურატორიანი ძრავა 130-ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 110 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი მიწაზე — 600 კმ

გარდა ამისა, მანქანის შეიარაღება შეიძლებოდა 20 მმ-იანი ქვემეხით, ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსებითა და 51 მმ-იანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემით.

ბელგიის მცირერიცხოვანი არმია პატარა და მისი აღჭურვა საშამული ჯავშანავტომობილებით ყოველთვის პრობლემატურად იდგა, რადგან ნულიდან წარმოებას თან დიდი დანახარჯი ახლავს. ამის მიუხედავად, ადგილობრივი კომპანიები მცდელობას ხელს არ აკლებდნენ და საკუთარი თუ არა, სხვა ქვეყნის დანიშნულებას მაინც ცდილობდნენ.

ერთ-ერთი ასეთი La Brugeoise et Nivelles-ს პროექტი. რეინიგზის მოძრავი შემადგენლობის დამზადებითა და ფრანგული ტანკების AMX-13-ის აწყობით დაკავებულმა კომპანიამ მოულოდნელად დაჯავშნული საბრძოლო მანქანების გამოშვება გადაწყვიტა.

1976 წელს დასრულდა გერმანული MAN-ის კვანძებით შექმნილი მრავალმხრივი დანიშნულების ჯავშან-ავტომობილ SIBMAS VCB-ის (6X6) პროექტირება. მომზადდა მანქანის საბრძოლო, საშტაბო, სანიტარული და სარემონტო-საევაკუაციო ვერსიები.

პოტენციური მყიდველების დასაინტერესებლად კონსტრუქტორებმა საბრძოლო ვერსიისთვის მრავალფეროვანი შეიარაღება გაითვალისწინეს: საშამული წარმოების 90 მმ-იანი ქვემეხი Cockerill-ი, 20 მმ-იანი ავტომატური ქვემეხი, სხვადასხვა სახის ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი და ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსები.

მთელი შრომა კი მალაიზიის შეკვეთით შემოიფარგლა. მალაიზიის არმიისთვის კომპანიამ 90 მმ-იანი ქვემეხით აღჭურვილი 162 საბრძოლო მანქანა AFSV-90 და 24 სარემონტო-საევაკუაციო მანქანა ARV დაამზადა.

თემურ ჩარჩანიძე




# პაპანაქების საუფლო

## პირველი ნაწილი

სხვა სახელს, ალბათ, ვერც მოუძებნი საჰარის უდაბნოს იმ ღვთისგან დაწყევლილ ადგილს. იქ, მალის ჩრდილოეთში, შავ კლდეებში ავი სულები აწამებდნენ და ხოცავდნენ ადამიანებს, ახლა კი თავად ილუპებოდნენ ჯოჯოხეთური სიცხის, გაუსაძლისი წყურვილისა და ფრანგი სპეცრაზმელების ტყვიებისგან.

მალის რესპუბლიკის ჩრდილოეთი, იფორასის ზეგანის დასავლეთით, შემზარავი ადგილია. 45-55 გრადუსი სიცხე, არავითარი ჩრდილი, რომელიც არც არასოდეს ყოფილა იქ და მხოლოდ გავარვარებული შავი ლოდები ქვიშის უნაპირო ზღვაში.

კარგა ხნის წინ სწორედ ამ ადგილას მოიყარა თავი საჰარის უდაბნოს თითქმის ყველა ავმა სულმა, საიდანაც მთელ კონტინენტზე ავრცელებდნენ ცოდვებს — იარაღს, ნარკოტიკებს, კონტრაბანდასა და მონობას.

აქვე ასწავლიდნენ ნეოფიტებს (ახალრჯულმიღებული) თავიანთი არაადამიანური ცხოვრების სიბრძნეებს. აქედან აწყობდნენ სისხლიან თავდასხმებს მეზობელ ქვეყნებზე და აქვე ილოკავდნენ ბრძოლისას მიღებულ ჭრილობებს. იქ ჩაჰყავდათ მძევლები, რომელთა გათავისუფლების საფასურად დიდ ფულს ითხოვდნენ და ხშირად მიზანსაც აღწევდნენ. რას იზამ, სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვანაირად წყვეტს ამ საკითხს. როგორც ევროპის სპეცსამსახურების შტაბებში ამბობენ: „საზღვარგარეთ დატყვევებული საკუთარი მოქალაქეების გამოსახსნელად გერმანელები გზავნიან ფულს, ინგლისელები — თანაგრძნობის ბარათებს, ხოლო ფრანგები კი სპეცრაზმებს“.

ასე იყო ამჯერადაც, როცა ფრანგმა კომანდოსებმა შავ კლდეებთან რამდენიმე ავი სული მიახრჩვეს, ბოევიკთა თანამებრძოლებმა თავი მოჰკვეთეს მოხუც სნეულ მძევალს და თავხედურად განაცხადეს, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა „ჯოჯოხეთის კარი შეაღო“ და არც შემცდარან, — მათთვის ჯოჯოხეთის კარი 2013 წლის თებერვალში გაიღო, როცა ფრანგულმა სპეცრაზმებმა მათ წინააღმდეგ ოპერაცია დაიწყეს.

## ჩრდილოეთში

ჯერ კიდევ გასულ წელს რადიკალი ისლამისტების დაჯგუფებებმა მალის ჩრდილოეთში გამეფებულ სეპარატისტ ტუარაგებს ძალაუფლება ჩამოართვეს. თუმცა კარგად იცოდნენ, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მათ საქციელს, მიუხედავად ამისა, „ალ-ქაიდის“ „საჰარის მაყურებელმა“, თავხედურად გამოაცხადა: „თუ ომი გსურთ, ჩვენ ამისთვის იმაზე კარგად ვართ მომზადებული, ვიდრე თქვენ გგონიათ“. ამ სიტყვების დასტურად კი 2013 წლის იანვარში მათ სამხრეთს შეუტიეს.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. ამიტომ საფრანგეთმა და მალის მეზობელი ქვეყნების შეიარაღებული ძალების კოალიციამ ოპერაცია „სერვალი“ ჩაატარეს.

მუქარის მიუხედავად, „ალ-ქაიდას“ ფრანგების მასობრივ განადგურებაში ხელი მოეცარა, ხოლო თვით ბელადი ბრძოლის ველს სასწრაფოდ გაეცალა და ალჟირის ჩრდილოეთში გაუჩინარდა. ჯერ კიდევ ფრანგული სპეცრაზმებისა და კოალიციური ჯარების გამოჩენამდე მისი მეამბოხე მეომრები ერთიმეორის მიყოლებით ისე ქრებოდნენ, რომ ვერანაირი ტექნიკა მათ კვალს ველარ პოულობდა. მრისხანე მეტოქის ძებნაში ჯარები მალის თითქმის ჩრდილოეთ საზღვრამდე იყვნენ მისული, რომ ბედმა გაუღიმათ. 18 თებერვალს იფროსის ზეგანზე დაზვერვამ, ბოლოს და ბოლოს, აღმოაჩინა ის, რასაც ლეგიონერები ამდენი ხანი ამაოდ ეძებდნენ. დაიწყო ბრძოლა და მერე როგორი, — ორივე

მხრიდან ხუთსაათიანი გრიგალისებური ცეცხლისა და სპეცრაზმელთა დამხმარე ძალებით გაძლიერების მიუხედავად მოწინააღმდეგემ უკან ერთი ნაბიჯითაც არ დაიხია. გასაკვირი იყო მათი არა მარტო თავგამოდება და სიმტკიცე, არამედ რაოდენობაც. ბრძოლის დროს მოულოდნელად მიწიდან ერთდროულად 50 და მეტი ბოევიკი ამოდიოდა. მეორე დღეს ბრძოლის დროს მე-2 საპარაშუტო პოლკის ლეგიონერი, შეფ-სერჟანტი ჰაროლდ ვორმენზეელე დაიღუპა.

საინტერესო იყო, რატომ არ თმობდნენ ბოევიკები ამ შავ და გავარვარებულ კლდეებს, უსიცოცხლო უდაბნოს შუაგულში. რადიოდაზვერვამ აჩვენა, რომ აქამდე მკვდარი ეთერი ახლა მძლავრმა ელექტრომაგნიტურმა გამოსხივებამ აავსო. ერთდროულად მუშაობდა ორმოცამდე მობილური ტელეფონი. სისწრაფემ და ჯარების მანევრირებამ თავისი საქმე გააკეთა, — მოწინააღმდეგის საველე მეთაურებისთვის ბევრი რამ მოულოდნელი იყო და ისინი ცდილობდნენ კავშირის ერთმანეთთან დამყარებას, რადგან სიტუაციის კონტროლს კარგავდნენ. გამოდიოდა, რომ ყველა ჯურის ავისმქნელი ერთ ბუნაგში იყო შერეკილი. ბოევიკთა საუბრების ანალიზისა და დაზვერვის მონაცემების შეჯერების შემდეგ „ბრიგადა სერვალის“ მეთაურმა გენერალმა ბერნარ ბარერამ რუკაზე ველის განაპირა რაიონი შემოხაზა. სწორედ აქ იყო ჩაბუდებული ჩრდილოეთ აფრიკის Al-Qaeda in the Islamic Maghreb-ის (AQIM) ყველაზე მსხვილი დაჯგუფება. კომპეტენტურმა ორგანოებმა განაცხადეს, რომ ამ ქვიშისა და გრანიტის ქაოსში დამნაშავეებს წლობით დამალვა, ხოლო სურვილის შემთხვევაში, შეუმჩნევლად წასვლა შეეძლოთ, მაგრამ მათ არჩევანი არ გაუკეთებიათ, ავმა სულებმა აქ უკანასკნელი ბრძოლის გამართვა გადაწყვიტეს.

## პრეზიდენტის ბრძანება

ტაგარგარის ოპერაციას „პანტერა“ დაარქვეს. მის ჩასატარებლად პრეზიდენტმა მოკლე ბრძანება გასცა: „მოძებნეთ და გაანადგურეთ!“ ასეთი ფორმულირება მეთაურებსაც აძლევდა ხელს და რიგითებსაც, მით უმეტეს, რომ ბოევიკები თავის დაზოგვას არ აპირებდნენ.

გამაგრებული რაიონის ალება რამდენიმე მხრიდან მასირებული იერიშით იყო დაგეგმილი. ბრძოლის ველის დასავლეთის მისადგომთან, ქალაქ აკველიოკთან, ფრანგი საზღვაო ქვეითები თავიანთი არტილერიით, ჯავშანტექნიკითა და საარმიო შვეულმფრენებით იყვნენ განლაგებული. ისინი მზად იყვნენ დათქმულ დროს ხეობაში დასავლეთიდან შემოსულიყვნენ.

ფრანგების მოკავშირეები, ჩადის რესპუბლიკის გვარდიისა და არმიის სპეცრაზმების 800 რჩეული მებრძოლი, ტექნიკასთან ერთად აკვალაკიდან ჩრდილოეთით ქალაქ ტეხალიტისკენ წავიდა. შემდეგ ალჟირის საზღვრის გასწვრივ გაიარეს და ზეგანიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით გასასვლელ გზაზე თავდაცვის ბლოკები განალაგეს. ამით ბოევიკებს უკან დასახევი გზა მოუჭრეს, რითაც საჭიროების შემთხვევაში ალჟირის საზღვრების გადალახვას ველარ შეძლებდნენ. არადა, მოსალოდნელი ბრძოლის ველიდან საზღვარი სულ რაღაც 50 კმ-ით იყო დაშორებული.

მოკავშირეებს მკაცრად უბრძანეს, „არავითარ შემთხვევაში არ გაეშვათ მოწინააღმდეგე თავდაცვითი ბლოკების მიღმა“. ბრძანების გაცემა ადვილია, შესრულებაა ძნელი. საჭირო იყო ჩრდილოეთით უკან დასახევი გზის მთლიანად გადაკეტვა, რასაც ჩადის არმიის გამაგრებული პუნქტები არ ეყოფოდა. ამოცანის გადაწყვეტა შეიძლებოდა მხოლოდ ერთი საშუალებით — გადამწყვეტი, მთავარი და მოულოდნელი დარტყმა ბოევიკებისთვის ჩრდილოეთიდან მიეყენებინათ, რათა მათ სამხრეთისკენ დაეხიათ უკან და არა ჩრდილოეთისკენ.

ამ ამოცანის შესასრულებლად მთებში გადასხდა 500 რჩეული მებრძოლი, რომლებიც მზად იყვნენ ნებისმიერ დროს შესულიყვნენ ჯოჯოხეთური ცეცხლის შუაგულში. ესენი იყვნენ GTIA TAP-ის შერეული ტაქტიკური ჯგუფის მებრძოლები, ანუ მის შემადგენლობაში შედიოდა უცხოური ლეგიონის მე-2 პარაშუ-



ოპერაციაში მონაწილე საფრანგეთის უცხოური ლეგიონის პარაშუტისტები



*ტერორისტული ორგანიზაცია AQIM-ის („ალ-ქაიდა“ ისლამურ მაღრიბში) მებრძოლები*

ტისტთა პოლკისა და 1-ლი საპარაშუტო-სადესანტო პოლკის დანაყოფები. ისინი პარაშუტებით გადასხდნენ და მეთაურის მიერ რუკაზე ისრით მონიშნული მიმართულებით გადაადგილება დაიწყეს.

თავიდან იყო გაბედული მანევრი — 9 კმ-იანი მარშნახტომი მთების მწვერვალებისკენ. ბოევიკები ფიქრობდნენ, რომ ევროპელები მოიქანცებოდნენ, მაგრამ პირიქით მოხდა. მანევრის დასრულების შემდეგ ევროპელები თავს შესანიშნავად გრძნობდნენ, ხოლო ბოევიკები ფსიქოლოგიურად მოტყდნენ.

შემდეგ კი მოწინააღმდეგის თავდაცვის პირველი ხაზი იყო.

ერთი შეხედვით კლდეებში არავინ ჩანდა, სინამდვილეში კი ყველა ღრმული და ნაპრალი უკიდურესად სახიფათო ბოროტი „სულებით“ იყო გამოტენილი. ამიტომ თავიდან ტიგარგარის შავ ლოდებს თავზე უხილავი მზვერავი თვითმფრინავები დასტრიალებდნენ, რომლებმაც გახურებული ქვების ქაოსში მოწინააღმდეგის შესაძლო პოზიციები დააფიქსირეს.

მაგრამ მოწინააღმდეგის ბუნაგები აქ ისე ეშმაკურად, ღრმად იყო გათხრილი, რომ არამცთუ უპილოტო თვითმფრინავიდან არ ჩანდა, არამედ ყუმბარებით და რაკეტებითაც ძნელი იყო მათი დაზიანება. მაგრამ ხშირად პრობლემები ძველი მეთოდებით წყდება. მედესანტეებმა თავდაცვის კერები პირდაპირი საცეცხლე კონტაქტით გამოავლინეს. მერე საბრძოლო რიგებად გადანაწილდნენ და შტურმით წავიდნენ „სულების“ ბუნაგებისკენ.

გაჩაღდა თითქმის ხელჩართული ბრძოლა. ორმხრივი ბრძოლა მიმდინარეობდა ათი, ზოგჯერ კი სამი მეტრიდან. აღებულია პირველი სიმაღლე, ლეგიონერები მეორე სიმაღლეს უტევენ. როცა მოიერიშეები მოწინააღმდეგის ჭარბი ცეცხლის გამო ფერხდებიან, მათ დასამშვიდებლად მუშაობას შვეულმფრენები იწყებენ.

მოიერიშე ჯგუფები ხელყუმბარებს უშენენ კლდეებში გამოჭრილ დერეფნებს და ბუნაგების შესასვლელებს, შემდეგ კი ჩადიან ამ ავადსახსენებელ შავ ხვრელებში. მათ იქ ელიან საძრომ ლაბირინთებში და გვირაბებში ჩასაფრებული თვითმკვლელი ბოევიკები. იქ მათ გადამლობი ცეცხლის ოსტატურად გაანგარიშებული სისტემები ჰქონდათ მოწყობილი. ერთ-ერთ ასეთ ადგილას, ჯიჰადისტების პოზიციაზე, დერეფნის



*155 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცა Caesar-ი ბოევიკთა პოზიციებს ამუშავებს*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახვევში, ისინი რიკოშეტით უშენდნენ ტყვიებს მოიერიშეებს.

ექვსი დღის შემდეგ მედესანტეების უკანასკნელმა ქვედანაყოფებმაც გადალახეს მთები და სამიზნეს მიადგნენ. მათ პირდაპირ, ქვემოთ, პაპანაქების საუფლო — ამეტატაის ველი იყო გადაშლილი.

## სიკვდილის ველი

სწორედ აქ იყო ტერორისტული ორგანიზაცია AQIM-ის („ალ-ქაიდა“ ისლამურ მაღრიბში) მთავარი ციტადელი მალის რესპუბლიკაში. როგორც რომანტიკოსი ფრანგი რეპორტიორები წერდნენ: „ჰაერი აქ ისეა გახურებული, რომ შესაძლებელია შავი კლდეებიც კი დაიფშვნას სიმხურვალისგან“.

რა თქმა უნდა, ასეთი რამ არ მომხდარა, ალმურავარდნილი შავი ლოდები არ დაფშვნილა, ხოლო მათ შორის ჩამალული ტერორისტების გაუვნებლება ფრანგ სპეცრაზმელებს ჩვეულებრივი, არმიული ხერხებით უხდებოდათ.

წინ მათ ახალი აღმოჩენები ელოდათ: იარაღის საწყობები, საიდუმლო ავტოსახელოსნოები, პოზიციებზე მიტოვებული ბოევიკთა გვამები. სპეცრაზმელებს თითოეული ნაბიჯი გააფთრებული ბრძოლის ფასად უჯდებოდათ. მათ უპირისპირდებოდნენ ლანდები, რომლებსაც არ ჰქონდათ არც წარსული, არც მომავალი. არ ჰქონდათ არც სახელი, არც სამშობლო. ვერავინ ვერასდროს გაიგებს, ვინ იყვნენ ისინი. როგორ მოხვდნენ იქ, რაზე ფიქრობდნენ, როცა კვდებოდნენ, როცა დღისით სიცხისგან სული ეხუთებოდათ, ღამით კი სიცივისგან კანკალებდნენ, მაგრამ მათ ხომ თავად გააკეთეს არჩევანი.

ბოევიკები ღამის ხედვის აპარატურის მოტყუებას ცდილობენ. მათ კარგად იციან ამ ტექნიკის შესაძლებლობები, ცდილობენ მინიმუმამდე შეამცირონ თავიანთი ორგანიზმების სითბური გამოსხივებები. მცირე ჯგუფებად იცვლიან ადგილებს, თან კლდეების შვერილებს ეფარებიან, მაგრამ ცბიერ ტექნიკას ყოველთვის ვერ მოატყუებ.



ფრანგებმა გაბედული მანევრი შეასრულეს — 9 კმ-იანი მარშ-ნახტომი მთების მწვერვალებისკენ

 აი, მოიერიშეთა წინ ბოევიკის გვამი აგდია. სიკვდილი მასთან რაკეტით მიფრინდა, რომელიც მის პიკაპზე იყო დამიზნებული. მაგარი ბიჭი ყოფილა, სიკვდილამდე კლდის ნაპრალამდე მიხოხება მოუსწრია.

სიკვდილის ველის მომიჯნავე მონაკვეთზე წინ მიიწევს ლეგიონერთა ერთი ჯგუფი. უცებ მათ ლოდების გროვიდან ავტომატების ცეცხლი გახსნა. წინადღეს ამ ადგილის „გასუფთავება“ ვერ მოასწრეს და აი, შედეგიც, ლეგიონერები პირისპირ შეეჩეხნენ მოწინააღმდეგეს. შეტაკება სწრაფად დამთავრდა. ბოევიკებმა საფარი რატომღაც მიატოვეს და ღია სივრცეში გამოხტნენ. შესაძლებელია მათი მთავარი სურვილი იყო, რაც შეიძლება სწრაფად დაღუპულიყვნენ. მედესანტეები სწრაფად დაეხმარნენ მათ ამ საქმეში.



შემდეგ ორმხრივი სროლა ატყდა დიდ გამოქვაბულში, სადაც ბოევიკებს ჰოსპიტალი ჰქონდათ. ქვიშიან იატაკზე მიმობნეულია სამედიცინო ინსტრუმენტები და დოლბანდის ნაჭრები. იქვეა რამდენიმე საწოლი, ორ მათგანზე ბოევიკების გვამები ასვენია. მაგრამ აქ არა მარტო მკვდრები, ცოცხლებიც ყოფილან. კლდის ნაპრალში გამოქვაბულის კედელსა და იატაკს შორის, საბნის ქვეშ გაუნძრევლად წევს ბოევიკი. რამდენიმე ჯარისკაცმა ის ვერ შენიშნა და მშვიდად ჩაუარა გვერდი, ბოევიკი წამოხტა და... მხოლოდ პროფესიონალების რეაქციამ არ მისცა მას უბედურების დატრიალების საშუალება. ცოტა ხნის შემდეგ სხვა ნაპრალიდან კიდევ ერთი ბოევიკი გამოვიდა, ახალგაზრდა, მსუბუქად დაჭრილი და სროლებისგან დაყრუებული, მან წამსვე ასწია ხელები და ხარბად დაეწაფა მათარას, რომელიც მას ლეგიონერებმა მიაწოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# თვითმფრინავები თვითმფრინავების გადასატანად

მსოფლიო ავიაციის 110-წლიან ისტორიაში ადამიანმა ბევრი უჩვეულო და უცნაური საფრენი აპარატი შექმნა. ნაწილი მხოლოდ პროტოტიპების სახით დამზადდა. თუმცა ზოგიერთი მათგანი უცნაური „ფორმების" წყალობით დღესაც გამოიყენება.

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში აშშ-ის კოსმოსური პროგრამა დინამიკურად ვითარდებოდა. იქმნებოდა ახალი რაკეტა-მატარებლები და კოსმოსური ხომალდები, მაგრამ რაკეტების ზომის ზრდასთან ერთად ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ქარხნებიდან ფლორიდის შტატში, კანავერალის კონცხზე მათი ტრანსპორტირება სულ უფრო რთულდებოდა.

რაკეტის ცალკეული სექცია დიდი იყო და რკინიგზით ტრანსპორტირებას არ ექვემდებარებოდა. საავტომობილო გადაზიდვა სპეციალურ მისაბმელს საჭიროებდა. თუმცა ხიდები, ვიწრო გზები და სხვა დაბრკოლებები რაკეტების საგზაო გადატანას გამორიცხავდა. ერთადერთ ვარიანტად საჰაერო გადაზიდვები რჩებოდა, მაგრამ ისიც სპეციალიზებულ სატრანსპორტო თვითმფრინავს საჭიროებდა.

ახალი თვითმფრინავის შექმნას სპეციალისტებმა უკვე არსებულის გადაკეთება ამჯობინეს. არჩევანი სამხედრო-სატრანსპორტო C-97-ზე შეჩერდა, რომელიც დიდი საიმედოობითა და მძლავრი ძრავებით გამოირჩეოდა. პროექტის ხელმძღვანელ სამხედრო მფრინავ ჯონ კონროის (ის თავად C-97-ით დაფრინავდა) თვითმფრინავის გადაკეთების საკმაოდ უცნაური იდეა დაებადა: საბაზო ვარიანტად არჩეულ Boeing 377 Stratocruiser-ს (C-97-ის სამგზავრო ვარიანტი) კონროიმ ფიუზელაჟის ზედა ნაწილი მოაჭრა და სანაცვლოდ ახალი, გაცილებით დიდი დიამეტრის კონსტრუქცია დაამაგრა. NASA-მ იდეა მოიწონა და ახალი სატრანსპორტო თვითმფრინავების დასამზადებლად სპეციალური ფირმა Aero Spacelones-ი დააარსა.

თვითმფრინავი ჯერ 5,1 მ-ით დაგრძელდა, ხოლო შემდგომ ზემოდან დიდი დიამეტრის ახალი ფიუზელაჟი დაემატა. „გაბერილი" ფორმის გამო თვითმფ-


დღეს მწყობრში მხოლოდ ერთი Super Guppy-ია დარჩენილი, რომელსაც NASA იყენებს

რინავს Pregnant Guppy — „ფეხმძიმე გუპი“ უწოდეს. გადაკეთების შემდეგ ფიუზელაჟის სიმაღლე 6,2 მ-მდე გაიზარდა და ტვირთამწეობამ 15,4 ტ შეადგინა. თვითმფრინავის დატვირთვისთვის კონსტრუქტორებმა ორიგინალური გადაწყვეტილება მოიფიქრეს. სატვირთო ლიუკის გაკეთების სანაცვლოდ, სპეციალური ურიკით თვითმფრინავს კუდის ნაწილი მთლიანად ეხსნებოდა.

Pregnant Guppy-ს იმდენად უჩვეულო იერი ჰქონდა, რომ აშშ-ის სამოქალაქო ავიაციის ფედერალური სამმართველოს წარმომადგენელმა თვითმფრინავისთვის საფრენოსნო ვარგისიანობის სერტიფიკატის მიცემაზე უარიც კი განაცხადა. მისი აზრით, თვითმფრინავი ვერასდროს აფრინდებოდა, მაგრამ ის შეცდა.

1962 წლის 19 სექტემბერს „ფეხმძიმე გუპი“ პირველად აფრინდა. თვითმფრინავს თავად ჯონ კონროი მართავდა. NASA-ს თვითმფრინავი მოეწონა. შემდგომ წლებში Pregnant Guppy კანავერალის კონცხზე, Gemini-სა და Apollo-ს ტიპის კოსმოსური ხომალდების ტრანსპორტირებით იყო დაკავებული.

პირველი თვითმფრინავის ექსპლუატაციის საფუძველზე შემდგომი მოდელები შეიცვალა. მთავარი განსხვავება თვითმფრინავის დატვირთვის სქემას შეეხო. ფიუზელაჟის კუდის ნაწილის მოხსნა დიდ დროს მოითხოვდა, ამიტომაც ცხვირში გადმოტანილი სატვირთო ლიუკი სახსარზე დამაგრდა. თვითმფრინავში ტვირთის მოსათავსებლად ან გადმოსატანად სპეციალური ჰიდრავლიკური სადგარების მეშვეობით ანჯამებზე ჩამოკიდებული ცხვირა ნაწილი მარცხნივ ტრიალდება.

ახალი „გუპის“ ფიუზელაჟი 10,7 მ-ით დაგრძელდა და სიმაღლეში 7,7 მ-მდე მოიმატა. თვითმფრინავის მოცულობის ზრდა ახალმა რაკეტა-მატარებელმა Saturn V-მა განაპირობა, რომლის მეშვეობითაც ამერიკელები მთვარეზე გაფრენას აპირებდნენ.

ახალი S პირველად 1965 წლის 31 ივნისს აფრინდა. პროტოტიპის ჩათვლით ხუთი თვითმფრინავი აიგო. საგულისხმოა, რომ „სუპერგუპებს“ ექსპლუატაცია გასული თვითმფრინავების ფრთებით, ძრავებითა თუ ცალკეული სისტემებით აწყობდნენ. ძირეულად შეიცვალა ფიუზელაჟი. 5 S-ის ასაწყობად Aero Spacelones-ის სპეციალისტებმა 27 სამოქალაქო „სტრატოკრუზერი“ დაშალეს.

ხუთივე თვითმფრინავი პროგრამა „აპოლონში“ გამოიყენეს და 13 რაკეტა Saturn V-დან 11 კანავერალის კონცხზე გაბერილფიუზელაჟიანმა თვითმფრინავებმა გადაიტანეს.

70-იან წლებში ორი თვითმფრინავი ევროპულმა Airbus-მა შეიძინა. მათი მეშვეობით ევროპის სხვადასხვა საავიაციო ქარხნიდან სამოქალაქო ლაინერების ფიუზელაჟები და ფრთები საფრანგეთში, ქალაქ ტულუზაში საბოლოოდ ასაწყობად გადაჰქონდათ.

1982-83 წლებში ჯონ კონროისგან შეძენილი ლიცენზიისა და ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე ორი „სუპერგუპი“ ფრანგებმა თავადვე ააგეს. დღეს „ეირბასის“ კუთვნილებაში მყოფი ყველა თვითმფრინავი ექსპლუატაციაგასულია. აშშ-ში დარჩენილი Super Guppy-ებიდან მწყობრში მხოლოდ ერთია. მას NASA იყენებს.

სამოქალაქო ლაინერების წარმოებისას გაბარიტული სატრანსპორტო თვითმფრინავის საჭიროების წინაშე Airbus-იც აღმოჩნდა. საერთაშორისო კონსორციუმის პრინციპით შექმნილ კომპანიას საწარმო სიმძლავრეები ევროპის ოთხ ქვეყანაში აქვს გადანაწილებული. ფრთებს ბრიტანეთში აწყობენ, ფიუზელაჟის კუდის ნაწილსა და ფრთასხმულობას — ესპანეთში. ფიუზელაჟის ცენტრალურ და ცხვირა სექციებს გერმანიასა და საფრანგეთში ამზადებენ. ყველა ცალკეული აგრეგატი საბოლოო აწყობისთვის საფრანგეთში, ტულუზაში უნდა მოხვდეს. 1970-80-იან წლებში ამ ფუნქციებს „ეირბასის“ S-ები ასრულებდნენ. თუმცა წარმოების მოცულობის ზრდამ ახალი სატრანსპორტო თვითმფრინავის საჭიროება წარმოშვა. ამას თავად „გუპების“ მოძველებაც დაერთო.

პრობლემა „ეირბასმა“ სამოქალაქო ლაინერ A300-ის ბაზაზე შექმნილი გაბერილფიუზელაჟიანი A300-600ST Super Transporter-ით გადაწყვიტა. ტვირთამწეობით (47 ტ) ის პოზიციებს ბევრ სატრანსპორტო თვითმფრინავთან თმობს, მაგრამ არაგაბარიტული ტვირთის გადატანაში ბადალი არა ჰყავს. თვითმფრინავში A330-ის ფრთების კომპლექტი ან A319/320/321-ის ტიპის ლაინერების ფიუზელაჟის სექციები (დიამეტრი 3,9 მ) თავისუფლად თავსდება.



A300-600ST პირველად 1994 წლის სექტემბერში აფრინდა და ერთი წლის თავზე საფრენოსნოვარგისიანობის სერტიფიკატი მიიღო. კორპუსის ფორმით, სატვირთო ლიუკისა და ეკიპაჟის კაბინის განლაგებით განპირობებული ფორმის გამო, „ეირბასის" პილოტებმა მას Beluga (ვეშაპის ერთ-ერთი სახეობა) შეარქვეს. დღეს ეს თვითმფრინავის ოფიციალური სახელია.

ევროპელებმა ხუთი „ბელუგა" ააწყვეს. თვითმფრინავის პატარა ტირაჟი გამოყენების თავისებურმა სფერომ განაპირობა. ერთხანს „ეირბასთან" მოლაპარაკებას ამერიკული ტვირთგადამზიდი კომპანია FedEx-იც აწარმოებდა. თუმცა თვითმფრინავისა და მასში გამოყენებული ტექნოლოგიების კონკურენტ „ბოინგისთვის" გადაცემის შიშით ევროპელებმა მოლაპარაკება შეწყვიტეს.

სპეციალიზებული სატრანსპორტო თვითმფრინავის საჭიროების წინაშე ამერიკული „ბოინგიც" აღმოჩნდა. კომპანიის ძირითადი საწარმოები ქალაქებში ევერეტი (ვაშინგტონის შტატი) და პალმდეილი (კალიფორნია) მდებარეობს. აქ ფრთასხმულობასა და ფიუზელაჟის სექციებს ამზადებენ, ფრთებს კი იაპონიაში „მიცუბიშის" ქარხანა აწყობს, საიდანაც აშშ-ში ჯერ გემით, შემდგომ კი ავტოტრანსპორტით გადმოაქვთ.

2009 წლის 15 დეკემბერს ჰაერში „ბოინგის" ახალი ლაინერი Boeing 787 Dreamliner-ი აფრინდა. მეტწილად კომპოზიციური მასალებისგან დამზადებული თვითმფრინავი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ პირველ აფრენამდე ავიაკომპანიებს 450-ზე მეტი ლაინერი ჰქონდათ შეკვეთილი. შეკვეთების ასეთი მოცულობის დროული რეალიზაცია წარმოების ტემპის დაჩქარებას მოითხოვდა. შესაბამისად, პალმდეილიდან და იაპონიიდან ევერეტის ქარხანაში საბოლოო აწყობისთვის ლაინერის სექციების ტრანსპორტირების გაცილებით სწრაფი მეთოდის მოძიება იყო საჭირო და „ბოინგმა" ევროპული Beluga-ს ანალოგის დამზადება გადაწყვიტა.

საბაზო ვარიანტად კომპანიის ყველაზე დიდი სამოქალაქო ლაინერი B 747-400 შეირჩა. ფრთა, ფრთასხმულობა და ცხვირი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა, ცენტრალური ნაწილი კი ახალმა „გაბერილმა" ფიუზელაჟმა დაიკავა. ახალი Boeing 747 LCF Dreamlifter-ი პირველად 2006 წლის სექტემბერში აფრინდა. „ბელუგასგან" განსხვავებით, „ბოინგის" ახალ სატრანსპორტო თვითმფრინავზე ფიუზელაჟში ტვირთის მოთავსება-გადმოტანა კუდის მხრიდან ხდება. ამისთვის მძლავრ ანჯამებზე დამაგრებული კუდის სექცია მარცხენა მხარეს იხსნება. თვითმფრინავში „ოცნების ლაინერის" ფრთების კომპლექტი და ფიუზელაჟის ცალკეული სექციები თავისუფლად ეტევა.

ამ ტიპის თვითმფრინავის გამოყენებამ იაპონიიდან ევერეტის ქარხანაში ფრთების ტრანსპორტირების ხანგრძლივობა 30 დღიდან (გემით და შემდგომ ავტოტრანსპორტით) 8 სთ-მდე შეამცირა. დღეისთვის ოთხი Dreamlifter-ია დამზადებული. საგულისხმოა, რომ ოთხივე მათგანი ექსპლუატაციაში მყოფი სამოქალაქო ლაინერების გადაკეთებით შეიქმნა. თვითმფრინავები მხოლოდ „ოცნების ლაინერის" ნაწილების ტრანსპორტირებისთვის გამოიყენება.

ალექსანდრე აფაქიძე




დანიშნულებით განპირობებულმა „ფორმებმა" Beluga მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უცნაური იერის მქონე თვითმფრინავად აქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ და რატომ დაბომბა ბათუმი...



ადმირალი სუშონი



პირველი მსოფლიო ომი შავ ზღვაში 1914 წლის 29 ოქტომბერს (ყველა თარიღი ახალი სტილით არის მოცემული) დაიწყო, როცა გერმანულ-თურქულმა ხომალდებმა სევასტოპოლი, ოდესა, ფეოდოსია და ნოვოროსიისკი დაბომბეს, ხოლო ქერჩის სრუტე კი დანაღმეს. მაშინ გერმანულ-თურქული ხომალდების დაბომბვას ქართული პორტები — ბათუმი და ფოთი გადაურჩა.

ომამდე რუსული გენერალიტეტი თურქეთთან საბრძოლო მოქმედებებს მხოლოდ ხმელეთზე გეგმავდა და შესაბამისად, ბათუმი მეორეხარისხოვან ქალაქად განიხილებოდა. თუმცა მეზღვაურებს განსხვავებული მოსაზრება ჰქონდათ და შავი ზღვის ფლოტი თურქეთის სანაპიროსთან საკრეისერო ოპერაციებში ბათუმის სამანევრო ბაზად გამოყენებას აპირებდა, მაგრამ პორტის განვითარებისთვის არაფერს აკეთებდა. უფრო მეტიც, თურქეთთან ურთიერთობის გაწყვეტისწინა სამთვიანი მშვიდობიანი პერიოდი ისე გავიდა, რომ პორტის მოწყობის ან თავდაცვის გასაძლიერებლად არაფერი გაკეთებულა. უფრო რთულ მდგომარეობაში ფოთის პორტი იყო, საიდანაც რუსები მხოლოდ მარგანეცის გამოტანით იყვნენ დაინტერესებული.

პორტებზე თავდასხმას რუსულმა ხომალდებმა პასუხი რამდენიმე დღეში გასცეს. 4 ნოემბერს შავი ზღვის ფლოტმა ბოსფორის სრუტესთან ნაღმღობურები დააყენა, ხოლო 5 ნოემბერს ლაზეთის სანაპიროზე თურქეთის ქვანახშირის მოპოვების ცენტრს, პორტ ზონგულდაქს სახომალდო არტილერიის ცეცხლი გაუხსნა. ვალში არც გერმანულ-თურქული ფლოტის სარდალი, გერმანელი კონტრადმირალი ვილჰელმ სუშონი დარჩა და რუსებს ფოთზე თავდასხმით უპასუხა. 7 ნოემბერს გერმანული მსუბუქი კრეისერი Breslau ფოთის სანაპიროდან დაახლოებით 25-30 კაბელტოვზე ჩამოდგა და ქალაქსა და პორტს ცეცხლი გაუხსნა. ფოთი ზღვიდან პრაქტიკულად დაუცველი იყო და გერმანულ კრეისერს ნაპირიდან უშედეგო ცეცხლი საველე ბატარეამ და ჯარისკაცებმა შაშხანებით გაუხსნეს. რუსული მონაცემებით, Breslau-მ ვაგზლისა და მიმდებარე ტერიტორიებისკენ 150-ჯერ გაისროლა. იმ დროს ფოთში სავაჭრო გემები არ იდგნენ და კრეისერის ქვემეხები ჭურვებს 40 წუთი პორტში ორთქლის 2 ამწეს, რამდენიმე საწყობსა და შუქურასთან ძველ ფორტს ესროდა.

პურისძიების ოპერაცია შედგა, მაგრამ მისგან მიყენებული ზარალი უმნიშვნელო იყო. როგორც ჩანს, ეს მომენტი გერმანელებმა გაითვალისწინეს და ბათუმის დაბომბვისთვის ბევრად საფუძვლიანად მოემზადნენ.

6 დეკემბერს Goeben-მა თურქული სანაღმო კრეისერების Peyk-i Sevket-ისა და Berk-i Satvet-ის თანხლებით ბოსფორის სრუტე დატოვა და შეუერთდა კრეისერ Mecidiye-ს კონვოის, რომელიც ტრაპიზონისკენ მიცურავდა. კონვოის 4 სატრანსპორო გემს ქვეითთა 2 ბატალიონი, 2 სამთო ბატარეა, კავალერისტთა ასეული, დაჯარიმებული 500-მდე სამხედრო, აგრეთვე მდინარე ჭოროხთან მოქმედი ირეგულარული ფორმირებებისთვის სხვადასხვა ალჭურვილობა და რამდენიმე აქლემი უნდა გადაეყვანა. ტრაპიზონის პორტში რუსული ნაღმების საშიშროების გამო ჯარების დესანტირება რიზეს ალმოსავლეთით მოხერხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გერმანია-თურქეთის გაერთიანებული ფლოტის ფლაგმანი სახაზო კრეისერი *Goeben-ი* *(Yavuz Sultan Selim-ი)*

**თურქული სანაღმო კრეისერ Berk-i Satvet-ის გერმანელმა მეთაურმა, ობერ-ლეიტენანტ ცურ ზეე ჰანს ფონ მელენტინმა დღიურში ჩაწერა:**

*14-00 სთ-ზე პორტის უფროსი ხომალდზე ამოვიდა და მოგვახსენა, რომ დესანტის გადმოსხმისთვის ყველაფერი მზად იყო. დახმარებისთვის არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც მზად იყვნენ. ახლომდებარე ადგილებიდან მოგროვილი ხალხი მზად იყო Yavuz Sultan Selim-ისთვის დახმარება გაეწია. დაახლოებით 300 კანჯო გემების მოლოდინში იმყოფებოდა.*

*14-25 სთ-ზე ნაპირთან ახლოს ღუზაზე დავდექით, სადაც ფუტკრის გუნდების მსგავსი კანჯოების მთელი „არმადა“ გველოდა და ის მაშინვე მოძრაობაში მოვიდა. ბზუილი სასიხარულო ხმაურმა შეცვალა, რომელიც ხმამაღალ მისალმებაში გადავიდა. მე პასუხის გაცემაც ვერ მოვასწარი, რომ კრეისერი კანჯოების ალყაში აღმოჩნდა. ხომალდზე იმდენი ხალხი ამოვიდა, რომ გემბანზე მობრუნების საშუალება აღარ იყო. ისინი გაოცდნენ ქვემეხებისგან, კოცნიდნენ ქვემეხების საკეტებს, სახეზე ერთმანეთს ვაზელინს უსვამდნენ. ეს ბრბო არ იყო არაორგანიზებული. მას ხელმძღვანელობდა უბრალო ადამიანი, რომელსაც კულტურულობის ნიშნად და თავისი მაღალი მდგომარეობის გამო ზურგზე ყვითელ ფუტლარში თეატრალური ბინოკლი ჰქონდა გადაკიდებული. მან მხოლოდ პირი დააღო და მთელი ბრბო კანჯოებში დაბრუნდა და Mecidiye-სკენ გაცურა“.*

10 დეკემბერს დესანტის გადმოსხმა დასრულდა და Goeben-ი სანაღმო კრეისერის Peyk-i Sevket-ის თანხლებით ბათუმისკენ გაემართა.

**სახაზო კრეისერის Goeben-ის უფროსი რადისტი გეორგ კოპი:**

*„10 დეკემბერს, გამთენიისას, როცა ბათუმის გაწედზე ვიმყოფებოდით, ცამ მოულოდნელად გამოანათა და შესანიშნავი სურათი გამოიხატა: აღმოსავლეთის ჰორიზონტზე კავკასიის მთების უზარმაზარი კედელი წამოიმართა. დილის ბინდში მკაფიოდ იკვეთებოდა ძლიერი მთების მასივის კონტურები. იმ დიდებულ დღეს თოვლით დაფარული ყაზბეგი და ელბრუსი შორიდან ციმციმებდნენ და ამომავალი მზის შუქზე მალე ამობრწყინდნენ. ამაღელვებელი მთების კედლებქვეშ კი ულამაზესი ყურის პირზე თვალწარმტაცად ბათუმი მოჩანდა“.*

გეორგ კოპისა და სხვა გერმანელი მეზღვაურების მიერ აჭარისა და კავკასიის მთების სილამაზით ტკბობა დიდხანს არ გაგრძელდა. გაიცა ბრძანება და სახაზო კრეისერის მთავარი კალიბრის 280 მმ-იანი ქვემეხები ბათუმისკენ მობრუნდნენ.

10 დეკემბერს სადამკვირვებლო პოსტმა „კახაბერმა“ 13-05 სთ-ზე სოხუმისკენ მიმავალი დიდი ხომალდი შენიშნა, რომლის იდენტიფიცირებასა და მასში სახა-

ფოთის პორტიდან რუსები მარგანეცის გამოტანით იყვნენ დაინტერესებულები





ბათუმის განვითარებისთვის პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე არაფერი გაკეთდა

ზო კრეისერის Goeben-ის ამოცნობას 15 წუთი მოანდომეს. დაახლოებით 13-30 სთ-ზე Goeben-ი ბათუმისკენ შემოტრიალდა და 13-39 სთ-ზე 95 კაბელტოვიდან 280 მმ-იანი ქვემეხების ცეცხლი გახსნა.

პირველმა ჭურვებმა „ბურუნ-ტაბიეს“ ბატარეებამდე ვერ მიაღწიეს. ასევე უზუსტო გამოდგა მეორე ზალპი, მაგრამ მესამე ზალპის ჭურვები კი სანაპიროზე გასკდა. მომდევნო ჭურვები ქალაქსა და „ბურუნ-ტაბიეს“ ბატარეის მახლობლად ჩამოვარდა, ხოლო ბოლო გასროლებმა პორტი დაფარა. სროლა 13-48 სთ-ზე შეწყდა, გერმანული კრეისერი ზღვისკენ წავიდა და თურქულ Peyk-i Sevket-ს შეუერთდა.

ბათუმის საზღვაო რაზმის უფროსი პატაკში წერდა, რომ კრეისერიდან დიდი შუალედებით სულ 15 ზალპი შესრულდა და ისროდა მხოლოდ მარჯვენა ბორტის ოთხი 280 მმ-იანი ქვემეხი. დაბომბვა 15-20 წუთი გაგრძელდა და მისი დასრულების შემდეგ გერმანულმა ხომალდმა კურსი ჩრდილო-დასავლეთისკენ აიღო.

ბურუნ-ტაბიეს კონცხიდან სანაპირო ბატარეის 152 მმ-იანი ქვემეხების ცეცხლი უშედეგო გამოდგა და Goeben-ი ვერ დააზიანა — ჭურვები კრეისერამდე ვერ აღწევდა, მისგან მოშორებით ზღვაში ვარდებოდა. ბათუმის ოლქის ჟანდარმერიის უფროსის ინფორმაციით, დაბომბვამ მოსახლეობაზე დამთრგუნველად იმოქმედა და იყო მსხვერპლიც — დაიჭრა 5 და დაიღუპა 1 მოქალაქე.

არის მოსაზრება, რომ გერმანული ხომალდის სამიზნე პორტი და სამხედრო ტრანსპორტი „ბერეზანი“ იყო. რადგან „ბერეზანს“ საპასუხო ცეცხლის გახსნის ძალა არ შესწევდა, მისმა მეთაურმა დაბომბვის დაწყებისთანავე ზედმეტი დანაკარგის თავიდან ასაცილებლად ეკიპაჟის დიდი ნაწილი ნაპირზე გადაიყვანა, რითაც ხომალდის დაზიანების შემთხვევაში გადარჩენის ოპერაცია საფრთხის წინაშე დააყენა.

არსებობს კიდევ ერთი ვერსია: Goeben-ი სროლით ფარავდა მეორე ხომალდს, რომელიც იმ მომენტში ბათუმის მისადგომებს ნალმავდა. ნაცვლად იმისა, რუს სამხედროებს ქალაქის დაცვაზე ეზრუნათ, მიხაილოვის სიმაგრეთა კომენდანტმა და სანაპირო რაზმის მეთაურმა, გენერალ-ლეიტენანტმა ალექსანდრ ელშინმა ბათუმის ბულვარში მაღალი ხეების მოჭრა ბრძანა, რათა მოწინააღმდეგის ხომალდებს ქალაქზე ორიენტირების საშუალება არ ჰქონოდათ. გენერლის ახირებას წინ აღუდგა ქალაქისთავი თავადი ივანე ანდრონიკაშვილი, მაგრამ ბათუმიდან მდინარე ჭოროხის შესართავამდე რუსებმა ყველა მაღალი ხე მაინც მოჭრეს იმ მიზეზით, რომ არტილერისტებს სროლაში ხელი ეშლებოდათ.

1914 წლის კამპანიის დასრულებამდე რამდენიმე დღით ადრე, 24-25 დეკემბერს, ღამით ბათუმის დაბომბვა თურქულმა ჯავშანგემბანიანმა კრეისერმა Hamadiye-მაც სცადა და ქალაქის განათებულ რაიონებს 45-50 კაბელტოვიდან რამდენიმე ჭურვი ესროლა, მაგრამ ნაპირთან უფრო ახლოს მისვლა კრეისერის მეთაურმა ნაღმების ლობურების შიშით ველარ გაბედა.

1915 წლის 5 იანვარს კრეისერი Breslau ბათუმის მახლობლად გამოჩნდა და სანაპიროს ბატარეებიდან



*გერმანული მსუბუქი კრეისერი Breslau*



ბათუმის დაცვაში მთავარი ადგილი კანეს სისტემის მოძველებულ 152 მმ-იან ქვემეხებს ეკავა

ის ჯერ სამოქალაქო გემად, შემდეგ კი ნაღმოსნად ჩათვალეს. დასაზუსტებლად საესკადრო ნაღმოსანი „ჟარკი" გაიგზავნა. დაახლოებით 70 კაბელტოვზე „ჟარკის" ოფიცრებმა კრეისერი Breslau ამოიცნეს.

**საესკადრო ნაღმოსნის „ჟარკის" მიჩმანი ნესტორ მონასტირევი:**

*ნათელი და უქარო დღე იყო. ზღვაზე ჯერ ისევ იდგა დილის ბურუსი, რომელშიც გარკვევით მოჩანდა ოთხსაკვამლემილიანი კრეისერი რესლაუ.*

*„ჟარკიმ" სვლა შეამცირა. რა ვქნათ? შევუტიოთ? მაგრამ ეს უაზრობა იყო. არავის ჰქონდა იმის ილუზია, რომ ფსკერისკენ ჩვენ უფრო ადრე არ წავიდოდით, ვიდრე მოწინააღმდეგეს დავუახლოვდებოდით ისეთ დისტანციაზე, საიდანაც ჩვენი ქურვები და ტორპედოები ეფექტურად იმოქმედებდნენ.*

*მეთაურმა ხიდურზე სამხედრო საბჭო შეკრიბა. მე პირველად ვხედავდი მოწინააღმდეგის ხომალდს ასე ახლოს და გარკვევით. ბინოკლში ჩანდა, რომ კრეისერის ქვემეხები ჩვენკენ იყო მომართული. მეთაური მერყეობდა, ხოლო არტილერისტი და ხიდურზე გამოძახებული ინჟინერ-მექანიკოსი ხმას არ იღებდნენ.*

*ბინოკლიდან თვალის მოშორების გარეშე მეთაურს ვუთხარი: ბატონო მე-2 რანგის კაპიტანო, ვეცადოთ დაახლოებას. ორ გასროლას მაინც მოვასწრებთ.*

*ჩვენ რომ არ ვესროდით, ეს გასაგები იყო, მაგრამ Breslau-ც არ ისროდა. მოულოდნელად კრეისერი შემობრუნდა და სანაპიროსკენ წამოვიდა.*

*ჩემს წინადადებას მხარი არ დაუჭირეს, — მეთაურს არ სურდა ნაღმოსანი უაზრო საფრთხეში ჩაეგდო. საბოლოო გადაწყვეტილება კი ძველი დისტანციის შენარჩუნება და მოწინააღმდეგეზე დაკვირვება იყო. ერთხანს კიდევ ვაკვირდებოდით და შემდეგ „ჟარკი" ბათუმში შებრუნდა. პორტში შემოსვლისას Breslau-მ ცეცხლი გაუხსნა ჩვენს სახმელეთო პოზიციებს.*

ადმირალ სუშონს 1914 წლის დეკემბერში ბათუმის დაბომბვის ყველაზე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა, მაგრამ ეს შანსი გერმანელმა მეზღვაურებმა სრულფასოვნად ვერ გამოიყენეს.

შემდგომში კავკასიის ფრონტზე ომმა ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ბათუმის პორტის უზრუნველყოფითა და ბათუმის საზღვაო რაზმის აქტიური მოქმედებებით რუსებმა თურქებს ლაზეთის სანაპირო ტრაპიზონის ჩათვლით დაატოვებინეს.

**თემურ ჩაჩანიძე**

„ლიგა"
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge



# 2004 წლის აგვისტო — შეტაკებები ცხინვალთან

2004 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონში საომარ მოქმედებებში ქართულმა მხარემ 16 მებრძოლი დაკარგა, მათ შორის იყო საქართველოს ეროვნული გმირი ზაზა დამენია. 2004 წლის 16 აგვისტოს კომანდოს ბატალიონის კაპრალმა თავისი სიცოცხლის ფასად თანამებრძოლები სიკვდილისგან იხსნა, ზაზა სანგარში ჩავარდნილ ხელყუმბარას გადაეფარა და სამი ჯარისკაცი გადაარჩინა.

7 აგვისტოს დაწყებული შეტაკება 2 კვირა გაგრძელდა. მაშინ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, ქართული პოლიციის მიერ ერგნეთის ბაზრობის დახურვამ რეგიონში სიტუაციის დაძაბვა განაპირობა. პასუხად ოსმა სეპარატისტებმა რუსეთ-საქართველოს შორის დამაკავშირებელი გზა გადაკეტეს. იმავე დღეს ქართველმა სამშვიდობოებმა რუსული სამხედრო ავტოკოლონა დააკავეს, ხოლო 8 აგვისტოს ოსურმა ფორმირებებმა ქართველი პოლიციელები ტყვედ აიყვანეს და ტელეკამერების წინ დაამცირეს.

ბრძოლები სტრატეგიული სიმაღლეების და შემოვლითი გზების დასაკავებლად იმართებოდა. ყველაზე მასშტაბური შეტაკება თლიაყანის რაიონში 19 აგვისტოს გაიმართა. სტრატეგიული სიმაღლეების აღების შემდეგ, ქართველ სამხედროებს პოზიციების რუსი სამშვიდობოებისთვის ჩაბარება უბრძანეს.

საომარ მოქმედებებში შს და თავდაცვის სამინისტროების სპეცდანიშნულების ქვედანაყოფები (კოჯრის ბრიგადა, ანტიტერორისტული ცენტრი, გულუას სახელობის რაზმი), აგრეთვე მე-11 თელავის, მე-12 კომანდოს, მე-13 შავნაბადას ბატალიონები და შინაგანი ჯარის ნაწილები მონაწილეობდნენ.

„არსენალმა“ ტრადიციად აქცია იმ ბიჭების უკვდავყოფა, ვინც საქართველოსთვის ბრძოლაში დაეცა.

ჩვენს მკითხველს 2004 წელს ცხინვალთან ბრძოლაში გმირულად დაღუპულების სახელებსა და გვარებს კიდევ ერთხელ შევახსენებთ: ჯიმშერ სამხარაძე (რიგითი, შინაგანი ჯარი), ნოდარ გველუკაშვილი (უმცროსი სერჟანტი, შინაგანი ჯარი), იგორ ტყემალაძე (კაპრალი, კომანდოს ბატალიონი), გიორგი ბეგაშვილი (კაპრალი, კომანდოს ბატალიონი), თეიმურაზ არათანაშვილი (უფროსი ლეიტენანტი, კომანდოს ბატალიონი) ზაზა დამენია (კაპრალი, კომანდოს ბატალიონი), კობა შუბითიძე (კაპრალი, კომანდოს ბატალიონი), დავით შიომღვდლიშვილი (უმცროსი სერჟანტი, თელავის ბატალიონი), გიორგი ქარქია (კაპრალი, თელავის ბატალიონი), რევაზ ვეფხვაძე (კაპრალი, თელავის ბატალიონი), ბონდო კახოიძე (კაპრალი, მე-11 ბატალიონი), ვიქტორ ოვსიანიკოვი (კაპრალი, მე-11 ბატალიონი), კობა კერვალიშვილი (კაპრალი, მე-11 ბატალიონი), გიორგი ლომიძე (კაპრალი, შავნაბადას ბატალიონი), მერაბ ფილიშვილი (შსს), ლაშა კაკულია (შსს).

**სოსო ომაიძე, უფროსი სერჟანტი, I-ლი ბრიგადის თელავის მე-11 ბატალიონი:**

— 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს მე-11 ბატალიონის მესამე ასეულის პირველი ოცეულის უფროსი სერჟანტი ვიყავი.

აგვისტოს პირველი რიცხვები იყო, მოულოდნელად ღამის განგაში გამოცხადდა და ჯერ ვაზიანში, ხოლო მეორე დილას, გამთენიისას, გორში გადაგვისროლეს. იმ პერიოდში ოსურ მხარეს სავალდებულო სამხედრო სამსახურის 22 ქართველი ჯარისკაცი ჰყავდა ტყვედ აყვანილი და მათი გათავისუფლების ოპერაცია იგეგმებოდა. გორში რომ ჩაგვიყვანეს, უკვე ვიცოდით, რომ ნვერიახოსთან იდგნენ მე-12 და მე-13 ბატალიონები. როგორც კი დაბნელდებოდა, ორმხრივი სროლა იწყებოდა და დილამდე არ წყდებოდა. დღის განმავლობაში ერთმანეთს საშუალებას ვაძლევდით, რომ დაჭრილებისა და დაღუპულებისთვის მიგვეხედა.

სროლა ნვერიახოს გადასასვლელთან გრძელდებოდა, იქვე იყო ჩვენი სანგარიც, იქიდან უკვე გზა ქვევით, აჩაბეთისკენ ეშვებოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოსო ომაიძე ერაყში სამშვიდობო მისიის შესრულებისას



აჩაბეთისკენ მიმავალი გზა და სოფელი აჩაბეთი 2008 წლის ომის შემდეგ

თავდაპირველად, დიდი არეულობა იყო. მე და ჩემი მეგობარი, მეტყვიამფრქვევე ზაალ ხვიჩია, 1-ელ ასეულში მოვხვდით. სანგარშიც მათთან ერთად ვიყავით. სანგრები უკვე გათხრილი იყო, მე-13 ბატალიონი იბრძოდა.

მახსოვს, 2004 წლის 18 აგვისტოს ღამე რაღაცნაირად შიშის მომგვრელად ჩუმი იყო... უცებ სადღაც გაისროლეს. მეტყვიამფრქვევე ხვიჩიაც დაძაბული იყო. ერთ სროლას მეორე მოჰყვა, მერე მესამე და თითქოს ყველაფერი თავზე დამემხო. აფეთქება, სროლა, ყვირილი, გინება — ერთმანეთში აირია... პირველი ტყვია ვისროლე... ეს ჩემი საბრძოლო ნათლობა იყო, მაშინ 22-წლის ვიყავი.

შეიარაღებაში ყუმბარსატყორცნები, 60 და 82 მმ-იანი ნაღმსატყორცნები გვქონდა. იმ ხნის განმავლობაში ჯავშანტრანსპორტიორი სულ ორჯერ შემოვიდა, ერთხელ ღამე, დაჭრილი ჯარისკაცები გაიყვანა, მათ უსაფრთხოებას მე და მელაძე ვიცავდით. მათ ჩემი თანამებრძოლი, ვიტალი ოვსიანიკოვი გაიყვანეს, რომელმაც საავადმყოფომდე ვერ მიაღწია და გზაში დაიღუპა. რაციით გადმოსცეს ეს ამბავი. ღამის ორი-სამი საათი იქნებოდა, როდესაც მასთან მყოფმა მეტყვიამფრქვევე თევდორაშვილმა რაციით მაცნობა, დამხმარე დამიჭრესო. შემდეგ გავიგეთ, რომ გზაშივე დაიღუპა. ცოტა ხანში ჯავშანმანქანა უკან მობრუნდა, მე-3 ბატალიონშიც ვილაც დაჭრილა.

მოწინააღმდეგე ტყის მასივში იყო გაფანტული, იარაღის სროლის მიხედვით ვხვდებოდით, რომ ახლოდან ისროდნენ. ნაღმსატყორცნები, მგონი, ქვემოდან, აჩაბეთის მხრიდან ისროდა... ყველაზე მძიმე ბრძოლა მეოთხე დღეს, დილას მოგვიხდა. მერე კი, უკან დახევის ბრძანება მოვიდა...

**— თქვით, რომ ეს თქვენთვის პირველი ნამდვილი ბრძოლა იყო.**

— დიახ, ჩემს ქვეყანაში მართლაც პირველად მიწევდა საბრძოლო მოქმედებაში ჩართვა, მაგრამ შიში არავის უხსენებია. ჩვენი ბატალიონის მეთაური ლაშა ბერიძე ისეთი ადამიანი იყო, რომ მის გვერდით, თუ მართლა ძალიან მშიშარა არ იყავი, არ შეგეშინდებოდა. ვიცოდით, რა გვევალებოდა, რა გაგვეკეთებინა, შიშისთვის საფიქრალად არ გვეცალა. ომში ყოველთვის ვილაც კვდება, გარშემო ტყვიების ზუზუნია და აფეთქების ხმა ერთმანეთს ენაცვლება, რაც ნიშნავს, რომ ან ერთ, ან მეორე მხარეს ვილაც უნდა დაიღუპოს და დაიჭრას, მაგრამ დაინვალიდებას სიკვდილი გვერჩივნა.

როდესაც ყველაფერი გაივლის ხოლმე, იმ დაძაბულ ვითარებაშიც კი ჯარისკაცებს ერთმანეთის რეაქციაზე ხუმრობა სჩვევიათ. ყველაზე მძიმე მომენტსაც კი, ცოტა ხალისით უნდა შეხედო, თორემ ცუდად დაამთავრებ. შენი განცდა სხვას არ უნდა მოახვიო. ჯარისკაცი ამ პროფესიას იმიტომ ირჩევს, რომ მზად არის სიკვდილ-სიცოცხლის გზაზე იაროს.

**— ის დღეები როგორ გახსენდებათ?**

— მძიმედ, თუმცა, პოზიციები იმდენად კარგად გვქონდა გამაგრებული, რომ დიდი ძალისხმევის მიუხედავად, მოწინააღმდეგემ ვერ გაარღვია. კავშირგაბმულობაც ჩვეულებრივ მუშაობდა, ტყვია-წამალსაც დროზე გვაწვდიდნენ. ბრძოლა დიდ პერიმეტრზე არ მიმდინარეობდა და ყველაფერი ორგანიზებული იყო. ერთი ბატალიონი იყო და ყველა ერთმანეთთან შეთანხმებით ვმუშაობდით. ამიტომაც შევძელით იმ სამი დღის განმავლობაში პოზიციების გამაგრება.

**— იმ შეტაკებაში 16 სამხედრო დავკარგეთ...**

— დიახ... ჩვენი ბატალიონიდან ერთი ჩემი თანასოფლელი, ბონდო კახოიძე დაიღუპა. ვიცი, რომ ამ ბრძოლას შეეწირა თელაველი, შიომღვდლიშვილი... სანგარში ჭურვი ჩაუგდეს ქარქიას... ისინი ჩვენ ამოვიყვანეთ და ჯავშანმანქანაში ჩავასვენეთ...

ჯარისკაცური ცხოვრება ადვილი არ არის, მაგრამ როდესაც პასუხისმგებლობა გაცნობიერებული გაქვს, ყველაფერს, სიცოცხლესაც კი სხვანაირად უყურებ.

**ლალი პაპასკირი**

ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიოლოგიური იარაღი: XXI საუკუნის მთავარი საფრთხე

(დასაწყისი იხ. 32-ე გვ.)

### ბიოლოგიური ტერორიზმი

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში საერთაშორისო ორგანიზაციები, უპირველესად კი გაერო, ცდილობდნენ აეკრძალათ მასობრივი განადგურების იარაღის წარმოება, შენახვა და გამოყენება. ამიტომაც, თითქმის ყველა დიდი ქვეყანა ბიოლოგიური იარაღის შექმნის გეგმებს და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს მაქსიმალურად ასაიდუმლოებდა. თუმცა მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარება ისე შორს წავიდა, რომ ცალკეულ ადამიანებს ან რადიკალურად განწყობილ ჯგუფებს უკვე მიუწვდებათ ხელი ბიოლოგიური იარაღის წარმოებასა ან შეძენაზე.

ერთ-ერთმა პირველმა საგანგაშო ზარმა 1972 წელს აშშ-ში ჩამოჰკრა. მემარცხენე რადიკალურმა სტუდენტურმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა „საზიზღარი“ ამერიკელი კაპიტალისტების ერთიანად გაწყვეტა. ამ „დიადი“ მიზნის მისაღწევად მათ დაამუშავეს სასმელი წყლის რეზერვუარების და სახნავ-სათესი ფართობების ტიფის, ციმბირის წყლულის, დიზენტერიის და სხვ. მიკრობებით მოწამვლის დეტალური გეგმები. ფართომასშტაბიანი ტრაგედიის თავიდან აცილება შესაძლებელი გახდა აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტების მაღალი პროფესიონალიზმის წყალობით. ტერორისტების ნაწილი დააკავეს, ნაწილმა კი კუბელ დიქტატორ ფიდელ კასტროსთან მოასწრო გაქცევა.

1984 წელს აშშ-ის ინდიელთა ერთ-ერთმა რელიგიურმა ორგანიზაციამ „რეინიშ კალტმა“ ორეგონის შტატის რამდენიმე ქალაქში სალმონელას მიკრობები გაავრცელა. საინტერესოა, რომ ტერორისტები დაუბრკოლებლივ შედიოდნენ რესტორნებისა და კაფეების სამზარეულოებში და მიკრობებს პირდაპირ საჭმელში ყრიდნენ. შედეგად ათასზე მეტი ადამიანი მძიმედ დაავადდა.

1995 წელს ცნობილი იაპონური სექტის „აუმ სინრიკე“ წევრებმა ტოკიოსა და ქალაქ მაცუმოტოს მეტროს სადგურებში აეროზოლებით გააფრქვიეს სხვადასხვა ტოქსიკური ნივთიერება, რის შედეგად დაიღუპა 200 და მძიმედ დაშავდა 100-ზე მეტი ადამიანი.

1999 წელს ამერიკელმა ლარი ჰარისმა, რომელსაც ფსიქიკასთან პრობლემები ჰქონდა, გეგმა შეადგინა, თუ როგორ გაევრცელებინა თვითმფრინავიდან ციმბირული წყლულის და შავი ჭირის ვირუსები.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ აშშ-ის სახელმწიფო დაწესებულებებში გახშირდა ციმბირული წყლულის ბაქტერიებით მოწამლული წერილებისა და საფოსტო გზავნილების აღმოჩენა. ამ პერიოდში დაფიქსირდა ციმბირული წყლულიანი წერილების გაგზავნის 12 შემთხვევა, რის შედეგადაც 16 ადამიანი დაავადდა.

აშშ-ის სპეცსამსახურების ვარაუდით ბაქტერიების და ვირუსების შტამები ერაყის ან კუბის სპეცსამსახურების საიდუმლო ლაბორატორიებში იყო მიღებული. მათგან კი „ალ-ქაიდას“ და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების ხელში აღმოჩნდა.

გავიხსენოთ, რომ 2006 წლის ზაფხულში ისრაელს ლიბანის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია ჯერ დაწყებული არც ჰქონდა, როცა ღაზის სექტორში დაბანაკებულმა პალესტინელმა ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ, „ალ-აქსას მოწამეთა ბრიგადები“, ათასობით პროკლამაცია გაავრცელა.

ეს ფაქტი შეიძლება ისრაელის მიმართ მორიგ შანტაჟად და შეშინების მცდელობად ჩაგვეთვალა, რომ არა ამ პროკლამაციებში გამოთქმული მუქარის შინაარსი. ექსტრემისტები ირწმუნებოდნენ, რომ მათ, სამწლიანი შეუპოვარი შრომის შედეგად ხელთ აქვთ ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის ოცზე მეტი სახეობა. თუ ისრაელი გაბედავს და ღაზის სექტორში ჯარს შეიყვანს, მაშინ ისინი „კასამის" ტიპის რაკეტებს ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებებით აღჭურავდნენ და ისრაელის ტერიტორიას დაბომბავდნენ.

## საბჭოთა ბიოლოგიური იარაღის შექმნის საიდუმლო

ყველაფერი 1926 წელს დაიწყო, როცა წითელი არმიის სამხედრო-ქიმიური სამსახურის სტრუქტურაში გასაიდუმლოებული სპეცლაბორატორია შეიქმნა. სტალინის პირადი დავალებით საიდუმლო სამუშაოები განსაკუთრებით 1928 წლიდან გააქტიურდა. რამდენიმე წელიწადში პირველი საბჭოთა ბიოლოგიური იარაღიც შეიქმნა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს კვლევები დასაწყისშივე შემტევ და არათავდაცვით ხასიათს ატარებდა. წითელმა არმიამ 1936 წელს ჩაატარა ფართომასშტაბიანი საარმიო სწავლება, სადაც დაიხვეწა ბიოიარაღის (უპირველესად შავი ჭირისა და ციმბირის წყლულის) გამოყენების ტაქტიკა და მეთოდიკა. ცნობილი რუსი მეცნიერის, ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლევ ფიოდოროვის მტკიცებით, სტალინმა ბიოლოგიური იარაღი 1942 წელს პაულიუსის არმიის წინააღმდეგ გამოიყენა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა ბიოლოგიური იარაღის წარმოება და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ძალზე გაფართოვდა. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც საბჭოთა დიქტატორი „ცივ ომში" გამარჯვებას ყველანაირი ხერხით გეგმავდა. ქალაქი სვერდლოვსკი ბიოიარაღის კვლევების და წარმოების ცენტრად იქცა. მიწისქვეშა ბუნკერებში განთავსებული იყო საიდუმლო ლაბორატორიები და საწარმოო საამქროები. შეიქმნა ერთიანი კომპლექსი, რომელიც ოფიციალურ მიმოწერაში მე-19 სამხედრო ქალაქად მოიხსენიებოდა. ვირუსოლოგიისა და ტოქსინების მიმართულებით მუშაობდა ქალაქ ზაგორსკში მდებარე საიდუმლო ინსტიტუტი (ზაგორსკი-6).

1960-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა სამხედრო-ბიოლოგიური პოტენციალი ძირითადად სამ ქალაქში იყო თავმოყრილი. სვერდლოვსკში ბაქტერიების „მოთვინიერებაზე" და მის საბრძოლო ბიომასად ფორმირებისთვის დანადგარებზე მუშაობდნენ. კიროვში შავი ჭირის შტამები გამოჰყავდათ, ხოლო ზაგორსკში „შავი ყვავილის" ბაქტერიებს ზრდიდნენ. ასე რომ, საბჭოთა კავშირს ბიოლოგიური იარაღის რაოდენობითა და მრავალფეროვნებით ვერავინ წაართმევდა ლიდერობას.

## არალის ზღვა. კუნძული ვოზროჟდენიე

ნებისმიერი სამეცნიერო კვლევა, მით უფრო ბიოლოგიურ სფეროში, საცდელ პოლიგონს საჭიროებს, სადაც თეორიული აღმოჩენები პრაქტიკული შედეგებით უნდა დადასტურდეს. საბჭოთა კავშირსაც სჭირდებოდა ამგვარი პოლიგონები.

1930-იანი წლების ბოლოს არალის ზღვაში მდებარე უდაბურ კუნძულ ვოზროჟდენიაზე მშენებლები გამოჩნდნენ. სულ ორიოდე წელი დასჭირდათ, რათა მიწისზედა და მიწისქვეშა ნაგებობების მთელი კომპლექსი აეშენებინათ. კუნძული ისე დატოვეს, რომ თავადაც ვერ იცოდნენ, რა მიზნებს უნდა მომსახურებოდა ეს ქალაქი.

თავდაპირველად კუნძული წითელი არმიის საიდუმლო სამედიცინო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტებმა დაიკავეს, თანდათანობით კი ექიმებს ბიოლოგები ცვლიდნენ. სახელიც „საინტერესო" მოუძებნეს — არალსკი-7.

საიდუმლო ქალაქს საკუთარი აეროდრომი ჰქონდა. ორ და სამსართულიან ყაზარმებში წვევამდელები (რომლებთაც მხოლოდ გარე პერიმეტრის დაცვას ანდობდნენ), ხოლო შორიახლოს მდგარ კოტეჯებში ზევადიანი სამხედრო მოსამსახურეები ცხოვრობდნენ.

ქალაქისგან რამდენიმე კმ-ის დაცილებით საიდუმლო ლაბორატორიები და საცდელი პოლიგონი მდებარეობდა. ისინი მაღალი მავთულხლართებიანი ბადის ორი ზოლით იყო შემოღობილი. კუნძულს ავტონომიური ელექტრო და წყალმომარაგება ჰქონდა, რასაც იქ მდებარე ორი ელექტროსადგური უზრუნველყოფდა. კუნძულის საზღვაო აკვატორიის დაცვას სამხედრო კატარღები და თვითმფრინავები უზრუნველყოფდნენ. ორმოცდაათ წელზე მეტია, ამ კუნძულის საიდუმლოს შესახებ მხოლოდ საბჭოთა კავშირის უმაღლესმა პირებმა იცოდნენ.

1972 წელს საბჭოთა კავშირის კპ ცკ-ამ სპეციალური დადგენილება მიიღო მოლეკულური ბიოლოგიის აღორძინების ღონისძიებათა შესახებ. ამ გადაწყვეტილების უკან საბჭოთა გენერლების შორსმიმავალი სამხედრო მიზნები იმალებოდა.

საბჭოთა კავშირი ფულს არ იშურებდა ბიოლოგიური იარაღის შექმნის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გასაფართოებლად. მოსკოვთან და ნოვოსიბირსკთან ახლოს შეიქმნა მძლავრი ვირუსოლოგიური კვლევის სამეცნიერო-სამრეწველო ცენტრები, ლენინგრადში კი ამ პროფილის ახალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გაიხსნა. ყველაზე მეტად კი ყაზახეთს „გაუმართლა". უდაბურ სტეპებთან ახლოს აშენდა მიკრობიოლოგიური კვლევების მთელი ქალაქი — სტეპნოგორსკი. იქ მიმდინარე თეორიული კვლევების შედეგები არალის ზღვაში მდებარე კუნძულ ვოზროჟდენიეს საცდელ პოლიგონზე მოწმდებოდა.

## გაქცევა ლონდონში

1987 წლისთვის საბჭოთა კავშირში ბიოლოგიური იარაღის წარმოების საიდუმლო პროგრამებზე მუშაობდა ათამდე ინსტიტუტი და ლაბორატორია, სადაც 15 ათასზე მეტი კაცი იყო დასაქმებულ. ბიოიარაღის სამრეწველო ტექნოლოგიების და მოწყობილობების შექმნაზე. ბიოიარაღის მწარმოებელ მხოლოდ ერთ-ერთ ცენტრში (კერძოდ, ზაგორსკ-6-ში), 1980-იანი წლების ბოლოს „ყვავილის" მიკრობების 20-ტონიანი მარაგი ჰქონდათ. ხოლო სვერდლოვსკის საიდუმლო ლაბორატორიებში ყოველწლიურად 200 კგ-მდე „სუპერ შავი ჭირის" ბაქტერიები შეეძლოთ ეწარმოებინათ, რაც საკმარისი იყო 5 მლნ ადამიანის გასანადგურებლად. ეს ციფრები განსაკუთრებით საბჭოთა გენერლების გულებს ახარებდა. მათ ისიც გაიანგარიშეს, რომ მოწინააღმდეგის ქალაქის თავზე ჩამოგდებულ ციმბირის წყლულის ბაქტერიებით დატენილ 50 კგ-იან

ჭურვს 20 კვ კმ ტერიტორიაზე ყველა ცოცხალი ორგანიზმის დაავადება შეეძლო.

საბჭოთა „პერესტროიკა" ძალას იკრებდა და სამეცნიერო კონტაქტები უფრო და უფრო ხშირი ხდებოდა. „რკინის ფარდის" მოხსნამ საბჭოთა იმპერიას ბევრი პრობლემა შეუქმნა.

1989 წელს ლონდონში გაიქცა საფრანგეთში სამეცნიერო მივლინებაში მყოფი ლენინგრადის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვლადიმერ პასეჩნიკი, რომელმაც საბჭოთა ბიოიარაღის მთელი საიდუმლო ბრიტანელებს და ამერიკელებს გადასცა.

**მცირე დოსიე: ვლადიმერ პასეჩნიკი, დაიბადა 1937 წელს სტალინგრადში. ლენინგრადის ტექნიკური ინსტიტუტის დასრულების შემდეგ მუშაობდა ლენინგრადის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში. თემატიკა საკმაოდ ფართო იყო: რადიოქიმია, მოლეკულური ბიოლოგია, ონკოლოგიური დაავადებები და სხვ. 1974 წელს თავდაცვის სამინისტროს წინადადებით და მათი დაფინანსებით პასეჩნიკმა ლენინგრადში შექმნა განსაკუთრებით სუფთა ბიოპრეპარატების ინსტიტუტი. 1981 წლისთვის ამ ინსტიტუტის მხოლოდ სპეცლაბორატორიებში 400-ზე მეტი თანამშრომელი მუშაობდა. მათი ძირითდი ამოცანა იყო საარტილერიო ჭურვებში ბაქტერიების და მიკრობების „ჩატვირთვის" პრობლემების გადაჭრა. პროფესორ პასეჩნიკს 1988 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. 1989 წლის ოქტომბერში საფრანგეთში სამეცნიერო მივლინებაში ყოფნის დროს დაუკავშირდა დიდი ბრიტანეთის საელჩოს და პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა. ის სასწრაფოდ ლონდონში გადაიყვანეს. ინგლისში აგრძელებდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. მოულოდნელად გარდაიცვალა 2001 წელს.**

ამის შემდეგ იყო რომ, ერთ-ერთ ოფიციალურ შეხვედრაზე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა და „რკინის ლედიმ" მარგარეტ ტეტჩერმა და გერმანიის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი მწვავე კითხვებით კუთხეში მოიმწყვდიეს.

„პერესტროიკის არქიტექტორი" ამის შემდეგ იძულებული გახდა მცირე ხნით მართლაც შეეჩერებინა ბიოიარაღის სამეცნიერო და საწარმოო პროგრამები, რომელთა საიდუმლო კოდური სახელწოდება იყო „ფერმენტი". საბჭოთა პრეზიდენტმა ამ საიდუმლო განკარგულებას 1990 წლის 5 დეკემბერს მოაწერა ხელი. საბჭოთა კავშირის ოფიციალური განცხადება ბიოლოგიური იარაღის წარმოების სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო პროგრამების შეჩერების შესახებ მორიგი საბჭოთა ტყუილი აღმოჩნდა. რადგანაც სამხედროები, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს მე-15 მთავარ სამმართველოს უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ ევსტიგნეევის ხელმძღვანელობით მუშაობას მაინც აგრძელებდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არალის ზღვაში მდებარე კუნძული ვოზროჟდენიე ორი სუვერენული სახელმწიფოს – ყაზახეთის და უზბეკეთის ტერიტორიულ საზღვრებში მოექცა. რუსეთმა კუნძულიდან ყველა დოკუმენტაცია, აპარატურა და მასალები თავის ლაბორატორიებში გადაიტანა. ხოლო საიდუმლო ბიოლოგიური ლაბორატორიის და პოლიგონის მუშაობის ამსახველი საარქივო მასალები ყაზახეთის და უზბეკეთის ხელისუფლებას არც კი გააცნო.

ამიტომაც ამ კუნძულიდან მიწაში ჩამარხული ციმბირული წყლულის და შავი ჭირის შტამების გავრცელების საშიშროება ძალზე რეალური იყო. მეცნიერები შიშობდნენ, რომ ფრინველებს და მღრღნელებს შეეძლოთ ეს შტამები მატერიკზე გადაეტანათ. ამის მიუხედავად, ამ ორი შუააზიური სახელმწიფოს ხელისუფლება სხვადასხვა მიზეზების გამო დიდი ხნის მანძილზე თავს არიდებდა უსაფრთხოების აუცილებელი ზომების მიღებას. ყველაფერი მორიგმა გაქცევამ შეცვალა. მაგრამ სანამ საბჭოთა სამხედრო-ბიოლოგიური კომპლექსის ერთ-ერთი ხელმძღვანელის აშშ-ში გაქცევაზე მოგითხრობთ, ობიექტურობა მოითხოვს გავარკვიოთ, თუ რა დონეზე იყო ბიოიარაღის წარმოება „ბიძია სემთან".

**ბესიკ ალადაშვილი**
**ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი**

**(დასასრული იხ. მომდევნო ნომერში)**




*საბჭოთა ბიოლოგიური იარაღის კვლევების ცენტრი არალის ზღვაში კუნძულ ვოზროჟდენიეზე ახლა მკვდარ ქალაქს წარმოადგენს*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსენალის კროსვორდი



**თარაზული:** 1. თავის კანი თმიანად, რომელსაც აძრობდნენ დამარცხებულ მტერს და მიჰქონდათ ნადავლის სახით; 5. კოლუმბიის დედაქალაქი; 8. საგანგებო დავალება; 9. საბრძოლო ხელოვნებაში დაოსტატებული ფარული აგენტი ან დაქირავებული ჯარისკაცი იაპონიაში; 10. ერთგვარი სისტემის რევოლვერი; 11. მარატის მკვლელი; 12. შეუსაბამობა, უაზრობა; 16. კოლხეთის მეფის აიეტის ასული; 17. კოლუმბის ერთ-ერთი ხომალდი; 18. სოფელი ოჩამჩირის რაიონში; 19. საბრძოლო, ჯავშნიანი მანქანა; 21. მრავალჯერადი გამოყენების სატრანსპორტო კოსმოსური ხომალდი; 24. გვაროვნული თემი ირლანდიასა და შოტლანდიაში; 27. ... არხი — აერთებს ატლანტის ოკეანეს წყნარ ოკეანესთან; 29. გარემოცვა, ალყა; 30. ტბა მალავის, მოზამბიკისა და ტანზანიის საზღვარზე; 31. შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა; 32. ჰუნების ბელადი; 33. მფრინავი; 34. ძველი აღმოსავლეთ საქართველო.

**შვეული:** 2. იაპონელი მფრინავი თვითმკვლელი მეორე მსოფლიო ომში; 3. ქართველი მხედართმთავარი, გენერალ-პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირი; 4. რომაული ქალაქი, მდებარეობდა თანამედროვე სანტიპონსიდან ჩრდილოეთით; 5. დურბინდი; 6. უმაღლეს მეთაურთა და უფროსთა წოდებულება არმიაში; 7. ალპინისტების გადასვლა მარშრუტით, რომელიც გადის მთაგრეხილის თხემზე; 13. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ჭურვის მოძრაობას ცეცხლსასროლი იარაღის ლულაში; 14. შემოსეული დამპყრობელი ჯარი; 15. არტილერიის, სარაკეტო და ჯავშანსატანკო ნაწილების რამდენიმე ქვეგანაყოფის გაერთიანება; 20. დიპლომატიური წერილი; 22. საზღვაო ბრძოლის ძველებური ხერხი; 23. კავშირი, გაერთიანება; 25. გამადიდებელი შუშა; 26. ქალაქი იაპონიაში, სადაც 1945 წლის 6 აგვისტოს ჩამოგდებულ იქნა ბირთვული ბომბი სახელად „პატარა ბავშვი"; 27. უპირატესი მდგომარეობა, პირველობა; 28. თავშესაფარი თხრილი, საიდანაც ისვრიან.

**ნინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 1. ამპერი; 5. საკანი; 8. ასკერი; 9. მარატი; 10. ალბენა; 11. რიბერი; 12. იმპულსი; 16. მისია; 17. სირია; 18. რეიდი; 19. ჰერცი; 21. არმია; 24. ოპელი; 27. მილიცია; 29. სოლანო; 30. იდილია; 31. შერიფი; 32. ნანდუ; 33. რიგელი; 34. ირონია.

შვეულად: 2. მუსოლინი; 3. ელემენტი; 4. ირიბარი; 5. სამურაი; 6. კარაბინი; 7. ნატურული; 13. მიკროჰესი; 14. ურჩი; 15. სილიციუმი; 20. რიხი; 22. რიკოშეტი; 23. იარა; 25. პული; 26. ლილიპუტი; 27. მიოზიტი; 28. ალიანსი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოჩისი 1812-1874

**სამხრეთ არიზონის ცენტრალური ჩირიკაუას ტომის ბელადი კოჩისი აპაჩთა ერთ-ერთი ბელადი იყო, რომელიც XIX საუკუნის 60-იან წლებში თეთრკანიანთა ექსპანსიას ებრძოდა შეერთებული შტატების სამხრეთ-დასავლეთით.**

**არაფერია ცნობილი კოჩისის მშობლების, დაბადებისა და ცხოვრების ადრეული წლების შესახებ, მაგრამ ცნობილია, რომ მისი ტომის ხალხი თეთრკანიან ახალმოსახლეებთან 50-იან წლებამდე მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ. თვითონ 1861 წლამდე აპაჩ-პასის დილიჟანსების სადგურში, ბატერფილდ-ოვერლენდის ხაზზე შეშის მჭრელად მუშაობდა, სანამ ინდიელთა რაზმი ერთი რანჩოს თეთრკანიანი მეპატრონის საქონელს წაასხამდა და მის ვაჟს მოიტაცებდა.**

### ქრონოლოგია

* 1812 დაიბადა არიზონაში.
* 1861 დაატყვევეს ბავშვის გატაცების გამო. გაიქცა.
* 1862 აპაჩ-პასთან გენერალ კარლტონს შეებრძოლა.
* 1863 აპაჩთა სამხედრო ბელადი გახდა.
* 1871 ამერიკის არმიამ დაატყვევა, მაგრამ გაქცევა მოახერხა.
* 1872 ამერიკის ხელისუფლებასთან სამშვიდობო შეთანხმება დადო.
* 1874 გარდაიცვალა 8 იანვარს არიზონაში.

### ბრალდებული

გამოუცდელმა სამხედრო ოფიცერმა, ლეიტენანტმა ჯორჯ ბასკომმა კოჩისი და კიდევ ხუთი აპაჩი ბელადი დასაკითხად დაიბარა, მაგრამ მათ ბრალიც უარყვეს და თანამონაწილეობაც.

როდესაც ღმერთმა მსოფლიო შექმნა, მან ერთი მხარე თეთრებს მისცა, მეორე კი აპაჩებს უბოძა.

მართლაც, მოგვიანებით დაადგინეს, რომ თავდამსხმელები კოიოტეროს ტომი ყოფილა, მაგრამ ბასკომმა თავის ხალხს უბრძანა, კოჩისი და მისი ნათესავები დაეტუსაღებინათ.

შეხლა-შემოხლაში ერთი აპაჩი დაილუპა, კოჩისს კი სამი ტყვია მოხვდა, მაგრამ კარვის კალთა ჩაჭრა და გაიქცა, თან მძევლად აიყვანა მედილიჟანსე დილიჟანსითურთ და ორი მგზავრით, რათა აპაჩ ტყვეებში გაეცვალა. მაგრამ ბასკომმა აპაჩების ჩამოხრჩობით უპასუხა, მათ შორის კოჩისის ძმა და ორი ძმისწული იყო.

### ომის ბილიკზე

კოჩისი, რომელიც მანამდე თეთრკანიანებთან მეგობრობდა, ახლა მათი დაუძინებელი მტერი შეიქნა და ორი თვის განმავლობაში 150 ახალმოსახლე გამოასალმა სიცოცხლეს. მომდევნო წელს აპაჩთა მარბიელმა რაზმებმა თეთრკანიანები აიძულეს, რეგიონი დაეტოვებინათ. როდესაც 1861 წელს სამოქალაქო ომის დაწყების გამო ჯარები გაიყვანეს არიზონიდან, მთელი შტატი აპაჩების ხელში დარჩა.

კონფედერატთა ჯარებს დარჩენილი მოსახლეობა სტუმართმოყვარედ ხვდებოდა. ამის პასუხად ჩრდილოელებმა 3000 კალიფორნიელი მოხალისით დაკომპლექტებული ჯარი შეუსიეს გენერალ ჯეიმზ კარლტონის მეთაურობით. 1862 წელს კოჩისმა აპაჩ-პასზე გადაიარა, რათა აღმოსავლეთ სანაპიროსთან დამაკავშირებელი მიწები შეენარჩუნებინა და კონფედერატთა იერიშები აღეკვეთა. იმ დროს კოჩისი უკვე სიმამრის, მანგას კოლორადასის რაზმს შეუერთდა. ივლისში ორივე ბელადი შვიდასი მეომარი აპაჩით თავს დაესხა... 

მანგას კოლორადასი გენერალ ჯოზეფ უესტს ჩაბარდა, მომავალ წელს კი ვერაგულად მოკლეს, ასე რომ, კოჩისი აპაჩთა ერთადერთი სამხედრო ბელადი გახდა.

სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ მთავრობამ მკვიდრი ამერიკელების ამოსაწყვეტად ომი წამოიწყო.

კოჩისი და მისი ორასიოდე მებრძოლი მთელი წელი იმალებოდნენ დრაგუნის მთებში, არიზონაში. მთებიდან ელვისებურად ესხმოდნენ თავს თეთრკანიანებს და მერე ისევ მთას აფარებდნენ თავს. მაგრამ როდესაც 1871 წელს 128 შეუიარაღებელი აპაჩი ამოწყვიტეს არიზონელებმა, სისხლის ღვრის შესაჩერებლად გენერალი ჯორჯ კრუკი გაიგზავნა. მან ზოგიერთი აპაჩი გადაიბირა, აგენტად გაიხადა, სხვები კი რეზერვაციაში შერეკა. კოჩისი დათანხმდა სამშვიდობო შეთანხმებას, მაგრამ 1872 წელს მისი ხალხის ნიუ-მექსიკოს ტულაროსას რეზერვაციაში გადაყვანისას ისევ გაიქცა.

1873 წელს არიზონაში მშვიდობის დასამყარებლად გენერალი ოლივერ ო. ჰოვარდი ჩავიდა. თავისი თეთრკანიანი მეგობრის, აგენტისა და აპაჩების გულშემატკივრის თომას ჯეფორდსის ჩაგონებით სექტემბერში კოჩისი დათანხმდა რეზერვაციაში ცხოვრებას. ეს ომი ამერიკის შეერთებულ შტატებს ათასი კაცის სიცოცხლედ და ორმოც მილიონ დოლარად დაუჯდა.

კოჩისი 1874 წლის 8 ივნისს ჩირიკაუას აპაჩთა რეზერვაციაში გარდაიცვალა. გარდაცვალებისას გვერდით ჯეფორდსი ჰყავდა. ტომის ბელადობა მის ვაჟს ტაზას გადაეცა. ამერიკელებთან კონფლიქტი მომდევნო ათწლეულში მეორე აპაჩმა ბელადმა, ჯერონიმომ განაახლა.

დღეს არიზონის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე კოჩისის სახელს ატარებს.

### პარტიზანული ომი

● თავის ძმის, ძმისწულებისა და სხვა დახოცილი აპაჩების სისხლის ასაღებად კოჩისმა თეთრკანიან


ამერიკის არმიამ შეძლო და კოჩისის ჯგუფი დრაგუნთა მთების რაიონში მოიმწყვდია

ახალმოსახლეებზე იძია შური — ორი თვის განმავლობაში დაახლოებით 150 კაცი ამოწყვიტა.

● ათი წლის განმავლობაში კოჩისი მთებიდან პარტიზანულად ებრძოდა თეთრკანიანებს, მაგრამ ზავის ჩამოსაგდებადაც მუდამ მზად იყო. მას მერე, რაც 14 საფოსტო ეტლის მეეტლე დაიკარგა თექვსმეტ თვეში, ფოსტის მმართველი თომას ჯეფორდსი, ნიუიორკელი, წარმოსადეგი ჟღალწვერა ვაჟკაცი კოჩისის ბანაკის შუაგულში შევიდა, იარაღი დაყარა და მოლაპარაკება მოითხოვა, კოჩისი და ჯეფორდსი მეგობრობდნენ. კოჩისმა ჯეფორდსს პირობა მისცა, რომ ალარ გაძარცვავდნენ საფოსტო ეტლებს და პირობა შეასრულა. მაგრამ მანგას კოლორადასის გარდაცვალების შემდეგ კოჩისმა ომი განაახლა.

**მოამზადა ლევან ინასარიძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი სააკაძის თოფი

**სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ეთნოლოგიისა და ახალი ისტორიის კოლექციების იარაღის ფონდში რამდენიმე ათასი ექსპონატია დაცული, რომელთაგან გამორჩეულია მემორიალური ცეცხლსასროლი იარაღი. ამჟამად ყურადღებას შევაჩერებთ მეფე ბაქარის, მეფე არჩილის, ქართველი წარჩინებულების მამუკა ჟავჟავაძისა და გიორგი სააკაძის თოფებზე.**



*მეფე ბაქარის თოფი: მთლიანი სიგრძე — 178 სმ, ლულის სიგრძე — 141 სმ, ლულის შიდა დიამეტრი — 18 მმ*





## მეფე ბაქარის თოფი

ქართლის მეფე ბაქარი, ვახტანგ VI-ის ძე, 1700 წლის 7 აპრილს დაიბადა. 1716-1719 წლებში შაჰნავაზ III-ის სახელით ქართლის მეფე იყო. შემდეგ რუსეთში წავიდა, იყო გრუზინსკების გვარის ფუძემდებელი, მოსკოვში ქართული სტამბა აღადგინა და დაბეჭდა ბიბლია, რომელიც ბაქარის ბიბლიის სახელით არის ცნობილი. გარდაიცვალა 1750 წლის 1-ელ თებერვალს მოსკოვში.

ბაქარის თოფის ლულა დაწახნაგებულია, მორთულია ოქროზარნიშით შესრულებული გეომეტრიული ორნამენტებით. შუა წახნაგზე მოცემულია ოქროთი დაფერილი ხელოსნის ხუთკუთხიანი დამღა და მასზე ორმწკრივად იკითხება არაბული წარწერა „სალიჰ ალი“ (არაბული წარწერა წაიკითხა ეროვნული მუზეუმის თანამშრომელმა მარიამ ქორიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ).

დამღის გვერდითა წახნაგებზე ქართული წარწერებია: „თოფო ყირიმო მეფისა ბაქარისავო“ და „თოფო იხილე მირთმეუა მეფის კონსტანტინესად“.

ლულის კუდზე ასევე ოქროზარნიშით ყვავილოვან ორნამენტში შესრულებულია წარწერა: „ჩყნა (1851 წელი, მ.ქ.) წელსა დღეიდამ თა ნიკოლოზ ბაგრატიონ მუხრანსკისა ვარ“.

ლულა ჩასმულია კონდახის ღარში და ჩამაგრებულია ვერცხლის ოთხი სალტით. სალტეებზე მოცემულია დამღები თარიღით Е. Б. 1851 (ე. ბლუმბერგი — თბილისის საოლქო სასინჯი პალატის კონტროლიორი 1843-1885 წლებში) და „84“ (ვერცხლის სინჯის დამღა).

კონდახი და ღარი დამზადებულია კაკლის ხისაგან, ღარი ბოლოვდება ვერცხლის ფირფიტით, კონდახი კი — სპილოს ძვლის დუგლუგით.

თოფის წარმომავლობისთვის მნიშვნელოვანია პირველი წარწერის პირველი ნაწილი — „თოფო ყირიმო“, რომელიც თითქოს თოფის ყირიმულ წარმოშობაზე მიუთითებს. მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურიდან კარგად არის ცნობილი, რომ ყირიმიდან საქართველოში მხოლოდ ლულები შემოდიოდა. დანარჩენი დეტალები კი ადგილობრივად მზადდებოდა და იწყობოდა. ყირიმის ლულებზე აწყობილი ქართული თოფები საქართველოში „ხირიმის“ სახელით იყო ცნობილი.

ამავე წარწერის შემდეგი ორი სიტყვით — „მეფისა ბაქარისავო“ თოფის მესაკუთრის ვინაობას ვიგებთ. უდავოა, რომ ეს არის ვახტანგ VI-ის ვაჟი, ქართლის მეფე ბაქარი, ვინაიდან სხვა ბაქარ მეფე საქართველოს არ ჰყოლია.

საინტერესოა თოფის მეორე წარწერა — „თოფო იხილე მირთმეუა მეფის კონსტანტინესად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



*მეფე არჩილის თოფი: მთლიანი სიგრძე — 146 სმ, ლულის სიგრძე — 114 სმ, ლულის შიდა ზედაპირი გლუვია და დიამეტრი 15 მმ-ია*

კოტე ჩოლოყაშვილის დაკვირვებით, რადგან ბაქარ მეფის პოლიტიკური მოღვაწეობა საქართველოში 1716 წელს დაიწყო და 1724 წელს ვახტანგ VI-სთან ერთად რუსეთში წასვლით დასრულდა, ბაქარ მეფის კონსტანტინე მეფესთან ურთიერთობაც 1716-1724 წლებში უნდა ვეძებოთ. ეჭვგარეშეა, რომ თოფის მეორე პატრონი კახთა მეფე კონსტანტინეა, რადგან სხვა მეფე კონსტანტინე იმ წლების საქართველოში ცნობილი არ არის.

წარწერაში აღნიშნულია: „...იხილე მირთმეუა...", რაც ძღვნად მირთმევას, ჩუქებას ნიშნავს. ესე იგი, ქართლის მეფე ბაქარმა თოფი კახთა მეფე კონსტანტინეს აჩუქა. კონსტანტინე კახეთის მეფედ 1723-1724 წლებში იწოდებოდა. შესაბამისად, თოფსაც ამ წლებში მიუძღვნიდნენ.

ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ 1723 წელს ქართლისა და კახეთის მეფეთა შორის უმძაფრესი მტრობა და შუღლი მძვინვარებდა. ორ სამეფოს შორის შეტაკებები ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. ქართლში ლეკების ლაშქრის შემოსვლის შემდეგ კახთა მეფე კონსტანტინეს (მაჰმადიანური სახელი მაჰმად-ყული-ხანი) მიერ თბილისის დაკავებითა და განადგურებით დამთავრდა.

ძმათა შორის უგუნურ ბრძოლას ოსმალთა შემოსევა და ირანის შაჰის ერთგული კონსტანტინე მეფის დაპატიმრება მოჰყვა. მძიმე მდგომარეობამ შეარიგა გუშინდელი მტრები. თბილისში ოსმალთა მიერ დატყვევებული კახთა მეფე კონსტანტინე მეფე ბაქარმა ციხიდან გააპარა.

ვახუშტის ცნობით: „პატიმარყოფილი მაჰმად-ყული-ხან ევედრა ბაქარს, რათა განუტევოს და აღუთქვა ფიცით, ვითარცა მონა იყოს მისდა". კონსტანტინე 1723 წელს გააპარეს, ხოლო 1724 წლის იანვარში კონსტანტინე მეფემ ბაქარს მოციქულად თავისი უმცროსი ძმა თეიმურაზი მიუგზავნა, რომელსაც ბაქარის და ჰყავდა ცოლად და შეხვედრის დანიშვნა სთხოვა.

ერთმანეთს მცხეთაში შეხვდნენ: „სადაც ჰყვეს პირი ერთობა-სიყვარულისა". ბაქარის მიერ თოფის „მირთმეუა მეფის კონსტანტინესად" სწორედ ამ შეხვედრას უნდა უკავშირდებოდეს.

მეორე წარწერის ისტორიული თარიღიდან მესამე წარწერა 127 წლით გვიანდელია. ვის ხელში გაიარა თოფმა ამ ხნის მანძილზე, ძნელი სათქმელია. ნიკო ბურის ცნობით, კონსტანტინე მეფის შემდეგ თოფი ედიშერ ბაგრატიონს, ნიკო ბურის პაპის მამას ეკუთვნოდა. 1851 წლიდან კი თოფი ნიკო ბურის პაპის, ნიკოლოზის კუთვნილება ყოფილა, რასაც მოწმობს კიდეც მესამე წარწერა ლულის კუდზე: „ჩყნა (1851 წ. მ.ქ.) წელსა დღეიდამ თა ნიკოლოზ ბაგრატიონ მუხრანსკისა ვარ".

საინტერესოა ის ფაქტი, რომ, როდესაც თოფი ნიკოლოზ ბაგრატიონ-მუხრანსკის საკუთრება გამხდარა, ოქროზარნიშიან წარწერასთან ერთად მან თოფს რესტავრაციაც გაუკეთა, რასაც ვერცხლის ფირფიტებზე არსებული დამღების თარიღი — 1851 წელი ადასტურებს.



*მეფე არჩილი*

ეს თოფი, როგორც რელიკვია, ნიკო ბურის სახლში 1925 წლამდე ინახებოდა და „ამტკიცებდა გვარეულობაში მათი (ჩვენი) შტოს უფროსობას", შემდეგ კი იგი მუზეუმს გადასცეს.

## მეფე არჩილის თოფი

მეფე-პოეტი არჩილ ბაგრატიონი (1647-1713 წწ.) უფროსი ძე იყო ვახტანგ V შაჰნავაზისა და ყაფლან ბარათაშვილის ასულ როდამისა. არჩილი იმერეთში რამდენჯერმე გამეფდა, კახეთში კი შაჰ-ნაზარ-ხანის სახელით მეფობდა.

ქართლში ვახტანგ V-ის გამეფებით დასაბამი მიეცა ბაგრატიონთა მუხრანული განშტოების მეფობას. 1660 წელს იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის (იარაღის ფონდში ალექსანდრე III-ის ჯაჭვის პერანგია დაცული) სიკვდილის შემდეგ იმერეთი ანარქიამ მოიცვა. იმერელ თავადთა ერთი ნაწილის მხარდაჭერით შაჰნავაზი იმერეთში შევიდა და 1661 წელს 14 წლის არჩილი იმერეთის ტახტზე დასვა.

სულთან მაჰმედ IV-ის მოთხოვნით, შაჰ-აბას II-მ ვახტანგი აიძულა, არჩილს იმერეთის ტახტი დაეტოვებინა და 1663 წელს ირანში გამგზავრებულიყო, რის სანაცვლოდაც შაჰი „უმჯობე" ქვეყნის მმართველობას შეჰპირდა. გამაჰმადიანებაც მოსთხოვეს, რასაც არ გაუძალიანდა და სახელად შაჰ-ნაზარ-ხანი მიიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



*მამუკა ჭავჭავაძის კაჟიანი თოფი: მთლიანი სიგრძე — 154 სმ, ლულის სიგრძე — 118 სმ, ლულის შიდა ზედაპირი გლუვია და დიამეტრი 22 მმ-ია*





შაჰმაც იმერეთზე „უმჯობე“ სამეფოდ არჩილ შაჰ-ნაზარ-ხანს კახეთი მისცა. სპარსეთის კარზე დატრიალებული ინტრიგების გამო არჩილმა იძულებით ქართლ-კახეთი დატოვა და იმერეთს გადავიდა. თუმცა არც იქ ყოფილა არჩილ მეფისთვის მშვიდი მდგომარეობა და 20 წლის მანძილზე (1678-1698 წწ.) იმერეთის ტახტზე ოთხჯერ ავიდა და ოთხჯერვე დაათმობინეს.

1699 წელს რუსეთის გზას გაუდგა. გარდაიცვალა 1713 წლის 16 აპრილს, დაკრძალეს მისგანვე აღორძინებულ დონის მონასტერში, შვილების გვერდით. დაგვიტოვა დიდებული პოეტური მემკვიდრეობა „არჩილიანი“.

სამუზეუმო დავთარში ფითილიანი თოფი გატარებულია როგორც — „თოფი არჩილ მეფისა“. თოფი გლუვლულიანია და გველის თავის გამოსახულებით ბოლოვდება, გამოკვეთილია გველის ზედა და ქვედა ყბა, აქცენტირებულია თვალები. გველის თავი ოქრო-ზარნიშით შესრულებული ქერცლისებური ორნამენტებითაა მორთული. თოფს აქვს ჩახმახი, რომელიც ბერკეტის სახითაა წარმოდგენილი და S-ის ფორმისაა, დამზადებულია თითბრისაგან. კონდახი და ლარი ერთი მთლიანი ხისაა.

ეს თოფი საქართველოში „გველისტუჩას“ სახელწოდებით იყო ცნობილი, ეს დასტურდება როგორც წერილობითი წყაროებით, ასევე ეთნოგრაფიული მასალით.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, მსგავსი თოფები ოსმალური წარმომავლობისაა და XVI-XVII საუკუნეებით თარიღდება. ასეთი თოფები ნამდვილად სამეფო იარაღია, რასაც იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის ელჩების მიერ 1658 წელს რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძისადმი მიძღვნილი თოფი „გველისტუჩა“ ადასტურებს.

## მამუკა ჭავჭავაძის თოფი

1925 წელს ეთნოგრაფმა გიორგი ჩიტაიამ სოფელ ყვარლის ჭავჭავაძიანთ ეკლესიიდან კაჟიანი თოფი მუზეუმში ჩამოიტანა. როგორც თოფის ლულაზე არსებული ქართული წარწერიდან („ქ. მამუკა ჭავჭავაძის მოტანილი ვარ“) ირკვევა, იარაღი ეკლესიისათვის ყოფილა შეწირული. სიტყვა „მოტანილი“ ეკლესიაში მოტანას, ანუ შეწირვას უნდა გულისხმობდეს.

კაჟიანი თოფის ლულა შიდა სივრცით გლუვია, გარედან ნახევარი დაწახნაგებულია და ნახევარი — გლუვი. შუა წახნაგზე თითბრის ზარნიშით შესრულებულია ქართული წარწერა „ქ. მამუკა ჭავჭავაძის მოტანილი ვარ“. ჩახმახი მასიური და სადაა. კონდახი და ლარი ერთი მთლიანი ხის მასაა. კონდახს განივკვეთში ოვალური, ბრტყელი ფორმა აქვს, რაც აშკარად მიუთითებს, რომ ის არ არის ლულისა და ჩახმახის თანადროული. კონდახის ფორმიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, ის XIX საუკუნეში უნდა იყოს გამოცვლილი.

ახლა დავაზუსტოთ, ვინ არის მამუკა ჭავჭავაძე? იური ჩიქოვანის მიერ გამოკვლეული ჭავჭავაძეების გვარის გენეალოგიის მიხედვით, მამუკა ჭავჭავაძე არის ილიას დიდი პაპის (პაპის მამა), ბესპაზ ჭავჭავაძის პაპა (ილია, გრიგოლი, პაატა, ბესპაზი, ფარემუზი და მამუკა, შემდეგ — იასონი, გარსევანი, გიორგი და როშნია (1470 წ.) და ა.შ.).

ბესპაზი XVIII საუკუნის შუა ხანებში მოღვაწეობდა. მას თავი გამოუჩენია 1755 წელს ნურსალ-ბეგის წინააღმდეგ ბრძოლაში. გამოდის, ბესპაზის პაპა მამუკა დაახლოებით XVII საუკუნის II ნახევარში ცხოვრობდა. ამ ვარაუდს ადასტურებს წერილობითი წყაროც და თავად თოფის კონსტრუქციაც, რომელსაც XVII საუკუნის ლულა და ჩახმახი აქვს, ხოლო კონდახი გამოცვლილია და შედარებით გვიანაა გაკეთებული.

ამგვარად, ყვარლის ჭავჭავაძიანთ ეკლესიაში შეწირული თოფი, ილიას დიდი წინაპრის, მოლარეთუხუცესი მამუკა ჭავჭავაძის უნდა იყოს, რომელიც ლეკებთან ბრძოლას შეეწირა.

## გიორგი სააკაძის თოფი

გიორგი სიაუშის ძე სააკაძე, დიდი მოურავი, სოფელ ნოსტეში დაიბადა დაახლოებით 1570 წელს. გარდაიცვალა 1629 წლის 3 ოქტომბერს ალეპოში. იყო საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, მხედართმთავარი და სამხედრო სტრატეგი. სააკაძეს იმ დროისათვის შესაფერისი განათლება ჰქონდა მიღებული. იცოდა სპარსული და თურქული ენები. გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



*გიორგი სააკაძის თოფი: მთლიანი სიგრძე — 162 სმ, ლულის სიგრძე — 135 სმ, ლულის შიდა ზედაპირი გლუვია და დიამეტრი 16 მმ-ია*





ირჩეოდა სამხედრო საქმის დიდი ცოდნითა და განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭით. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა XVI საუკუნის 90-იან წლებში. სიმონ I-თან ერთად იბრძოდა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ, ხოლო 1600-1606 წლებში გიორგი X-ის თანამებრძოლი იყო.

სააკაძის სამხედრო და სახელმწიფოებრივი ნიჭი ლუარსაბ II-ის მეფობისას წარმოჩნდა. 1626 წელს სააკაძესა და თეიმურაზ I-ს შორის დაპირისპირებას ბაზალეთის ბრძოლა მოჰყვა, სადაც დამარცხდა, ოსმალეთში გადაიხვეწა და ერთ-ერთი ვილაიეთის მმართველად დაინიშნა. მისი მიზანი ოსმალთა დახმარებით სპარსეთის დამარცხება და საქართველოს გათავისუფლება იყო. ოსმალთაგან იმედგაცრუებულმა საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ დიდი ვეზირის, ხუსრევ-ფაშას ბრძანებით, სააკაძე, მისი ვაჟი ავთანდილი და 40-მდე მხლებელი შეიპყრეს და თავები მოჰკვეთეს.

სააკაძის თოფი ოსმალური ტიპისაა და ბალკანური თოფების ჯგუფს მიეკუთვნება. ძალიან დაზიანებულია.

თოფის ლულა გარედან დაწახნაგებულია, შიგნიდან კი გლუვი. ლულის ზედა წახნაგზე ლათინური ასოების კვალი მოჩანს, მაგრამ არ იკითხება. გვერდით წახნაგზე კი წრიული ფორმის დამღაა, რომელიც ასევე გაუშიფრავია. ლულა კონდახის ღარში სამი სალტით არის ჩამაგრებული. ღარის მთლიან სიგრძეზე ფრაგმენტულადაა შემორჩენილი თითბრის ინკრუსტაცია. ლულის კუდსა და სასხლეტ რკალთან თითქმის მთლიანად ამოცვენილია სადაფის ფირფიტები. კაჟიან ჩახმახს გვერდიდან მიკრული აქვს ვერცხლის ორნამენტირებული ფირფიტები. მსგავსი ჩახმახები ოსმალეთის გავლენის ქვეშ მყოფ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მზადდებოდა.

სამუზეუმო დავთრის მიხედვით, თოფი მუზეუმში შემოსულია ზურაბ კობიაშვილის კოლექციიდან, რომელიც მუზეუმმა 1926 წლის 20 ივნისს შეიძინა. სამუზეუმო დავთარში მითითებულია კოლექციონერის ცნობა: „გიორგი სააკაძისეული“, ხოლო ამავე დავთრის შენიშვნიდან ვიგებთ, რომ XIX საუკუნის 30-იან წლებში კოლექციონერის პაპას, ზურაბ კობიევს, ეს



*გიორგი სააკაძე*

თოფი ერთ-ერთი თარხან-მოურავისთვის ერთ ფაშატ ცხენსა და ორ მწევარში გაუცვლია.

როგორც აღვნიშნეთ, თოფი ოსმალური წარმომავლობისაა. სამეცნიერო ლიტერატურაში მსგავსი იარაღი დათარიღებულია XVIII-XIX საუკუნეებით. მიუხედავად ამისა, იმავე ლიტერატურაში მოყვანილია ალბანური თოფების ჯგუფი, რომელთა ლულები სააკაძისეული თოფის ლულის მსგავსია და XVII საუკუნით თარიღდება. პრობლემის გასაღები თოფის ლულის წარწერების გაშიფვრაშია, რაც შემდგომი კვლევის უმთავრესი მიზანია. ამჯერად კი წინამდებარე თოფის „გიორგი სააკაძისეულად“ მიჩნევა მხოლოდ კოლექციონერის გადმოცემით დასტურდება.

**მამუკა ქაფიანიძე**
**საქართველოს ეროვნული მუზეუმის, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის იარაღისა და ძვირფასი ლითონების ფონდის კურატორი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გასაოცარი აბჯარი

წიგნიდან „500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან“, პალიტრა L



**262** ყველა სამურაის ეცვა აბჯარი. 1500-იანი წლებისთვის აბჯრის სტანდარტული სახეობა იყო გავრცელებული. მას ტყავის ან ლითონის პატარა ნაჭრებისგან ამზადებდნენ. აბჯრის თითოეული ნაწილი მეორეზე მაგრდებოდა. აბჯარასხმული სამურაი უსაფრთხოდ გრძნობდა თავს.

**263** სამურაის მუზარადს კაბუტო ეწოდებოდა. სანამ მუზარადს დაიხურავდა, სამურაი თმას უკან გადაივარცხნიდა და თავზე ქსოვილის ნაჭერს იხვევდა, რათა რბილი შუასადებით შევსო ადგილი თავსა და მუზარადს შორის. მუზარადი მძიმე იყო და რომ არ გადავარდნოდათ, ნიკაპქვეშ იმაგრებდნენ.

▼ მუზარადი ლითონის რამდენიმე ნაჭრისგან მზადდებოდა. ის უხვად იყო დეკორირებული.



დაახლ. 1580 წ.



ადრეული XVII ს.



XVIII ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



◄ ზოგიერთ ნიღაბს დიდ ულვაშსაც ამაგრებდნენ, რომ მის პატრონს შემაძრწუნებელი იერი ჰქონოდა



► XVIII საუკუნის აბჯარი, ედოს პერიოდი

**264** სამურაების უმეტესობა ბრძოლაში შეუნიღბავი სახით მიდიოდა. ზოგიერთი კი ატარებდა სახის ნიღაბს, ანუ მემპოს, რომელიც მთელ სახეს ან მხოლოდ ნიკაპს, ლოყებს, პირსა და ცხვირს ფარავდა. ნიღაბი, როგორც წესი, მოხატული იყო და პირს ისეთი ფორმა ჰქონდა მიცემული, თითქოს მეომარი ღრიალებდა.

**265** სამურაის აბჯარს საგულდაგულოდ აპრიალებდნენ. თითოეულ ნაწილს ლაქით ფარავდნენ. ამით აბჯარი არა მარტო თვალში საცემი, არამედ გამძლეც ხდებოდა. ხუთი „იღბლიანი“ ფერი იყო: წითელი, ლურჯი, ყვითელი, შავი და თეთრი.



**266** 1500-იან წლებში გაძლიერებულ ლის კლანის სამურაებს „წითელ ეშმაკებს“ ეძახდნენ. მათი აბჯარი წითლად იყო გალაქული და ამიტომ მათი შემჩნევა უმალ შეიძლებოდა. წითელი ფერი იმიტომ აირჩიეს, რომ უფრო მრისხანე იერი ჰქონოდათ, ამასთან, სხვა არც ერთი კლანი არ ატარებდა ამ ფერს.

# ტანსაცმელი და საკვები

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნიდან „500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან", პალიტრა L

**267** სამურაის ყოველდღიური სამოსი კიმონო იყო, — გრძელი, ფართოსახელოებიანი ხალათი, რომელსაც წელზე ქამრით იკრავდნენ. კიმონოს ქვეშ ჰაკამას (ფართო შარვალს), ფეხზე კი წინდებსა და ქოშებს იცვამდა. კატანა (ხმალი) ქამარში ჰქონდა გაყრილი.




► სამურაი ყოველდღიურ სამოსში. ის მშვიდობიანობის დროსაც ხმალს ატარებდა.



▲ სამურაი გადაპარსული თავით. დარჩენილი თმა უკან აქვს შეკრული.

**268** სამურაის თმაც კოხტად უნდა დაევარცხნა. სირცხვილად ითვლებოდა გაჩეჩილი თმით სიარული. 1500-იან წლებში სამურაებმა თავის წინა ნაწილის გადაპარსვა დაიწყეს. ეს ბრძოლაში მუზარადის ტარებას უადვილებდათ. თმას უკან ვარცხნიდნენ და იკრავდნენ.



## დაუჯერებელია!



ტოკუგავა ლეიასუს, ტოკუგავას კლანის წინამძღოლს 1500-იან წლებში, არ მოსწონდა გადაპარსული თავი, — მოკვეთის შემდეგ საზარელი სანახავიაო.

ელექტრონული ბიბლიოთეკა




**269** ბრინჯი მთავარი საკვები იყო იაპონიაში. მას ჭამდნენ მოხარშულს და ჩაშუშულს, მისი ფქვილისგან აცხობდნენ ნამცხვრებსაც. უხვად ჭამდნენ თევზეულს, ღორის, ტახისა და კურდღლის ხორცს. სამურაის ბრძოლაში საგზლად ბრინჯის ულუფები მიჰქონდა. თუ მტრის ბანაკს ან სოფელს აიღებდნენ, მაშინ მათ სურსათს ჭამდნენ.

◄ გლეხი მეთაურ სამურაის ჯარისთვის ნესვებს სთავაზობს. ლაშქრობაში ხილი მეომრებისთვის სასარგებლო იყო.

▼ ასიგარუს ლითონის მუზარადი იცავდა კიდეც და ბრინჯის მოსახარშადაც გამოდგებოდა.

**270** ბრძოლის წინ სამურაები ერთად სადილობდნენ. ეს იყო მეომრების დაახლოების საშუალება ბრძოლის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე.

**271** მუზარადს მხოლოდ თავდაცვის მიზნით როდი იყენებდნენ. ზოგიერთი ქვეითი (ასიგარუ) თავის მუზარადს ქვაბადაც იყენებდა, — შიგ ბრინჯს ხარშავდნენ. ხანდახან მუზარადში რამდენიმე კაცის სადილიც იხარშებოდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა

შეიარაღებული დაპირისპირება კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის (კდრ) არმიისა და „23 მარტის მოძრაობის“ (მ23) რაზმს (რომლის შემადგენლობაში არიან კონგოს ტუტსის ტომის ყოფილი აჯანყებულები, რომლებიც ადრე შედიოდნენ დაჯგუფებაში „ხალხის დაცვის ეროვნული კონგრესი“) შორის 2012 წლიდან დაიწყო. მაშინ აპრილში 500-მდე სამხედრო მოსამსახურემ პროტესტის ნიშნად დატოვა ჯარი. — მათი აზრით, მთავრობას არ შეუსრულებია 2009 წელს მიღწეული შეთანხმებები.

საქმე ის არის, რომ 2009 წლისს 23 მაისს დადებული შეთანხმება ითვალისწინებდა ქვეყნის ჯარში აჯანყებულთა ინტეგრაციას და მათი ლიდერების სახელმწიფო პოსტებზე დანიშვნას. ასევე ითხოვდნენ ყველა პოლიტპატიმრის გათავისუფლებას, საარჩევნო კომისიის დაშლას, რომელიც, მათი აზრით, პასუხისმგებელია 2011 წლის გაყალბებულ არჩევნებზე, და მოლაპარაკებების დაწყებას ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით. შარშანდელი აპრილიდან M23-ს თავის რიგებში უკვე 2,5-3 ათას კაცამდე ჰყავდა.

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა აფრიკის ყველაზე დიდი ქვეყანაა. აქ 300 ტომზე მეტი ცხოვრობს. ისტორიულად ქვეყნის შემადგენლობაში შედიან სრულიად განსხვავებული რეგიონები, რომლებიც არც წინაკოლონიურ პერიოდში ყოფილან გაერთიანებული და ცენტრი, არც ბელგიელი კოლონიზატორების დროს და არც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ეფექტურად ვერასოდეს მართავდა.

სხვა საქმეა აღმოსავლეთი, სადაც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან არ წყდება შეიარაღებული კონფლიქტი. ბანიამულენგეს (ტუტსის ტომის წარმომადგენლები) აჯანყება, ზაირის (ახლანდელი კონგო)




დიქტატორის მობუტუს ჩამოგდება, ბანიამულენგეს სამხედროების და ტუტსის აჯანყება კონგოს ჯარში, რომელიც გადაიზარდა ომში აფრიკის 10 ქვეყნის მონაწილეობით, შერიგება და გაეროს კონტინგენტის შეყვანა, პარტიზანთა აქტიურობა აღმოსავლეთში — ყოველივე ამან, სხვადასხვა მონაცემით, 6-10 მილიონამდე კაცის სიცოცხლე შეიწირა.

საერთაშორისო ექსპერტების აზრით, ამ დაუმთავრებელი სისხლის ღვრის მიზეზია კონგოს აღმოსავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეთში „ჩამარხული“ სიმდიდრის — ალმასის, ოქროს, სპილენძის, კობალტის (50% მსოფლიოში), ვოლფრამისა (80%) და განსაკუთრებით კოლტანის — კოლუმბიტ-ტანტალიტის უმდიდრესი მარაგი. უშუალოდ კოლტანი გახდა ბრძოლის მიზეზი კდრ-ს, აჯანყებულთა და მათ უცხოელ მოკავშირეებს შორის. მობუტუ, მოგვიანებით კი უგანდისა და რუანდის ლიდერები, აშშ-ისა და ბელგიის მხარდაჭერით სარგებლობდნენ. კონგოლეზელ გენერალ ნკუნდას მეამბოხეებსა და მათ მიმდევრებს, კლინტონების წყვილთან დაკავშირებული ამერიკული სამთო-სამრეწველო კომპანია „ამერიკენ მინერელ ფილდს“ აფინანსებდა.

2011 წლის ბოლოს სამთავრობო ჯარმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია M23-ის ბოევიკებს და მათ ხელში გადავიდა პროვინცია ჩრდილო კივუს ნაწილი და მისი დედაქალაქი გომა რუანდასთან საზღვარზე, რომელიც წარმოადგენს მსხვილ გადამამუშავებელ და სატრანზიტო ცენტრს, საიდანაც მეზობელი რუანდის გავლით მიდის მინერალების ექსპორტი კონგოდან. 2003 წელს აჯანყებულებმა პირველად დაიკავეს ქალაქი გომა. 2008 წელს კი ამჟამად დაშლილი დაჯგუფება „ხალხთა დაცვის ეროვნული კონგრესიც“ მიუახლოვდა ქალაქს, მაგრამ იერიშზე არ გადასულა. მაშინ რესპუბლიკის მთავრობა დათანხმდა აჯანყებულებთან მოლაპარაკებაზე, რაც „23 მარტის შეთანხმების“ დადებით დასრულდა. მაგრამ ამჯერად ყველაფერი სხვაგვარად მოხდა, თანაც 19-ათასკაციანმა გაეროს მისიამ კდრ-ში სტაბილიზაციისთვის ვერ მოახერხა ბოევიკების შეჩერება, რადგან სამშვიდობოებს ოფიციალურად აკრძალული ჰქონდათ საბრძოლო შეტაკებები აჯანყებულებთან.

ოფიციალური კინშასის ცნობით, დაჯგუფება M23-მა გომიდან გამოდევნეს არა მარტო სუსტი სამთავრობო ძალები, არამედ გაეროს სამშვიდობო ძალებიც. ეს რუანდის სამთავრობო არმიის სამხედრო მრჩევლების დამსახურებაა. კდრ-მა რუანდა აგრესიასა და უკანასკნელ წლებში მინერალური რესურსებით მდიდარი რესპუბლიკის აღმოსავლეთ რეგიონებში სიტუაციის დესტაბილიზაციის მცდელობაში დაადანაშაულა. დასავლური ექსპერტების მონაცემებით, აჯანყებულთა მეშვეობით რუანდა ცდილობს კდრ-თან საზღვარზე ბუფერული ზონის შექმნას ვაჭრობისა და პროვინცია ჩრდილო კივუში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების გასაკონტროლებლად.

გაეროს ინფორმაციით, ამ პროვინციაში შარშან გაჩაღებულმა სამხედრო მოქმედებებმა 900 ათასი მშვიდობიანი მოსახლე აიძულა, ქვეყნიდან წასულიყო. აქედან გამომდინარე, გადაადგილებულ პირთა რიცხოვნობამ კდრ-ის აღმოსავლეთში უკვე 2.6 მლნ კაცს მიაღწია.

2013 წლის თებერვალში აფრიკის 7 ქვეყნის (კდრ, კონგოს რესპუბლიკა, მოზამბიკი, რუანდა, ტანზანია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა (სარ) და სამხრეთი სუდანი) ლიდერებმა გაეროს შუამდგომლობით ხელი მოაწერეს შეთანხმებას კდრ-ს აღმოსავლეთში შეიარაღებული კონფლიქტის შეწყვეტის თაობაზე. სამშვიდობო გეგმა ითვალისწინებდა საერთაშორისო ძალების, კერძოდ, 4000-კაციანი ოპერატიული ჩარევის ბრიგადის დახმარებას კონგოლეზური ჯარებისთვის აჯანყებულებთან ბრძოლაში. ზოგმა ექსპერტმა მას სწრაფი


დაუსრულებელი სამოქალაქო ომი
და ლტოლვილთა ნაკადები

რეაგირების ბრიგადა უწოდა, ზოგმა კი ინტერვენციის ბრიგადა. ეს ფორმირება დაკომპლექტებულია 3 ქვეითი ბატალიონით, საარტილერიო ბატარეით, სპეცდანიშნულებისა და დაზვერვის ასეულით. კდრ-ს დაეხმარებიან ცოცხალი ძალით მალავი, ტანზანია და სარ-იც. გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, ბრიგადას აჯანყებულების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების უფლება აქვს.

როგორც M23-ის წევრებმა განაცხადეს, საერთაშორისო ბრიგადის საქმიანობას შეიძლება საბრძოლო მოქმედებების პროვოცირება მოჰყვეს. და ასეც მოხდა, ქვეყნის აღმოსავლეთში ისევ დაიწყო ბრძოლები. ექსპერტთა უმეტესობის აზრით, მხოლოდ ინტერვენციებით კდრ-ს პრობლემა ვერ გადაწყდება. ამისთვის საჭიროა დაპირისპირებულ მხარეთა კეთილი ნება.

**მოამზადა ვიქტორია ვაზაგაშვილმა**


კონგოელი მეამბოხეები ნაალაფარ
შეიარაღებას ათვალიერებენ

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# მონღოლი მეომრები

XIII საუკუნეში მსოფლიო შეაძრწუნა უცნობი ხალხის — მონღოლების გამოჩენამ. მონღოლი მეომრების ბრძოლის სტილის, ტაქტიკისა თუ ხერხების წინაშე უძლური აღმოჩნდა მაშინდელი სახელოვანი არმიები მრავალნაცადი მხედართმთავრებით. მათი სამხედრო გამარჯვებები იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ზოგიერთი მემატიანე მონღოლ მეომრებს ჩვეულებრივ ხალხად კი არა, ღვთის სასჯელად თვლიდა.

არადა, XIII საუკუნემდე მონღოლებს სახელმწიფოსთან მიახლოებული წყობაც არ ჰქონიათ. განვითარების უმდაბლეს საფეხურზე იყვნენ, დაქსაქსული და ერთმანეთზე გადამტერებული მრავალი ტომისგან შედგებოდნენ. ცხოვრობდნენ ბაიკალის ტბის, მდინარეების — ირტიშისა და ენისეის, ალთაის მთებსა და ჩინეთის დიდ კედლის შორის მდებარე ფართო ველებსა და ტრამალებზე, სადაც მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. მათთვის უცხო იყო დამწერლობა და მიწათმოქმედება ან ცივილიზაციის რაიმე ფორმა. თავს ნადირობითა და მესაქონლეობით ირჩენდნენ.

არც ლეგენდარულ სამხედროსა და მონღოლთა იმპერიის ფუძემდებელ თემუჩინს უწინასწარმეტყველებდა ვინმე დიდ მომავალს. პირიქით, მისმა ახალგაზრდობამ ტანჯვასა და არსებობისათვის ბრძოლაში გაიარა, თემუჩინს საკუთარ ოჯახშიც კი მოუწია ძალაუფლებისათვის ბრძოლამ, რასაც უფროსი ნახევარძმა ემსხვერპლა, ტომში ის დამნაშავედ იქცა და წლების განმავლობაში უუფლებო მონად ითვლებოდა.

თემუჩინმა ტყვეობას გაქცევით დააღწია თავი და ძლიერი მონღოლური ტომის, კერაიდების ბელადს, უან-ყაენს შეეკედლა. უან-ყაენისა და ძმადნაფიც ჯამუკას ჩრდილში თემუჩინი მონღოლი ტომების სისხლიან ბრძოლებში ჩაება.

ტომთა შორის ოცწლიანმა ომმა თემუჩინს გამოცდილება და დიდება მოუტანა. მისი ავტორიტეტი დღითი დღე იზრდებოდა. სახელი გაითქვა როგორც უმამაცესმა მეომარმა და მმართველმა, გარშემო მრავალი მომხრე შემოიკრიბა და ჯამუკას გავლენა დაჩრდილა. ამის გამო ძმადნაფიცები მოსისხლე მტრებად იქცნენ.

თემუჩინმა ზედიზედ დაიმორჩილა ყველა მონღოლური ტომი. საბოლოოდ ყველა ტომმა და გვარმა თემუჩინის ძალაუფლება აღიარა. უბრალო მეომარი, მცირე გვარის ხელმძღვანელი, ჯერ სამხედრო მეთაურად, შემდეგ გაერთიანებული ტომების მთავარსარდლად და ბოლოს წინამძღოლად იქცა.

1206 წელს თემუჩინმა ყველა მონღოლური ტომის ბელადთა საერთო-სახალხო კრება — ყურულთაი მოიწვია, სადაც ბელადებმა ის წინამძღოლად აირჩიეს და ჩინგიზ-ყაენი უწოდეს.

ახალმა ყაენმა მოსპო ტომების დასახელებები და ყველა მონღოლური წარმომავლობის ტომს საერთო სახელი — „დიდი მონღოლი ხალხი“ უწოდა. აქედან დაიწყო მსოფლიოს სამხედრო ისტორიაში, ალბათ, ერთ-ერთი მრისხანე ძალის — მონღოლთა არმიის ისტორიაც.

1211 წლიდან მონღოლების პირველი სამიზნე ჩინეთის ტერიტორიები გახდა და 1219 წლისთვის ქვეყნის უდიდესი ნაწილი უკვე დაპყრობილი ჰქონდათ.

ველური მონღოლი ტომები უმდიდრეს იმპერიად იქცნენ. თუმცა, მათთვის ყველაზე დიდი მიღწევა ის იყო, რომ ეზიარნენ ჩინურ სამხედრო ხელოვნებასა და ცოდნას.

ჩინგიზ-ყაენს ერთგული და ამტანი, თუმცა არაპროფესიონალი ჯარისკაცები ჰყავდა. მონღოლებს მხოლოდ სამი რამ შეეძლოთ: ბრძოლა, ნადირობა და მწყემსვა. ამიტომ ჩინგიზ-ყაენი არმიის გასაძლიერებლად სამხედრო ტყვეებსაც იყენებდა. თავის სამხედრო სისტემაში ჩააბა ათასობით ჩინელი სამხედრო ინჟინერი, ექიმი, ადმინისტრატორი, საალყო საქმისა და სამხედრო არქიტექტურის სპეციალისტი. სტეპების მეომრების ტაქტიკა შეერწყა ჩინურ სამხედრო ინტელექტსა და სამეცნიერო მიღწევებს, რის საფუძველზეც უძლიერესი არმია შეიქმნა.

პირველი, რაც ჩინგიზ-ყაენმა შემოიღო, იყო არმიის შენაერთებად დაყოფა. 15-დან 60-წლამდე ყველა ბრძოლისუნარიანი მონღოლი 10-ათასიან შენაერთებში — დუმანებში გადანაწილდა. თავის მხრივ, დუმანები ათასეულებად — მინგანებად იყოფოდა. ეს უკანასკნელი კი ასეულების, ანუ ძაგუნებისგან შედგებოდა. უმცირეს დანაყოფად კი ათეულები, ანუ არბანები ითვლებოდა. ყველა დუმნის განუყოფელი ნაწილი იყო სამხედრო სპეციალისტების, ინჟინრებისა და ჩინელი ექიმების დანაყოფები.

არბანების, ძაგუნების, მინგანების მეთაურებს მეომრები კენჭისყრით ირჩევდნენ, ხოლო დუმნების მეთაურებს უმაღლესი კრება — ყურულთაი ნიშნავდა. დუმნის მეთაურს სხვადასხვა ღირსებასთან ერთად აუცილებლად სამხედრო სამსახურის ყველა საფეხური უნდა ჰქონოდა გავლილი.

ჩინგიზმა ყველა ნიჭიერ მონღოლ მეომარს წარმომავლობის მიუხედავად, გზა გაუხსნა უმაღლესი სარდლობისაკენ. ჯარში უმკაცრესი დისციპლინა დაამკვიდრა. თუ ათეულიდან ერთი მეომარი სამარცხვინოდ გამოიქცეოდა, ან მეომარი ტყვედ ჩავარდებოდა და მას თანამებრძოლები მიატოვებდნენ, მთელი ათეული, ანუ არბანი სიკვდილით ისჯებოდა.

დეზერტირებთან ერთად სიკვდილით ისჯებოდნენ ხარბი მეომრები. ყველა მებრძოლი და მეთაური ვალდებული იყო, უმცირესი ნადავლიც კი გამოეჩინა. საკუთარ წილს ლაშქრობის შემდეგ ყველა იღებდა, მათ შორის ბრძოლაში დაღუპული მებრძოლების ოჯახებიც. ეს სიახლე მონღოლების შემართებას მნიშვნელოვნად ზრდიდა, რადგან სიკვდილის შემდეგაც მათ ოჯახებზე მონღოლური კანონმდებლობა ზრუნავდა.

მონღოლთა მთავარი ღირსება ლაშქრობების სისწრაფე იყო. იმ პერიოდის სხვა არმიები შორეულ ლაშქრობებში გრძელ სალაშქრო კოლონებად მიდიოდნენ. მათ თან დაჰქონდათ უზარმაზარი საფურაჟე მარაგი, საალყო ტექნიკა და ჯარისათვის საჭირო სხვა საშუალებები. დაბანაკებას, საკვების მომზადებასა და შესვენებას დიდი დრო მიჰქონდა, ამიტომ არმიები ნელა მოძრაობდნენ. ხმაურის და ათასობით ანთებული კოცონის გამოც მოწინააღმდეგის დაზვერვა თითქმის ყოველთვის ასწრებდა მომზადებას და ჯარების ორგანიზებას.

მონღოლები ლაშქრობდნენ ალალისა და საფურაჟე მარაგის გარეშე, თან დაჰქონდათ მხოლოდ იარაღი და აუცილებელი საგნები, ხოლო საალყო ტექნიკისა და სატყორცნი მანქანების ნაცვლად თან დაჰყავდათ ჩინელი ინჟინრები და მათი დახმარებით ყველაფერს ბრძოლის წინ ამზადებდნენ.

მონღოლებს ლაშქრობაში დიდძალი სათადარიგო ცხენი მიჰყავდათ, გზაში ხშირად ასვენებდნენ და თან ცხენებს იცვლიდნენ. ასეთი მეთოდით ჯარს ყოველთვის შეეძლო 10-15 დღე შეუსვენებლად ევლო, შესასვენებლად ან საჭმელად არ გაჩერებულიყო. მეომრები პირდაპირ უნაგირზე ნაყრდებოდნენ, გზადაგზა ნადირობდნენ კიდეც, ხოცავდნენ გადაღლილ ცხენებს და ცეცხლზე ხორცის მოსამზადებელი დრო თუ არ რჩებოდათ, ხორცის ნაჭრებს უნაგირქვეშ ამოიდებდნენ და დაბეჟილ ხორცს უმად ჭამდნენ.

მონღოლებისათვის გამოუვალ სიტუაციაში ნებისმიერი „მენიუ" მისაღები იყო. ჭამდნენ ყველაფერს, რისი შეჭმაც ან დაღეჭვაც შეიძლებოდა — ფრინველის კვერცხებს, ავადმყოფ ცხენებს, მკვდარ ცხოველებს, მცენარეთა ფესვებს, ვირთხებს, თაგვებს, ქვეწარმავლებს.

XII საუკუნის მემატიანეები წერენ, რომ მონღოლები ადამიანის ხორცსაც „მიირთმევდნენ". ეს ცნობები, ალბათ, გადაჭარბებულია, თუმცა მათი ფსიქიკიდან და ცხოვრების სტილიდან გამომდინარე, მონღოლებში კანიბალიზმი გასაკვირი ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო.

უწყლო ტერიტორიებზე მონღოლი მეომრისთვის ცხენის სისხლით წყურვილის მოკვლა ასევე ჩვეულებრივი მოვლენა იყო. გამოთვლილია, ერთი ასეთი სწრაფი მარშით მონღოლებს 10 დღეში შეეძლოთ იმდენი მანძილი დაეფარათ, რამდენსაც იმ დროს არსებული ნებისმიერი არმია მინიმუმ 2 თვეს მოანდომებდა.

მონღოლების ტაქტიკა და სტრატეგია იმდენად მრავალფეროვანი იყო, იმდენნაირ ხრიკსა და მოქმედებაზე აგებული, რომ მათ წინააღმდეგ მებრძოლი მრავალნაცადი სარდლები ამაოდ იტეხდნენ თავს, თუ როგორი წყობით შეიძლებოდა შებრძოლებოდნენ.

მონღოლები იშვიათად იყენებდნენ ორჯერ ერთსა და იმავე ტაქტიკას. „ცხენზე გაზრდილებს" მთელი ცხოვრება მშვილდოსნობასა და



*XIII საუკუნეში მონღოლთა ლაშქრობებმა მსოფლიო შეაძრწუნა*

მომთაბარეობაში ჰქონდათ გატარებული. ისრებით ვირთხებსა და ზაზუნებზეც კი უწევდათ ნადირობა — თანამედროვე შეფარდებით ეს იგივეა, სნაიპერული შაშხანით პეპლებსა და მწერებზე რომ ინადირო! მათ შეეძლოთ გაჭენებული სროლით წუთში 10-12 ისრის გასროლა და მოწინააღმდეგის 120-150 მეტრზე დაზიანება.

მონღოლები იყენებდნენ ცრუ უკან დახევებს. უკან დახევისას ცხენებზე გადაწოლილი ისრების სროლა მონღოლების ერთ-ერთი დიდი და სხვისთვის შეუძლებელი ტრიუკი იყო.

ხშირად ჯარის ერთი ნაწილი ცრუ უკან დახევას იწყებდა, მოწინააღმდეგე გამოედევნებოდა და ჩასაფრებაში ექცეოდა. ცხენს ამოკრული მონღოლები პირდაპირ თავისიანების ისრებქვეშ უკან იხევდნენ.

ათასობით ისრისაგან მოწინააღმდეგე დიდ დანაკარგს იღებდა. თუკი ვინმე მაინც გადარჩებოდა, მას ბრძოლა მონღოლ შუბოსნებთან უწევდა. რამდენიმე საათის, ხშირად კი დღეების ბრძოლის შემდგომ, მოწინაალმდეგის ცხენები ბრძოლისუუნარონი ხდებოდნენ. ამ დროს კი ვითომ უკანდახეული მონღოლები სამარქაფო, დასვენებულ ცხენებზე გადასხდებოდნენ და უკვე გადაღლილ-დაფანტულ მოწინააღმდეგეს ანადგურებდნენ.

იყენებდნენ მოტყუების ხერხებსაც. მაგალითად, ცხენებზე სვამდნენ ათასობით მანეკენს, ან ქალებსა და ბავშვებს, მოჩვენებითი ლაშქრობის მარშრუტს დაგეგმავდნენ, ყველას დასანახავად სვლას იწყებდნენ და შემდეგ შუა გზიდან მიმართულებას იცვლიდნენ. მოწინააღმდეგეს იმ მხრიდან ესხმოდნენ, საიდანაც არ ელოდა.

მათი გამოჩენა ყველასთვის იმდენად საშინელი იყო, რომ ჯარების შეკრებასა და ციხესიმაგრეთა გამაგრებას იშვიათად ასწრებდნენ. ამიტომაც მონღოლები გამარჯვებას მეტწილად ადვილად აღწევდნენ. თუ ციხესიმაგრე დამორჩილებაზე უარს იტყოდა, მაშინ ალყაზე გადადიოდნენ.



*მონღოლი მეომრები მშვილდისრებით ვირთხებსა და ზაზუნებზე ნადირობით თავიანთ ოსტატობას იმაღლებდნენ*

სრული იზოლაცია, შიმშილი და ფსიქოლოგიური ზეწოლა საქმეს თუ არ შველოდა, ციხესიმაგრეზე მასირებული შეტევები იწყებოდა.

როგორც უკვე ითქვა, მონღოლებმა შეისისხლხორცეს და განავითარეს მანამდე არსებული სამხედრო ხელოვნება, ხოლო ჩინელების დახმარებით საალყო კოშკების, ტარანების, კატაპულტებისა და სხვა საშუალებათა დამზადება აითვისეს.

მონღოლი მეომრები გალავნებს სატყორცნი იარაღით ჯერ ლოდებით, დიდი ისრებითა და ცეცხლგამჩენი თიხის „ჭურვებით" (მასში ცხოველის ცხიმები, ფისი და სხვა აალებადი მასალა იყო შერეული) ამუშავებდნენ, ხოლო შემდეგ კი იერიშს რამდენიმე მხრიდან ერთდროულად იწყებდნენ.

წინა „ფარს" ადგილობრივი დატყვევებული მოსახლეობა ქმნიდა. ისინი მონღოლებს ისრებისა და სხვა იარაღისაგან იფარავდნენ, თან საკუთარი გვამებით თხრილებს ავსებდნენ.

ჩინგიზ-ყაენის ბრძანებით ურჩი და დიდი წინააღმდეგობის გამწევი ციხე-ქალაქები საშინლად ისჯებოდა — ყველა ბრძოლისუნარიან კაცს კლავდნენ, ქალებსა და ბავშვებს ატყვევებდნენ, მაგრამ ნებისმიერი საქმის პროფესიონალსა და ხელოსანს მონღოლეთში გზავნიდნენ.

მონღოლებს არ ჰქონიათ რაიმე განსაკუთრებული შეიარაღება და ხშირად ხარისხითაც მოწინააღმდეგესას ჩამოუვარდებოდა.

ჩინეთის სამხედრო კამპანიამდე მათ შეიარაღებაში ისევ ძვლისბუნიკიანი ისრები, ხის ფარები და ტყავის აბჯრები იყო. იმ დროისათვის თანამედროვე ფოლადის მახვილები, აბჯრები და საჭურველიც მოგვიანებით გაჩნდა, მაგრამ მძიმე აღჭურვილობა მონღოლებში ვერ დამკვიდრდა. აბჯრები მხოლოდ უმაღლესი რანგის მეთაურებს, ან ყაენების და ყურულთაის დაცვის წევრებს ემოსათ.

მაშინდელი მემატიანეები საკუთარი არმიების დამარცხებათა გასამართლებლად მონღოლთა არმიის მრავალრიცხოვნობას იმიზეზებდნენ, არადა, მონღოლებს არასოდეს უბრძოლიათ „ასტრონომიული" რაოდენობის არმიებით. მათი გამარჯვებებიდან იშვიათად მოიძებნება ისეთი ბრძოლა, სადაც მონღოლები მოწინააღმდეგეს რაოდენობრივად აღემატებოდნენ.

ცხენოსან-მშვილდოსნების გარდა, მონღოლი მეომრები არც სხვა ინდივიდუალური თვისებებით აღემატებოდნენ სხვა ქვეყნის მეომრებს. მონღოლებს უჭირდათ ფარიკაობა და ხმალთაკვეთება, სუსტები იყვნენ ქვეით ბრძოლაში, ამიტომ ისინი ყოველთვის ცდილობდენ მოწინააღმდეგესთან დისტანციური ბრძოლები ცხენზე ამხედრებულებს ეწარმოებინათ. მათი საყვარელი ტაქტიკა იყო „ესროლე და გაიქეცი".

მათი ტაქტიკა, სტრატეგია, ფსიქოლოგია, საბრძოლო მოტივაცია, ბრძოლის მეთოდები და გადაადგილების ტემპი, უპირველესად კი უპრეტენზიობა და გასაოცარი ამტანობა, სხვა ქვეყნის მეომრებისთვის შეუძლებელი იყო...

P.S. ველურმა მონღოლმა მეომრებმა 25 წელიწადში იმაზე მეტი ტერიტორიები დაიპყრეს, ვიდრე სახელოვანმა რომის არმიამ ოთხ საუკუნეში!

**გიორგი ბერიძე**

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# ჩეხური ავტომატი ასპარეზზე გამოდის

## ჩეხეთის არმიის სამხედროები მსოფლიოში უახლესი და ერთ-ერთი საუკეთესო ავტომატური შაშხანა CZ805 BREN-ებით იარაღდებიან

ჩეხოსლოვაკია 20 წლის წინ, 1993 წლის 1-ელ იანვარს, მშვიდობიანად გაიყო ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ჩეხეთად და სლოვაკეთად.

ექვსი წლის შემდეგ, 1999 წელს, ჩეხეთი NATO-ს სრულუფლებიანი წევრი გახდა, თუმცა მისი არმიის შეიარაღებაში დღესაც არის CZ SA Vz-58 ტიპის ავტომატები, რომლებიც საბჭოთა სტანდარტის 7,62X39 მმ კალიბრის ვაზნებზეა გათვლილი.

სხვათა შორის, NATO-ში ჩეხეთის გაწევრების წინ არავის მოუთხოვია ამ ქვეყნის არმიის მეთაურობისთვის, რომ საბჭოთა „კალაშნიკოვის“ ანალოგი ავტომატები მაინცდამაინც ამერიკული M16-ებითა ან M4-ებით ჩაენაცვლებინა (ეს არის პასუხი იმ ყოფილი ქართველი ჩინოვნიკებისთვის, ვინც ამტკიცებდა, რომ NATO-ში მანამ არ მიგვიღებენ, სანამ რუსულ „კალაშნიკოვებს“ ამერიკული ავტომატური შაშხანებით არ ჩავანაცვლებთო).

მხოლოდ 2009 წელს, NATO-ში გაწევრებიდან მეათე წლისთავზე ჩეხმა კონსტრუქტორებმა პირველად საჯაროდ წარმოადგინეს მათი ახალი ნამუშევარი — ავტომატი (ავტომატური საიერიშო შაშხანა CZ805 BREN-ი.

მომდევნო წელს ჩეხეთის თავდაცვის სამინისტრომ სხვადასხვა მოდიფიკაციის 8 ათასამდე ახალი ავტომატი შეუკვეთა, რითაც დაადასტურა მტკიცე გადაწყვეტილება CZ805-ების შეიარაღებაში მიღებისა.



*მოძველებული CZ SA Vz-58-ი და ახალი CZ805 BREN-ი*

ახალი ავტომატების პირველი პარტია გადაეცა ჩეხეთის არმიის 42-ე და 72-ე მექანიზებულ ბატალიონებს, რომლებმაც მისი საბრძოლო გამოცდა ავღანეთში, ISAF-ის მისიაში განახორციელეს.

სიტყვა BREN ახალი ჩეხური ავტომატის დასახელებაში ტრადიციის ერთგვარი გაგრძელებაა. სწორედ ასე ერქვა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილ ცნობილ ჩეხურ ხელის ტყვიამფრქვევ ZB26-ს. BREN-ი



ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნის CZ805 G1-ის სიგრძე (კონდახის გარეშე) 413 მმ-ია, მასა კი 2,23 კგ. წერტილოვან სამიზნეებზე სროლის ეფექტური მანძილი 150 მ-მდეა, გაშლილი სამიზნეების მიმართულებით კი 350 მ.



ჩეხებმა ახალი ავტომატი ავღანეთში გამოსცადეს

წარმოადგენს ჩეხური ქალაქ ბრნოსა (სადაც შეიქმნა ეს ტყვიამფრქვევი) და ბრიტანული ქალაქ ენფილდის (სადაც სერიულად იწარმოებოდა) სახელების სიმბიოზს.

დღევანდელი ახალი ჩეხური ავტომატი CZ805 BREN-ს, რომელიც თანამედროვე ბელგიური ავტომატ FN SCAR-ის ღირსეული მეტოქეა.

ისევე როგორც ბელგიური, ჩეხური ავტომატიც გამოირჩევა XXI საუკუნის იარაღისთვის დამახასიათებელი მთავარი თვისებით — მოდულური კონსტრუქციით, რომლისაც საველე პირობებში რამდენიმე წუთში შეიძლება არა მარტო იარაღის ლულის სიგრძის, არამედ კალიბრის შეცვლა.

CZ805 BREN-ის ტიპის ავტომატის სამი ვარიანტია დამზადებული: CZ805 BREN A1 სტანდარტული, 360 მმ სიგრძის ლულით; CZ805 BREN A2 277 მმ-მდე დამოკლებული ლულით და CZ805 BREN A3 დაგრძელებული და დამძიმებული ლულით ხელის ტყვიამფრქვევის ფუნქციის შესასრულებლად.

ლულის, საკეტისა და მჭიდის მიმღების ჩანაცვლების შედეგად ჩეხური ავტომატის გადაკეთება შეიძლება ისე, რომ გამოიყენოს, როგორც NATO-ს სტანდარტის 5,56X45 მმ, ისე საბჭოთა 7,62X39 მმ კალიბრის ვაზნები. გარდა ამისა, ჩეხი სპეციალისტები აგრძელებენ მუშაობას ახალი ავტომატის პერსპექტიული 6,8X43 Rem SPC ტიპის ვაზნაზე გადასაწყობად.





ლი პოზიცია მსროლელს საშუალებას აძლევს [illegible] ტყვია გაისროლოს, რაც [illegible] ზრდის სროლის სიზუსტეს.

გამოცდის დროს დაფიქსირდა, მსროლელმა CZ805 BREN-ით 100 მ დისტანციაზე 5,56 მმ კალიბრის 10 ტყვია 116,4 მმ-ის დიამეტრში მოათავსა, რაც კარგ მაჩვენებლად ითვლება.

ჩეხურ ავტომატზე [illegible] აქსესუარი, თუმცა [illegible] ვა ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნი CZ805 G1, რომელიც 40X46 მმ კალიბრის ყუმბარებს ისვრის. საბრძოლო შემთხვევაში შეიძლება ამ ყუმბარსატყორცნის ცალკე გამოყენებაც, რისთვისაც მას პისტოლეტის სახელური და დასაკეცი კონდახი უკეთდება.

ჩვენი ცნობა: ჩეხური ავტომატი CZ805 BREN-ის მოდიფიკაცია A1-ის მასა 3,77 კგ-ს შეადგენს, სიგრძე 915 მმ-ია გაშლილი კონდახით (დაკეცილი კონდახით იარაღის სიგრძე 670 მმ-მდე მცირდება). ლულის სიგრძე 360 მმ-ს აღწევს. ავტომატის სიმაღლე 260 მმ-ია, სიგანე კი 77 მმ (კონდახის დაკეცვის შემდეგ იარაღის სიგანე 112 მმ-მდე იზრდება). ავტომატის სწრაფსროლის მაჩვენებელია 760 გასროლა/წუთში. სროლის მაქსიმალური ეფექტური მანძილი 500 მეტრამდეა.



## CZ805 BREN

ჩეხეთის არმიამ თავისთვის მხოლოდ 5,56 მმ-იანი ავტომატები შეუკვეთა, თუმცა არ გამორიცხავს 7,62 მმ კალიბრის ლულებით დაკომპლექტებასაც იმ შემთხვევაში, თუკი სავარაუდო მოწინააღმდეგის (ალბათ, [illegible], ეს უნდა გულისხმობდეს სავარაუდო მოწინააღმდეგეში NATO-ს წევრ ქვეყანას) ვაზნები ჩაუვარდება ალაფად ხელში.

ჩეხური ავტომატი იმითაც გამოირჩევა, რომ ოთხპოზიციური დამცავ-გადამყვანი აქვს. პირველ პოზიციაზე დაყენებული ბერკეტი მიუთითებს, რომ იარაღი დამცველზეა და არ გაისვრის. მეორე პოზიციაზე დაყენებისას ავტომატი მხოლოდ თითო გასროლას აკეთებს, მესამე პოზიციაზე — ორ-ორს, ხოლო მეოთხეზე კი უწყვეტი ჯერით ისვრის.

ჩვეულებრივ, ავტომატებს ცეცხლის მართვის მხოლოდ სამი პოზიცია აქვთ. ჩეხურ იარაღში დამატებუ-

ახალი ჩეხური ავტომატი CZ805 BREN-ი ნამდვილად იმსახურებს მოწონებას და მას კარგი პერსპექტივა აქვს, თუკი ჩეხეთი შეძლებს მის ექსპორტს იარაღით ისედაც სავსე მსოფლიოს ბაზარზე.

ირაკლი ალადაშვილი

ISSN 1987-5061
9 771987 506007

ეროვნული ბიბლიოთეკა



CZ805
BREN